კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

მალხაზ ქაქუთია

პოლიტიკური ისლამი და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი, მაია კაპანაძე

თბილისი - 2021

ანოტაცია

ახლო-აღმოსავლეთში, გასული საუკუნის 20-30 იან წლებში, განსაკუთრებით ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებში ისლამის ძლიერ პოლიტიზირებას და ამის შედეგად რადიკალური, ისლამისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას მრავალ პრობლემებთან ერთად ხელი შეუწყო მაშინდელი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ინეტერსებმა, რადიკალური განწყობილებით მოქმედთა შორის ერთ-ერთი პირველი ეგვიპტელი ,,მუსლიმი ძმები '' იყვნენ.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ საფუძველი დაუდო დანარჩენ ისლამიუსტურ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომელთა ძირითადი იდეოლოგები ისინი იყვნენ. ტერორისტული ორგანიზაციები, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში გააქტიურდნენ.

ამ პერიოდიდან წარმოიქმნა არაერთი ტერორისტული ორგანიზაცია . რადიკალური ისალმისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათი მოქმედების არეალის გაფართოება გაგრძელდა ოცდამეერთე საუკუნეშიც.

ისინი თავისი სტრუქტურით , ფინანსებით , სამხედრო წვრთნებით, შეიარაღებით და ა.შ. საკმაოდ განსხვავდებიან მეოცე საუკუნის ტერორისტული ორგანიზაციებისაგან. ისინი სხვა საშუალებებთან ერთად საკმაოდ კარგად იყენებენ სოცლიალურ ქსელებს და სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რეგიონისთვის ამ მხრივ თავისი მასშტაბურობით გამორჩეულია აქამდე არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის უფრო მეტად რადიკალური ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფო '' იგივე ,,დაეში '' ან ISIS .

Anotation

Political Islam and its influence on the operation and development of terrorist organizations in the Middle East

In the Middle East , in the 20sand 30s of the twenties century , and especially in the newly formed states the strong politization of Islam and following establishment of radical Islamic organizations was facilitated by the interests of the great players of those times (Great Britain , France) . Among the other radical organizations , the Egyptian ,,Muslim Brotherhood '' , was of the pioneers with this regard.

This organization laid the foundation for the rest of the Islamist terrorist organizations, whose main ideologues were based on their ideology.

Terrorist organizations became especially active in the 1980s.Numerous terrorist organizations have emerged from this period.The formation of radical Islamic organizations and the expansion of their sphere of influence continued into the twenty-first century.

They are quite different from the terrorist organizations of the twentieth century in their structure, finances, military exercises, weapons etc. They use social networks quite well, among other means, and pose a serious threat to the region.In this respect, the more radical organization "Islamic State" known as "Daesh" or ISIS isprominent among the existing radical terrorist organizations.

Malkhaz Kakutia

სარჩევი

ანოტაცია 2

Anotation.....3

შესავალი..... 5

თავი I ისლამი და პოლიტიკა ტრადიციასა და თანამედროვეობაში 10

1.1 რელიგია და პოლიტიკა ადრეულ ისლამში 10

1.2 ვაჰაბიზმის წარმოშობა და მისი გავლენა ისლამურ სამყაროზე 13

1.3 მუსლიმი რეფორმატორები და ისლამის შერწყმის მცდელობა ევროპულ იდეებთან 20

თავი II რადიკალიზმი ისლამში , ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე რთული პროცესების ფონზე 25

2.1 ისლამიზმის , ფუნდამენტალიზმის და ტერორიზმის საკითხისათვის.....25

2.2 პოლიტიკური ისლამის რენესანსი და მუსლიმი ძმები 35

2.3 ისლამური რადიკალიზმის და ტერორიზმის იდეოლოგი : საიდ კუტბი 53

თავი III ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურება ახლო აღმოსავლეთში და მათგან მომავალი გლობალური საფრთხეები 61

3.1 ისლამისტური რადიკალური ორგანიზაციები : ალ-ქაიდა , ჰამასი ,და მათგან მომდინარე გლობალური გამოწვევები 61

3.2 შიიტური ისლამისტური ორგანიზაცია ჰეზბოლას გააქტიურება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში 71

3.3 ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფო'' და ახალი გამოწვევები როგორც რეგიონის ასევე მსოფლიოს წინაშე.....77

დასკვნა.....87

ბიბლიოგრაფია.....90

დანართები.....93

შენიშვნები 96

შესავალი

თემის აქტუალობა - ტერორიზმი იქცა დღევანდელი მსოფლიოს ახალ და ყველაზე ძლიერ გამოწვევად , ეს პროცესი კი 2001 წლის 11 სექტემბერს დაიწყო , როდესაც მთელმა მსოფლიომ ომი გამოუცხადა ტერორიზმს , ეს გახლავთ ის ასიმეტრიული საფრთხე , რომლის ძალის , მასშტაბის და ობიექტის განსაზღვრაც კი თითქმის შეუძლებელია .

ყველაზე მთავარი კი გახლავთ ის , რომ ხდება ტერორიზმის დაკავშირება ისლამთან და ეს ჰიპოთეზა ბევრისთვის მტკიცებადაც კი იქცა . ეს ყოველივე კი გახლავთ მიზანმიმართულად გამოყენებული სიცრუე , რომელსაც შეუძლია ახალი პრობლემის მოტანა მსოფლიოსთვის , განსაკუთრებით კი იმ მიგრაციის ფონზე , რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან თავს დაატყდა ევროპას. სწორედ ამიტომ დანაშაული და ტერორიზმის წახალისებაა არ ცოდნა რელიგიისა , განსაკუთრებით იმის , რომელთანაც გვაქვს აქტიური ურთიერთობა .

გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე თითქმის ერთი საუკუნის წინ , პოლიტიკურმა ისლამმა , კონკრეტულად კი ისლამიზმმა , დიდი როლი შეასრულა ახლო-აღმოსავლეთში ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და გააქტიურებაში . ისლამიზმს კი რეგიონში თავის მხრივ ბიძგი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურმა ინტერესებმა მისცეს. აქედან მოყოლებული გარკვეული დროსა და პირობებში შექმნილი ტერორისტული ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში , აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია .

საკვლევი კითხვები

- რა როლი შეასრულა პოლიტიკურმა ისლამმა ახლო აღმოსავლეთის ისლამისტურ-რადიკალური ორგანიზაციების ფორმირებაში ?

- რამდენად იკვეთება პოლიტიკური მიზნები ექტრემისთების საქმიანობაში და ხდება თუ არა რეალური მიზნის გადაფარვა რელიგიური სარჩულით ?

თემის ჰიპოთეზა

მსოფლიოში გავრცელებული აზრი , ისლამისა და ტერორიზმის გაიგივებასთან დაკავშირებით მოდმინარეობს პოლიტიკური სარჩულიდან და იმ ექსტრემისტი სასულიერო თუ საერო პირებიდან , რომლებიც წარმოადგენენ სხვა ქვეყნების სატელიტს და ქმნიან ახლო აღმოსავლეთში ხელოვნურ დაძაბულობას .

ტერორიზმს რელიგიასთან არ შეიძლება ჰქონდეს არანაირი კავშირი , ასეთი სურათი იქმნება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად , რელიგია კი ამ გზაზე ის იარაღია , რომლის წყალობით ხდება დაფარვა რეალური მიზნებისა.

თემის საგანი - კვლევის საგანს - წარმოადგენს ის ექსტრემისტული ძალები , რომლებიც მოქმედებენ ახლო აღმოსავლეთში ისლამის სახელით .

თემის ობიექტი - ახლო აღმოსავლეთში მოქმედი , ისლამისტური . ექტრემისტული ძალების იდეოლოგიის, სტრუქტურის და მოტივაციის განსაზღვრა .

თემის მიზნები და ამოცანები

- თემის მიზანს წარმოადგენს ისლამისტური ორგანიზაციების მოტივაციის განსაზღვრა .
- ასევე წინა პლანზე წამოწევა იმისა , თუ რა სხვაობაა საკუთრივ ისლამსა და ისლამისტური ორგანიზაციების იდეოლოგიებს შორის .ასევე ისიც , შეძლეს თუ არა ისლამისტურმა ორგანიზაციებმა ცალკეული ქვეყნების სამხედრო პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტნაკლებად დამკვიდრება .

ხოლო რაც შეეხება ამოცანებს :

თემის ამოცანას კი წარმოადგენს სხვადასხვა ენოვანი ლიტერარატურულ-სამეცნიერო კვლევის შედეგად ზუსტი აღწერა ისლამისტური ძალებისა , მათი წარმოშობისა , იდეოლგოგიისა და მოქმედების მეთოდისა.

ასევე ცალკეულად ამ ორგანიზაციების პოლიტიკური ფრთების აქტიურობა , როგორც რეგიონში ასევე რეგიონს გარეთაც .

თემის კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები :

- ისტორიულ-აღწერილობითი
- კონტენტ ანალიზი
- ინტერდისციპლინარული მეთოდი .

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

- ძალთა ბალანსის“ თეორია, გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

- სოციალური კონსტრუქტივიზმი

- თანამშრომლობითი რეალიზმი

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეძლებისდაგვარად შევქმენი აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ვფიქრობ, ჩემს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ ახლო-აღმოსავლეთის პრობლემებით და ისლამიზმით დაინტერესებულ პირებს და გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

თემის მიზნები და ამოცანები - ჩემი კვლევის მიზანია პოლიტიკურ ისლამში არსებული ცალკეული აქტუალური პრობლემების კვლევა და წინა პლანზე წამოწევა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისა , რამაც განაპირობა პოლიტიკურ ისლამში ტერორისტული , ისლამისტური , რადიკალური ორგანიზაციების წარმოშობა და გააქტიურება .

ჩემი კვლევის ამოცანას კი წარმოადგენს პოლიტიკური ისლამის საფუძველზე წარმოქმნილი ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიის და მათი მოქმედების არეალის განსაზღვრას . ასევე განსაზღვრას იმისა , თუ რატომ წარმოადგენს ზიგიერთი მათგანის მიზანს ერთიანი ისლამური სახალიფს შექმნა ,ან ადრინდელი სახალიფოს აღდგენის მცდელობა .ამასთანავე ჩემი ამოცანაა იმის გარკვევა , თუ რამდენად შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ახლო-აღმოსავლეთის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების პრობლემებზე .

სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი არის ძალიან სპეციფიკური , ჩემს მიერ გაშუქებული პრობლემის ირგვლივ არაერთი კვლევაა შესწრულებული , როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენებზე , რომლებშიც შესწავლილია ცალკეული საკითხები , რადგანაც ზოგადად პოლიტიკური ისლამი და მისი გავლენით ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია უკვე კარგა ხანია . ისლამიზმი და ფუნდამენტალიზმი შესწავლილი აქვს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს პროფესორ თინათინ ქაროსანიძეს , თავის მონოგრაფიაში[1] აღნიშნული მონოგრაფია ძირითადად ეძღვნება ისლამიზმს და ფუნდამენტალიზმს ეგვიპტეში .

მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ,,მუსლიმ ძმებს'' მისი ჩამოყალიბებიდან ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებამდე . მასში ასევე გარკვეული ადგილი ეთმობა ეგვიპტეში არსებულ სხვა ისლამისტურ ორგანიზაციებს , რომელთა ნაწილი ძირითადად ტერორისტულია.

პოლიტიკური ისლამი და მისით გამოწვეული პრობლემები გარკვეულწილად გაშუქებულია გ. სანიკიძის , გ. ალასანია და ნ. გელოვანის ერთობლივ ნაშრომში[2], რომელიც დამეხმარა ჩემთვის საინტერესო საკითხების უკეთ გაანალიზებაში . ისლამიზმი , ფუნდამენტალიზმი და ზოგადად პოლიტიკური ისლამი კარგად არის

[1]ქაროსანიძე თ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,, მუსლიმი ძმების'' და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია , თბილისი 2009

[2] სანიკიძე გ . , ალასანია გ. , გელოვანი ნ . ,, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან მე-19-2 , 21-ე საუკუნის დასაწყისი '' . თბილისი 2011.

გაშუქებული გ. სანიკიძისა და ნ.გელოვანის ერთობლივ ნაშრომში[3]. გარდა ამისა , ავტორებს განხილული აქვთ , ისლამიზმში ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბების მიზეზები .

ისლამიზმი , ფუნდამენტალიზმი და ტერორიზმი ასევე საკმაოდ საინტერესოდ აქვს გაშუქებული თავის სამეცნიერო სტატიაში გიორგი სანიკიძეს .

ისლამში პირველი ტერორისტული ორგანიზაცია ,, ასასინები '' , არაბულ წყაროებზე დაყრდნობით სიღმისეულად აქვს შესწავლილი გიორგი ნარიმანიშვილს[4]

გარდა ქართულ ენაზე არსებულისა , არსებობს ცალკეული სამეცნიერო სტატიებიც[5]. ქართულის გარდა პოლიტიკური ისლამი და ისლამისტური ორგანიზაციები შესწავლილი და გაანიზებულია უცხოენოვანი მკვლევარების მიერ , მაგ.

A statement on Recent Incidence of Communal / Religious Violence ,,The Egiptian Organization for Human Rights'' ეგვიპტეში არსებული ისლამისტური ორგანიზაციების და მათი მოქმედებების არეალის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა ავტორთა კრებულში . აღნიშნულმა ნაშრომმა სერიოზული დახმარება გამიწია ჩემს ტემაში დასმული ცალკეული საკითხების კვლევისათვის .

ყველაზე მასშტაბური , ტერორისტული ორგანიზაცისს ,,დაეშის'' იდეოლოგია , საკმადო საინტერესოდ და კრიტიკულადაა გაშუქებული ISIS: Its History, Ideology, and Psychology[6] ამ ნაშრომში საკმაოდ საინტერესო მასალაა თავმოყრილი , ასევე საინტერესოა ავტორთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები .

---

[3] გელოვანი ნ. , სანიკიძე გ. - ,,ისლამი ''(რელიგია , ისტორია , ცივილიზაცია) თბილისი 2012

[4] ნარიმანიშვილი გ. ,,ასასინები '' თბილისი 2012 .

[5] გოგუაძე გ. , კაპანაძე ს.- ,, დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები'' საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) თბილისი 2015 .

[6] katarzyna jasko , arie w kruglanski , ahmad saiful rijal bin hasan , rohan gunaratna - ,, ISIS: Its History, Ideology, and Psychology '' . Chapter · April 2018

თავი I ისლამი და პოლიტიკა ტრადიციასა და თანამედროვეობაში

1.1 რელიგია და პოლიტიკა ადრეულ ისლამში

ისლამმა მკაფიოდ განსხვავებული, საკუთარი, ინდივიდუალური და კუთვნილი ადგილი დაიკავა მონოთეისტურ რელიგიათა შორის, რომელიც დაარსების დროს საკმაო სპეციფიკურობით გამოირჩეოდა და არსობრივად და იდეურად განსხვავდებოდა სხვა მონოთეისტური რელიგიებისაგან , ისლამი , რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედის პირმშოა და მისი გამოცხადებების შემდეგად არის შექმნილი გახდა გამაერთიანებელი ძალა არაბული ტომებისთვის, რომლებიც ერთმანეთის მოქიშპეობით გამორჩეოდნენ და არ ჩანდა ძალა რომელსაც შეეძლო მათი გაერთიანება და ერთი დროშის ქვეშ მოქცევა, რათა არაბული ტომებისგან შემდგარიყო ძლიერი პოლიტიკური წარმონაქმნი და ანგარიშგასაწევი ძალა .

ისლამი წარმოადგენდა არა მხოლოდ მორწმუნეთა კავშირს, არამედ მათგან შემდგარ პოლიტიკურ საზოგადოებას , ვინაიდან ისლამის რწმენით არ განსხვავდებოდა საერო და სასულიერო ხელისუფლება, სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მართვა უნდა განხორციელებულიყო რელიგიური კანონებით, შარიათით, რომელიც დროსთან და სივრცესთან მიმართებაში დარჩებოდა უცვლელად , ვინაიდან ის იყო ღვთის სიტყვა .

სწორედ ამიტომ, საწყის ეტაპზევე ისლამის გავრცელებისა, ის გახდა ძალა რომელმაც შეძლო არაბული ტომების გაერთიანება, და მათგან მყარი პოლიტიკური ერთობის შექმნა ისლამის დროშის ქვეშ. ისლამი გახდა აუცილოებელი წინაპირობა სახელმწიფოს ფუნქციონირებისა . სწორედ ამიტომ მუსლიმური თემის უმაღლესი მოძღვარი იყო პიროვნება , რომელიც ითავსებდა თემის რელიგიური განვითარების და მისკენ მოქცევის ფუნქციას , ასევე მის

უფლებებში შედიოდა კონკრეტული თემის პოლიტიკის წარმოება და ურთიერთობა გარეშე თუ საშინაო მტრებთან და მეგობრებთან , რელიგიური ლიდერი პრაქტიკულად პოლიტიკური ძალაუფლების მატარებელიც გახდა და სწორედ ის იყო საფუძველი თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა . ხოლო მუჰამედის ხელში კი იყო მოქცეული საკანონმდებლო , სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება , აბსოლიტური ძალაუფლება . სწრედ ეს არის პირველი და დიდი სხვაობა ქრისტიანობასთან , რომელმაც საწყისს ეტაპზევე მკაფიოდ გამიჯნა საერო და სასულიერო ცხოვრება ,, მიეცით ღმერთს ღმრთისა და კეისარს კეისრისა[7]'' , შემდგომად ამისა კი მუჰამედი როგორც არაბული თემის გამაერთიანებლი, ახალი რელიგიის შემოქმედი და პრაქტიკულად უცოდველი ადამიანი, მუსლიმებისთვის გახდა მიბაძვის ობიექტი . მისი ცხოვრების წესი, სუნა და ჰადისები , რომლებიც იქცა წმინდა წიგნად მუსლიმთათვის ყურანთან ერთად, სწორედ ამიტომ რელიგიისა და სახელმწიფოს ერთიანობის და თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნის იდეა მუსლიმურ ძალებში საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ აქტუალური იყო და დღემდე ისწრავფიან სწორედ იმ პერიოდთან დაბრუნებას , როდისაც იწყებოდა ისლამის აღმასვლა და მისი ფართოდ გავრცელება .

სწორედ ამიტომ მუსლიმური თემისთვის არასდროს არ წარმოადგენდა დავის საგანს ხელისუფლების მართვა, ვინაიდან უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა ალლაჰს.

ისლამი ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე და სწორედ ამიტომ ჰიჯაზი მუსლიმთათვის წმინდა ადგილია , ისევე როგორც იუდევლებისთვისა და ქრისტიანთათვის პალესტინა . ხოლო წმინდა ქალაქები გახლავთ მექა და მედინა , სადაც არამუსლიმთა ყოფნა დაუშვებელია . ისლამამდელ არაბეთშიც მექა და კონკრეტულად ქააბას ტაძარი წარმოადგენდა წმინდა ადგილს პილიგრიმებისთვის , ვინაიდან გადმოცემით ეს ტაძარი იბრაჰიმმა (აბრაამი)

[7] მათეს სახერება - ,,ბიბლია '' ახალი აღთქმა , თბილისი 1989 . თავი -22- მუხლი - 21.

და ისმაილმა ააშენეს , მექა წმინდა ადგილთან ერთად გახლდათ სავაჭრო ცენტრიც და სწორედ ამიტომ ისლამამდელ არაბეთში მექა ინარჩუნებდა როგორც რელიგიურ, ასევე ეკონომიკური და სავაჭრო ცენტრის[8] ადგილს[9].

შუამავალი მუჰამედი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მონოთეისტურ რელიგიას დაიბადა 570 წელს კურაიშის ტომში, ხოლო მისი სამოციქულო მისია კი დაიწყო 610 წელს , 40 წლისას მას დაეწყო ხილვები და ეცხადებოდა აიათები რომლისგანაცაა ყურანი შემდგარი .

პირველი მუსლიმი გახდა მუჰამედის ცოლი , ჰატიჯე , რომელსაც ღრმად სწამდა მისი მეუღლის , სწორედ მან დაარწმუნა მუჰამედი მისი გამოცხადებების ჭეშმარიტებაში და ყველანაირად ხელს უწყობდა მას მომავალ გზაზე , პირველ მუსლიმად იწოდებოდა ასევე პირველი მართლმომრწმუნე ხალიფა აბუ-ბაქრი , ასევე მნიშვნელოვანია ის გარემობა , რომ 614 წლისთვის მუსლიმთა რიცხვი მხოლოდ 30-32 წევრს შეადგენდა .

სწორედ 614 წელია ის თარიღი , რომლის დროსაც მუჰამედი ალლაჰის მითითებით უკვე გადავიდა ღია ქადაგებაზე , შეკრებილ ხალხს მოუწოდა , რომ ის იყო ალლაჰის შუამავალი და მათ ერთი ღმერთის ალლაჰის თავყანისცემისკენ მოუწოდებდა . ამ ყოველივეს კი მოჰყვა ღია დაპირისპირება მექელი ვაჭრებისა და მდიდარი ფენის წარმომადგენელთა მხრიდან , ვინაიდან მათთვის უცხო იყო ერთი ღმერთის თავყანისცემა , სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ყველა მხირდან შეევიწროებინათ ისლამის მიმდევრები , განსაკუთრებით მძიმე და გაუსაძლის ყოფაში ამყოფებდნენ მონებს , რათა დაბრუნებოდნენ ადრეულ წარმართულ სარწმუნოებას , სწორედ ამიტომ მუჰამედი იძულებული გახდა მისი მიმდევრების ნაწილი ემიგრაციაში ეთიოპიაში გაეშვა , რათა იქ უფრო დაცულები ყოფილიყვნენ აღმსარებლობის თავისუფლებაში ;

---

[8] იხილეთ შენიშვნა N1 გვ.96

[9] გელოვანი ნ, სანიკიძე გ. ,,ისლამი , ისტორია , ცივილიზაცია '' , თბილისი 2009 გვ. 7-37

ისლამის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა გახდა ჰიჯრა , რომელიც მოხდა 623 წელს, და ეს მოვლენა დაედო არაბულ წელთაღრიცხვას საფუძვლად , ჰიჯრა გახლავთ მუჰამედისა და მისი მიმდევრების გადასვლა, გადასახლება მედინაში , რომელიც გახდა მეორე წმინდა ქალაქი ისლამში , მექის შემდგომ , სადაც გახლავთ შუამავალ მუჰამედის საფლავი .

სწორედ მედინაში მოხდა ისლამის საბოლოო გამიჯვნა წერილის ხალხთან , იუდევლებთან და ქრისტიანებთან , რომლებსაც კიცხავდა მუჰამედი , როგორც ხალხს , რომლებმაც არ სცნეს ის შუამავლად და გადავიდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან , და დააწესა ლოცვის დღედ ყოველი პარასკევი , სწორედ ამითაც გაემიჯნა ის იუდევლებისა და ქრისტიანთა წმინდა დღეებს : შაბათსა და კვირას . საბოლოოდ მექის დამორჩილება მუჰამედმა მოახერხა 630 წელს , სწორედ ეს თარიღი ითვლება მექის გათავისუფლების თარიღად , რომლის შედეგადაც ქააბას ტაძრის მიდამოებიც კი გაიწმინდა წარმართთა კერპებისაგან . მუჰამედი კი გარდაიცვალა 632 წელს , და ის დაიკრძალა მეუღლის , აიშეს სახლში , ამის შემდგომ კი როგორც აღინიშნა , მედინა გახდა მეორე წმინდა ქალაქი მუსლიმი პილიგრიმებისთვის .

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ კი ბუნდოვანი გახდა მმართველის ვინაობა , ვის უნდა ჰქონოდა ეს ძალაუფლება , ვინაიდან მუჰამედს ეს უფლება ღვთისგან ჰქონდა მინიჭებული, დანარჩენი კი თვით მუსლიმი თემის შიგნითაც კი დავის საგნად რჩებოდა , ვინ უნდა ყოფილიყო წინამძღოლი , ვის უნდა რგებოდა ეს პატივი , შედარებით მარტივად გადაიჭრა ეს პრობლემა ოთხი მართლმოწრმუნე ხალიფას პერიოდში, რომლებიც მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგნენ მუსლიმ თემს სათავეში , აბუ-ბაქრი, ომარი , უსმანი და ალი . თმცა მათი გარდაცვალების შემდეგ პრაქტიკულად მოხდა გახლეჩა ისლამისა. სხვადასხა კონფესიების წარმოშობა და იმ სიძლიერის რყევა , რომელიც მუჰამედმა თავის მიმდევრებთან ერთად სიცოცხლეში ააშენა და შექმნა.

1.2 ვაჰაბიზმის წარმოშობა და მისი გავლენა ისლამურ სამყაროზე

ვაჰაბიზმი საკმაოდ ახალგაზრდა წევრია ისლამისტური მოძღვრებებისა , რომელესაც საფუძველი დაუდო მუჰამად იბნ ალ-ვაჰაბმა , რომელიც დადიოდა სამოგზაუროდ სხვადასხვა წმინდა ქალაქებში , როგორიც გახლავთ მექა , მედინა და იქ იღრმავებდა იმ რელიგიურ ცოდნას , რომელიც შემდგომში გახდა იარაღი მის ხელში , რათა ჩამოეყალიბებინა ახალი მოძღვრება , რომელიც მაშინდელი რწმენა შერყეული არაბული ტომების გამაერთიანებელი უნდა გამხდარიყო და ასევე ებრძოლა თავისუფლებისათვის , რომელიც თურქეთის ძალისხმევით ჰქონდათ დაკარგული .

ასევე ვაჰაბიზმს წინაპირობად ჰქონდა საკმაოდ მძიმე სოციალური ფონი და უთანასწორობა , რომელიც მომდინარეობდა ფეოდალიზმიდან , არაბებს არ ჰქონდათ ცენტრალიზებული ხელისუფლება , რის გამოც იყვნენ დაყოფილნი და მარტივად შეეძლოთ მათზე ბატონობა ნებისმიერ ძლიერ სახელმწიფოს , ამ შემთხვევაში ეს ფუნქცია თურქეთს ჰქონდა და ამას ემატებოდა ფეოდალიზმი , რომელიც ისედაც დაყოფილ არაბულ ტომებს შინაგანად კიდევ უფრო ჰყოფდა , მდიდრების და უკიდურესად ღარიბების ფენებად , სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ახალი ძალის ჩამოყალიბება , რომელიც პირველ რიგში სწორედ შიდა ფეოდალურ უთანასწოროებას მოსპობდა , შემდეგ კი ამ არაბული ტომების გაერთიანებით შეძლებდნენ თავისუფლების მოპოვებას , თუმცა ეს საკმაოდ მძიმე და რთული მისია აღმოჩნდა , ვინაიდან როგორც აღინიშნა ამ პერიოდის არაბული ტომები , განსაკუთრებით ბედუინები , რომლებიც მომთაბარეობას ეწეოდნენ გამოირჩეოდნენ ნაკლები რწმენით , უფრო მეტიც ისლამს იმდნად განუდგნენ , რომ კერპებიც კი გაიჩინეს[10] .

---

[10] მათ იმდენად ჰქონდა რწმენა შერყეული , რომ საჭიროდ არ თვლიდნენ წმინდა ადგილების მოლოცვას , ვინაიდან მიიჩნდვენენ , რომ მთელი სამყარო ტაძარი იყო და რა საჭირო იყო კონკრეტულ ადგილზე წასვლა ან რამაზანის მარხვის შენახვას , რადგან სწუხდნენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებაზე და მოწყალების გაღებაზეც სწრედ ამავე მიზეზით ამბობდნენ უარს , ვინაიდან თვლიდნენ , რომ უპოვრები იყვნენ და

სწორედ ამ ყოველივეს ფონზე, მეთვრამეტე საუკუნეში ჩაისახა ვაჰაბიზმი , ჰანბალიტთა მაზჰაბიდან[11]. ალ-ვაჰაბმა თავისი ქადაგება დაიწყო 1740 წელს , ვაჰაბიზმის მთავარი მოთხვოვნა კი გახლდათ დაბრუნება ისლამის იმ საწყისებთან , რომელიც იყო შუამავლ მუჰამედის დროს , და აკრძალვა ნებისმიერი სახის სიახლისა[12]. ასევე ვაჰაბიტები მკაცრად უარყოფნენ წმინდანებს და წმინდა ადგილების მოლოცვას . (მაგ. მედინაში შუამავალ მუჰამედის საფლავი) სწორედ ამგვარი შეხედულებებით იქცენენ ვაჰაბიტები უკიდურესად ექსტრემისტული მოძრაობის წარმომადგენლებად , რომლებმაც ჯიჰადი გამოუცხადეს ყველას და ყველაფერს რაც მათ არ ეთანხმებოდათ , იმ მუსლიმებსაც კი , რომლებიც არ იზიარებდნენ ვაჰაბიტთა მოსაზრებებს და შეხედულებებს , ერთადერთი რამ რაც მათ იმ მძიმე სოციალური ფონის კვალდაკვალ მიზმიდველს ხდიდა ღარიბი ფენისთვის , გახლდათ მოწოდება ყველა მუსლიმის სოციალურ თანასწორობისა , ამან რათქმაუნდა დაპირისპირება გამოწვია ფეოდალების მხრიდან , თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი მიიზიდა სწორედ ამ თანასწოროების იდეამ , ვაჰაბიტები ასევე მკაცრად უარყოფდნენ ყურანისა და სუნას აღქმას ფილოსოფიურ ჭრილში , ისინი მის ბუკვალურად აღქმას ქადაგებდნენ მხოლოდ იმ წარსულ დროსთან მიმართებაში , როდესაც ჩაისახა ისლამი[13].

ისედაც მთელი ცხოვრება მარხულობენ ამის გამო და არ თვლიდნენ კონკრეტული ერთი თვის გამოყოფას საამისოდ საჭიროდ , პლუს ზაქათის გაღებაზეც ზუსტად ამავე მიზეზს აჟღერებდნენ , რომ თვითონაც საკმაოდ ღარიბები და უქონლები იყვნენ და სხვისთვის რა უნდა მიეცათ . ეს ის მძიმე ფონი იყო , რომელიც დახვდა ვაჰაბიზმს წინაპირობად , სწორედ ამ პრობლემების და ურწმუნობის აღმოფხვრა უნდა ეკისრა ალ-ვაჰაბის თავის თავზე , რათა ისევ გაეერთიანებინა ეს არაბული ტომები და ანგარიშგასაწევ ძალად ექცია .

[11] თეოლოგიური სკოლა, რომელიც სუნიტურ ისლამში გახლავთ ოთხი : ჰანაფიტური , მალიქიტური , შაფიიტური და ჰანბალიტური , ნებისმიერი მართლმორწმუნე სუნიტი ვალდებულია ამ ოთხი სკოლიდან ერთ-ერთის მიმდევარი იყოს.

[12] ბიდა

[13] იბნ თაიმიია გახლდათ ერთ-ერთი სწავლული ჰანბალიტური მაზჰაბიდან , რომლის მიმდევრებიც იყვნენ ვაჰაბიტები , აღსანიშნავია ის ფაქტიც , რომ იბნ თაიმია თავის განცხადებებში გამორიჩეოდა მკვეთრად რადიკალური პოზიციით სხვა სკოლის მიმდევრებთანაც კი და უარყოფდა ნებისმიერი სახის სიახლეს ისლამში .

ის მკვეთრი განსხვავება , რომელიც ვაჰაბიტებს გამოარჩევდათ სხვა ისლამისურ კონფესიებს შორის გახლდათ ის , რომ ვაჰაბიტები მკაცრად უარყოფდნენ შუამავლ მუჰამედის კულტს და მასზე ლოცვასა და თაყვანისცემას კრძალავდნენ . ასევე ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერი შუამავლის არსებობას ადამიანსა და ღმერთს შორის . სწორედ ამ რადიკალური შეხედულებების გამო , რომელსაც მოჰყვა ღია დაპირისპირება სხვა ისლამურ კონფესიებთან , მათ დააზიანეს ქააბას ტაძარი , რომელიც ყველა მუსლიმისთვის გახლავთ წმინდა ადგილი , გარდა მსგავსი რადიკალური კონფესიებისა.

ვაჰაბიტები ერთდროულად იბრძოდნენ სამ ფრონტზე , ებრძოდნენ სოციალურ უთანასწორობას , თურქებს რომელთაც ჰქონდათ დაბყრობილი არაბული ტომები და იმ მუსლიმებს რომლებიც არ იზიარებდნენ მათ შეხედულებებს . მიუხედავად ამ რადიკალიზმისა , ვაჰაბიზმმა ფეხი საკმაოდ მყარად მოიკიდა და დიდი პოპულარობაც მოიპოვა საზოგადოებაში .

თუმცა ვაჰაბიზმს ასევე გააჩნდა პოლიტიკური სარჩულიც , ის არა მხოლოდ რელიგიური პრობლემების მოსაგვარებლად გამოჩნდა ასპარეზზე , როგორც აღინიშნა მას უნდა მოეგვარებინა პირველ რიგში ის სოციალური უთანასწორობა , რომელიც არსებობდა არაბეთში, ანუ პრაქტიკულად არსებული ფეოდალური სისტემა უნდა დაენგრიათ .

ალ-ვაჰაბის მოძღვრებას მხარს უჭერდა არაბული ტომების ნაწილი , თუმცა აღსანიშნავია მათგან ემირი ალ-საუდი , რომელმაც საფუძველი დაუდო საუდის არაბეთს და მისი შთამომავლები მართავენ დღემდე ქვეყანას , ხოლო ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის ოფიცილაური რელიგიადაა აღიარებული[14].[15]

---

[14] გელოვანი ნ , სანიკიძე გ. - ,,ისლამი , ისტორია , ცივილიზაცია '' , , თბილისი 2009 გვ. 50-75

[15] ალ-ვაჰაბის ძმა , სულეიმანი მიიჩნევდა , რომ ვაჰაბმა მეექვსე ბურჯი დაუმატა ისლამს , რომელიც მდგომარეობს იმაში , რომ ყველა ვინც არ იზიარებს ვაჰაბიტების შეხედულებებს ისლამის მტერია , ამით მან პრაქტიკულად მთელი მუსლუმური სამყარო გამოაცხადა ისლამის მტრად , სწორედ ეს რადიკალიზმი იქცა იმ მთავარ მიზეზად , რომლის გამოც არ მოხდა მისი ფართოდ გავრცელება და მოიცვა მხოლოდ

თუმცა მეოცე საუკუნის შემდეგ , საუდის არაბეთმა , რომელიც გახლავთ ერთადერთი არაბული ქვეყანა , რომლის ოფიციალური რელიგიაც ვაჰაბიზმი გახლათ , ეს მოძრაობა ზომიერ ჩარჩოებში მოაქცია , ვინაიდან საუდის არაბეთმა აირჩია გზა ურთიერთობისა განვითარებულ და ტექნოლოგიურად მაღალ საფეხურზე მყოფ დასავლეთთან .

ვაჰაბიზმის წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია , პირველი გახლავთ ის რომელიც აღინიშნა ზევით , ხოლო მეორე გახლავთ უფრო შეთქმულების თეორიის მსგავსი , რომელიც გულისხმობს ვაჰაბიზმის წარმოშობის კავშირს ინგლისთან და მის პოლიტიკასთან .

ამ თეორიის თანახმად ხემპერმა , რომელიც გახლდათ ინგლისელთა ჯაშუში , 1713 წელს მოისყიდა ალ-ვაჰაბი და სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ახალი რელიგიური ორგანიზაცია . ამაში ლოგიკას ხედავენ სწორედ ვაჰაბიტების რადიკალიზმის გამო , რომლებიც უარყოფენ სუნიტებისა და შიიტების სკოლის ყველა სწავლულებს და მუსლიმებად მხოლოდ თავიანთ თავს თვლიან , ამასთან ერთად ისინი ყველა სახის პროგრესის წინააღმდეგნი არიან .

ჩვენ უნდა ვისაუბროთ ორი სახის ვაჰაბიზმზე , პირველი , რომელიც გავრცელებულია და ოფიციალურ რელიგიადაა აღიარებული საუდის არაბეთში და სასულიერო პირები და მაღალჩინოსნების განცხადებები , რომლებიც გმობენ ნებისმიერი სახის ძალადობას მსოფლიოში და საყოველთაო მშვიდობის ინიციატივით გამოდიან და ვაჰაბიზმი , რომელიც დღესაც მოქმედებს მათ შორის კავკასიაში და სამწუხაროდ მას დასაყრდენი გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც გვიან მოქმედი ნაღმის სახითაა ჩადებული და ნებისმიერ დროს , საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ძალებს შეუძლიათ პროვოცირება ამ ძალებისა და ძალადობის ესკალაცია .

მოკლე არეალი , ანუ ის ტომები რომლებსაც აწუხებდათ ის სოციალური პრობლემები , რომელსაც აგვარებდა და აბალანსებდა ვაჰაბიზმი .

ადრეულ ეტაპზე ვაჰაბიზმის ძალადობრიობა გამოწვეული იყო იმ სოციალური ფონით რაც მათ დახვდათ , ხოლო ამ ყოველიუვეს აღმოფხვრის შემდეგ , თანამედროვე ვაჰაბიზმი საკმაოდ ზომიერ მიმდინარეობად რჩება , დღევანდელი ვაჰაბიზმის მსაზღვრელად უნდა ავიღოთ სწორედ საუდის არაბეთი და მისი პოლიტიკა და არა ის ექსტრემისტები, რომლებიც რელიგიური ფანატიზმით და უდანაშაულოთა ხოცვით გამოირჩევიან .

ეს რადიკალალიზმი უნდა დავაკავშიროთ იმ ოპოზიციურ ძალებთან , რომლებიც მოქმედებენ საუდის არაბეთში და რომლებიც ებრძიან ნებისმიერი სახის პროგრესს და სურთ ქვეყნის დაბრუნება წარსულში , ალ-ვაჰაბის ეპოქაში და ისინი ამას მხოლოდ საუდის არაბეთის მასშტაბით კი არა , არამედ მის ფარგლებს გარეთაც დიდი მოდნომებით ცდილობენ .

ვაჰაბიზმი დღეს თავის თავში აერთიანებს ისლამიზმსაც , ამდენად ისლამიზმისთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ თემის მაქსიმალურად პოლიტიზება , მისი პოლიტიკურ ჭრილში მოქცევა , ამასთან ერთად მათ სურთ განვითარების ეს მოცემული სურათი შეუსაბამონ ისლამს და მის საწყისებს , სწორედ ამიტომ მას მრავლად ჰყავს მიმდევრები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში[16].

სიტუაცია საკმაოდ არასტაბილურია პოსტ საბჭოთა ქვეყნებში , სადაც რელიგიური უმცირესებობები აქტიურდებიან , ვინაიდან საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ , სივრციდან , რომელშიც იკრძალებოდა რელიგია ,გადავინაცვლეთ თავისუფალ რელიგიურ და პოლიტიკურ სივრცეში , სწორედ ეს გახდა მთავარი ნიშანი იმისა , რომ მრავალ ახალ კონფესიებსაც კი ჩაეყარა საფუძველი ამ რეგიონში , ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ , რომ მრავალ საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების შემდეგ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხისა , იყო საბჭოთა 70 წელი , რელიგიური სიბნელე , ახლა

[16] ვაჰაბიზმი https://www.thefreedictionary.com/Vahhabism (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021) გვ. 1

კი ეს ხალხი ცდილობს თავიდან დაიწყოს ურთიერთობა ერთმანეთთან , სწორედ ამიტომ ამ რეგიონში მწვავედ დგას რელიგიური ურთიერთობების საკითხი, განსაკუთრებით კი პოლიეთნიკურ საზოგადოებებში .

სიტუაცია დაძაბული იმით ხდება , რომ რელიგიაა იქცა პოლიტიკის გაგრძელებად , შესაბამისად ამ შემთხვევაში ვაჰაბიზმის დროშას ამოფარებულ პოლიტიკოსებს ეძლევათ საშუალება იმოქმედონ თავისუფლად სხვადასხვა რეგიონში და გამოიყენონ რელიგია ამ ყოველივესთვის , რელიგიური უვიცობა , საკუთარი რელიგიის არ ცოდნა , ეს ის მყარი დასაყრდენია რომლითაც დღეს რელიგიას ამოფარებული ესქტრემისტები ატარებენ საკუთარ პოლიტიკას .

დღეს გავრცელებული ვაჰაბიზმი , არის უფრო სექტა ვიდრე რელიგიური წარმონაქმნი , ვინაიდან მისთვის დამახასიათებელი ნიშნებია გაერთიანება ამ ჯგუფში საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად , ასევე ჰყავთ ბელადი, ლიდერი , რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს უსიტყვოდ, სწორედ ამიტომ ამ სექტაში გაერთიანებულებს აქვთ ერთგვარი აღთქმა უსიტყვო მორჩილებისა , წინააღმდეგ შემთხვევაში აქ მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელია , ხოლო ლიდერიც ისეთ ადამიანებს ირჩევს რომლებიც ადვილია სამართავად , რომლებსაც სჯერათ მისი , ან ეშინიათ და ამ პირობის გათვალისწინებით აღუთქვამენ უპირობო მორჩილებას .

სწორედ ამიტომ ვაჰაბიზმის თანამედროვე გამოხატულება ექსტრემისების მიერ , ცდება ფუნდამენტალიზმს[17] და იღებს პოლიტიკის სახეს , ეს ფაქტი კი გვაძლევს საფუძველს ვისაუბროთ კიდევ ახალი სექტის გაჩენის შესახებ , რომელიც ამ ეტაპზე ამოფარებულია ვაჰაბიზმის სახელს , თუმცა შესაძლოა ახლო ან შორეულ მომავალში მოახდინონ საკუთარი თავის გამოკვეთა , ინდენტიფიკაცია და წარმოჩინდნენ როგორც ახალი წარმონაქამნი . ამდენად ეს საკითხი და თემატიკა აქტუალურია დღევანდელი მსოფლიოსთვის

[17] დაბრუნება წმინდა ტექსტებთან , როგორც რელიგიის და საზოგადოების განახლების ერთადერთ საფუძველთან .

, არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონისთვის , ვინაიდან შეიძლება მომსწრენი გავხდეთ ახალი ძალის ფორმირებისა , რომელიც იქცეს წინამორბედებზე უფრო სასტიკად , სწორედ ამიტომ ეს საკითხი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს არავისთვის , მათ შორის იმ საზოგადოებისთვის , რომელთა რიგებშიც ტრანსფორმირდებიან ჩვეულებრივი მოქალაქეები რადიკალებად.

1.3 მუსლიმი რეფორმატორები და ისლამის შერწყმის მცდელობა ევროპულ იდეებთან

მოდერნისტებს ევროპაში , სურდათ ახალი სული შთაებერათ ქვეყნებისთვის , მათთვის რელიგია იყო ის შემაკავებელი რგოლი , რომელიც ხელს უშლიდა პროგრესს . სწორედ ამიტომ რელიგიამ თანდათან დაკარგა მმართველობის ბერკეტები და წინა პლანზე გადმოინაცვლა სეკულარიზმმა. ეს პროცესი შეეხო მუსლიმურ ქვეყნებსაც , მიუხედავად მათი კონსერვატიზმისა რეფორმატორებს სურდათ ისლამის მოდერნიზება , განვითარებული დასავლეთიდან პროგრესული მიღწევების დანერგვა თავიანთ ქვეყნებში , ისლამის შერწყმა ახალ საწყისებთან , რამაც პრაქტიკულად საზოგადოების გახლეჩა გამოიწვია .

ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტეს ლაშქრობა გახდა საფუძველი არაბულ სამყაროში ძვრების დაწყებისა , ვინაიდან ამ ლაშქრობამ ნათლად გამოაჩინა ის ხარვეზები რომელიც გააჩნდა ეგვიპტეს მმართველობაში თუ სამხედრო თვალსაზრისით , სწორედ ამიტომ რეფორმების ერთგვარი პიონერი არაბული სამყაროში გახლდათ ეგვიპტე და მისი მმართველი მუჰამად ალი . ეგვიპტელი სწავლული რიფაა ატ-ტატჰავი გახლდათ ერთ-ერთი იმ ადამიანთა შორის რომლებსაც წილად ხვდათ პატივი განათლება მიეღით საფრანგეთში , ხოლო ის იქ გაეცნო ფრანგ განმანათლებლებს , (მონტესკიე , რუსო) და მათი იდეებით შებყრობილმა დაინახა აუცილებლობა რეფორმებისა , მას მიაჩნდა , რომ თავის

დროზე განვითარება სწორედ არაბული ცივილიზაციის წყალობით შევიდა ევროპაში , ახლა კი დრო იყო მათ მიერ დათესილი ხის ნაყოფი თავადაც მიეღოთ და დაენერგათ ის აზროვბრივი თუ ტექნოლოგიური პროგრესი , რომელიც ასე თვალსაჩინო იყო დასავლეთისთვის[18].

პანისლამიზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კი გახლდათ ჯამალ ად-დინ ალ-ასდაბადი , ცნობილი როგორც ალ-ავღანი . მან მრავალი წელი დაჰყო დასავლეთში , საბოლოოდ კი მივიდა იმ დასკვნამდე , რომ დავალეთი ცუდია და საფრთხის მომტანია არაბული სამყაროსთვის , თუმცა ამავდროულად ის ტექნიკური პროგრესი რაც მათ აქვთ აუცილებლად დასანერგია .

ალ-ავღანი გახლდათ პოლიტიკური აქტივისტი და ისლამის იდეოლოგი , რომელიც მოგზაურობდა მთელს ისლამურ სამყაროში მეტი ცოდნის და გამოცდილების მისაღებად . ის გახლავთ ისლამური მოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი , ევროპაში პანისლამური ერთობის ფუძემდებელი და იდნოეთში ადგილობრივ მუსლიმთა ,,ადვოკატი'' კოლონიზატორი ბრიტანელების წინააღმდეგ .

რაც შეეხება მის ეროვნებას , ის საკმაო ბუნდოვანებით გამორჩევა მკვლევართა მხრიდან, თვითონ ალ - ავღანი კი თავს ავღანელად მიიჩნევდა და ამტკიცებდა რომ მისი წარმომავლობა სწორედ ავღანეთს უკავშირდებოდა , თუმცა იყო ვერსიები იმის შესახებ , რომ ის წარმოშობით იყო ირანიდან , ხოლო მისი ეს დაჟინება და უარყოფა ირანული ფესვებისა უკავშირდებოდა შაჰ ნასერ ალ-დინთან უკმაყოფილებას და დევნას , ხოლო მესამენი კი ფიქრობენ , რომ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აირჩია ეროვნებად ავღანელი , რომ თვითონ

[18] გელოვანი ნ , სანიკიძე გ. - ,,ისლამი , ისტორია , ცივილიზაცია '' , თბილისი 2009 , გვ. 350-380

გახლდათ სუნიტ ოჯახში დაბადებული და ავღანელის წოდებით უფრო მეტ ნდობას მოიპოვებდა სუნიტ აღმსარებლებში[19].

1881 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით: ,, მატერიალისტების უარყოფა'' , რომელშიც ის გამოკვეთილად საუბრობდა პან-ისლამური გაერთიანების შესახებ[20] , რომლითაც უნდა შებრძოლებოდნენ დასავლურ იმპერიალიზმს. ალ-ავღანს ასევე სურდა , რომ შიიტებსა და სუნიტებს საერთო ენა გამოენახათ , თუმცა მან კონსტანტინოპოლში ვიზიტის დროს მაინც უარყო თავისი შიიტური წარმომავლობა და ეროვნებად არა ირანელი არამედ ავღანელი აირჩია. საინტერესოა ასევე მისი შეხედულება დარვინის ევოლუციის თეორიის შესახებ , რომელსაც თავის დროზე ბერვი კრიტიკაც კი მოყვა ალ-ავღანის წინააღმდეგ , საბოლოოდ კი ავღანი მივიდა იმ დასკვნამდე , რომ ევოლუციის თეორია მართებულია მხოლოდ ცხოველებთან მიმართებაში და ადამიანი არ არის ევოლუციის თეორიის პირმშო ვინაიდან მას სული გააჩნია[21].

რაც შეეხება ისლამური მოდერნიზმის კიდევ ერთ სიმბოლოს მუჰამედ აბდუს , რომელიც წარმოშობით იყო ეგვიპტელი , მისი პორფესია კი იყო მრავალმხრივი , ის გახლდათ :იურისტი , მწერალი და თეოლოგი , რომელსაც აქვს მრავალი ნაშრომი დაწერილი , მათ შორის კომენტარები ყურანის შესახებ და ,,ტრაქტატი ღმერთის ერთიანობის შესახებ ის გახლდათ პან-ისლამური[22]

---

[19] იხილეთ შენიშვნა N2 გვ. 97

[20] ალ-ავღანი 1897 წელს გარდაიცვალა სტანბულში სადაც დაკრძალეს ის , თუმცა შემდგომ ავღანეთის ინიციატივით და მონდომებით 1944 წელს ის გადმოასვენეს ავღანეთის ტეროტორიაზე და ქაბულში ერთ-ერთი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს სადაც მავზოლეუმიც კი გააკეთეს მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

[21] ჯამალ ად-დინ ალ-ავღანი www.britannica.com/biography/Jamal-al-Din-al-Afghani (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021) გვ. 1

[22] პანისლამიზმის ფუძემდებელი არის ალ-ავღანი , ხოლო თვითონ პანიზლამიზმის იდეა მდგომარეობს ორი სახის სულისკვეთებაში , პირველი ეს გახლავთ : რადიკალური პანისლამიზმი , რომელიც გულისხმობს ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნას და მოშლას ყველანაირი საზღვრისა მუსლიმურ ქვეყნებში , ხოლო მეორე : ზომიერი პანისლამიზმი , რომლის იდეაც მხოლოდ ჰარმონიულ შეთანხმებაში გამოიხატება სხვა მუსლიმურ სახელმწიფოებთან .

იდეოლოგიის ერთ-ერთი პიონერი , თანამოაზრე და როგორც აღინიშნა ალ-ავღანის ყველაზე ერთგული მოსწავლე .

აბდუს იდეები საკმაოდ პროგრესული გახლდათ რის გამოც მას ურწმუნოსაც კი უწოდებდნენ ის მიიჩნევდა , რომ არ შეიძლებოდა თანამედროვე მუსლიმები დაყრდნობოდნენ შუა საუკუნეების თეოლოგიების ნააზრვსა და ინტერპრეტაციებს , რომელიც აბდუს აზრით იყო ლაგამის ამოდება და დაბრკოლება განვითარებისთვის , აბდუს აზრით ისლამის მთავარი მოწოდება გახლდათ კაცების მობრუნება და მიდრეკილება სწავლისკენ , რომელიც უნდა ყოფილიყო განვითარების წინაპირობა , რადგან ისლამი ხელს უყწყბდა იმას , რომ ყოველი შემდეგი თაობა მოწყვეტილიყო მისი წინაპაპრების იდეებს , რომელიც ხშირ შემთხვევაში აბრკოლებდნენ მათ , რადგან ისლამი სწორედ მონურ მორჩილებას ეწინააღმდეგებოდა[23] .

აბდუ ქადაგებდა ძმობას და თანამშრომლობას ყველა რელიგიურ სკოლას შორის და აქტიურად ცდილობდა საერთო ენის გამონახვას შიიტებსა და სუნიტებს შორის , რათა მუსლიმური თემის სრული განვითარება და ჰარმონიული თანაცხოვრება მომხდარიყო . ასევე ქტიურად აკრიტიკებდა იმ ცრურწმენებს რაც სუფიზმიდან მომდინარეობდა და ამვდროულად ცდილობდა ეგვიტპეში სიდიდით მეორე კონფესიის ქრისტიანების წარმომადგენლებთან საერთო ენის გამონახვას რათა მომხდარიყო დამეგობრება ეგვიპტელი ქრისტიანი და მუსლიმი თემის წარმომადგენლებისა . მას ბევრი ქრისტიანი მეგობარი ჰყავდა და ძალიან ბევრჯერ დაიცვა კოპტების უფლებები . ის რამდენჯერმე შეხვდა აბდულ ბაჰას , რომელიც იყო დამაარსებელი ბაჰაულა[24]ს რელიგიური კონფესიისა , რომელთანაც და რომლის იდეებთანაც

[23] იხილეთ შენიშვნა N3 გვ. 97

[24] რელიგიური გაერთიანება ირანში , რომელიც შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნეში და რომლის დამაარსებელიც გახლდათ აბდულ ბაჰა , ეს იდეა კი მდგომარეობს იმაში , რომ ღმერთი ყველა ხალხისთვის არის ერთი და სწორედ ამიტომ არ არის არანაირი საჭიროება სხვადასხვა რელიგიების არსებობისა ,რომელთაც სხვადასხვა რიტუალები აქვთ , რადგან მოვა დრო როდესაც ყველა ეს რელიგია აუცილებლად გაერთიანდება .

საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულებით გამორჩეოდა მუჰამედ აბდუ . აბდუს სჯეროდა და სურდა , რომ მუსლიმებს უნდა წაეკითხათ თორა და ბიბლია , ხოლო ამ სამ რელიგიას მშვიდობიანად ეარსებათ ერთმანეთში , რადგან როგორც აბდუ აღნიშნავდა ეს წიგნები მხარს უჭერენ ერთმანეთს , სწორედ ამიტომ მათ დარეგულირებულ ურთიერთობას შეიძლებოდა მოეტანა ის მშვიდობა რომელიც აბდუს აზრით გამოიხატებოდა ქრიტიანების და მუსლიმების ხელიხელჩაკიდებულობაში .

თავი II რადიკალიზმი ისლამში , ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე რთული პროცესების ფონზე

2.1 ისლამიზმის , ფუნდამენტალიზმის და ტერორიზმის საკითხისათვის

სსრკ-ს დაშლის შემდეგ მსოფლიოში ახალი დღის წესრიგი დადგა , რომელიც მდგომარეობდა უკვე ცივილიზაციათა შეჯახებაში , რომელიც ამავე სახელწოდების ნაშრომში აღწერა სამუელ ჰანტიგტონმა[25], ახალ გამოწვევად კი მან დაასახელა ისლამი , ისლამი დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ , სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის ძალა რომელიც შეძლებდა დასავლეთთან დაპირისპირებას[26] .

ისლამისტების ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ ჰასან ალ ბანა , დამაარსებელი ასოციაცია ,,მუსლიმი ძმებისა '' , რომელიც შემდგომ სხვა ისლამისტებისთვის გახდა ის წერტილი , რომელზეც ახდენდნენ ორიენტირებას და მიმბაძველობას , ასევე ისლამისტური იდეით იყვნენ შებყრობილნი ისეთი მოაზროვნენი როგორებიც გახლდათ : ალ-ავღანი , ალ - მადვუდი , ალ- ვაჰაბი , რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ . მათი ძირითადი მიზანი კი გახლავთ მუსლიმი თემის , უმმას აღდგენა და დაბრუნება იმ საწყისებთან რომელსაც ეწოდება გზა შუამავალი მუსამედისა და შემდგომ ოთხი მაქრთლმორწმუნე ხალიფასი , შემდგომი მრავალსაუკუნოვანი ისტორია პრაქტიკულად არის უარყოფილი , ვინაიდან ყველა სუნიტ ისლამისტს მკვეთრად აქვს გამოხატული

---

[25] სამუელ ჰანტიგტონი 1927-2008 , ამერიკელი პოლიტოლოგი მრჩეველი და მეცნიერი . ის ცნობილია 1993 წლის თეორიით ,, ცივილიზაციათა შეჯახება '' , ცივი ომის შემდგომი ახალი მსოფლიო წესრიგი .

[26] ისლამიზმი , ეს გახლავთ რელიგიის გაგება პოლიტიკურ ჭრილში , წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით და ის თავისი არსით განსხვავდება მუსლიმურისგან , მუსლიმური ეწოდება სახელმწიფოს , რომლის მოსახლეობის უმრავლესობაც გახლავთ მუსლიმი , ხოლო ისლამური კი გალხავთ სახელმწიფო რომელიც იმართება რელიგიური კანონებით , რომელშიც საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთისგან არ არის გამოყოფილი .

სულისკვეთება დაუბრუნდნენ სწორედ ისლამის საწყისებს და შუამავლის ცხოვრება , ჰადისები და ყურანი იქნეს ბუკვალურად აღქმული და გაგებული .

პრაქტიკულად შეიძლება ითქვას , რომ ირანის გარდა ისლამისტური მოძრაობების ლიდერები გახლავთ არა სასულიერო პირები , არამედ სწავლულები , რომლებმაც რელიგიური განათლება შეიძინეს სკოლებში და შემდგომად ამისა მიიღეს ექსპერტის წოდება , რის შემდეგაც ჰქონდათ უფლება ესაუბრათ როგორც ისლამის ექსპერტის სახელით .

ისლამისტების მთავარ მიზანს წარმოადგენს დაპირისპირება დასავლეთთან და რეისლამიზაცია , თუმცა ისინი ამ გზაზე დასავლურ ტექნიკურ მიღწევებს არ უგულებელყოფენ , არამედ პირიქით , სწორედ ამ ტექნიკური განვითარების გამოყენებით სურდათ თავიანთი მიზნის მიღწევა . ისინი მიიჩნევდნენ , რომ მთავარი კანონშემექმედი იყო ღმერთი და სწორედ ამიტომ უარყოფენ ნებისმიერი სახით საჯარო ხელისუფლების გამოყოფას და მითუმეტეს მის კანონშემოქმედებას , ვინაიდან ისლამისტ[27]თა აზრით შარიათი გახლავთ ის რაც უცვლელია დროსთან მიმართებაში , სწორედ ამიტომ არანაირი კომპრომისი ხელისუფლებასთან არ მიიღწევა , ამდენად ისლამისტობა გახდა საკუთრივ ბრძოლა როვოლუციური გზით ხელიფულების უზურპაციისთვის , რათა შეერთდეს საერო და სასულიერო ხელისუფლება , და სულიერი ლიდერი ისლამური წესებით მართავდეს ქვეყანას[28].

რაც შეეხება იმ მთავარ გამყოფ ზოლს ისლამიზმსა და ტრადიციონალიზმს შორის ამ ზოლად შეიძლება მივიჩნიოთ მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან მიმართებაში , ვინაიდან ტრადიციონალისტების შეხედულება მეტადაა რომანტიზმით გაჯერებული და მოიცავს სოციალურ საკითხებს , როგორებიცაა ჩაცმის სტილი , ქალის

[27] იხილეთ შენიშვნა N4 გვ.98

[28] სანიკიძე გ. ,,ისლამიზმი ,, ფუნდამენტალიზმი , ინტეგრიზმი , ტრადიციონალიზმი , ცნებათა განმარტებისთვის '' , პერსპექტივა XXI (2) , თბილისი 1999 გვ. 1

განათლება და სხვა. მარტივი მაგალითით უფრო მეტად თვალსაჩინო რომ გახდეს ის განსხვავება რაზეც ვსაუბრობ , ტელევიზორს ტრადიციონალისტი მუსლიმები განაგდებენ , როგორც თანამედროვე საშუალებას , რომელმაც შეიძლება ისინი დააშორონ ისლამს და მისგან შორს დაიჭერენ თავს , მაშინ როდესაც ისლამისტები იბრძოლებენ ტელევიზორის გავრცელებითვის , თუ ისინი მოახდენენ ტოტალურ კონტროლს მედია საშუალებებზე და ეკრანი გახდება მათი პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი . ასევე განსხვავებად შეიძლება მივიჩნიოთ იჯთიჰადი[29] , ფუნდამენტალისტები ფიქრობენ , რომ ყურანისა და ჰადისების გაგება , მათი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს იმ ეპოქასთან შესაბამისობაში რომელშიც ვცხოვრობთ , არსობრივად გარკვეულ მხარეს ამ მოსაზრებისას იზიარებენ ისლამისტებიც , რომლებიც ბრძოლის მეთოდსა და გამოწვევას სწორედ თანამედროვეობასთან მიმართებაში ადგენენ , თუმცა ფუნდამენტალისტების მთავარი მიზანი გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ზეწოლა ხელისუფლებაზე , რომ მათ გაატარონ ისლამური პოლიტიკა და კანონები , ხოლო ისლამისტების მთავარ მიზანს კი ხელისუფლების უზურპაცია წარმოადგენს .

ირანის რევოლუცია გახდა ერთგვარი გამარფთხილებელი ნიშანი არაბული ქვეყნებისთვის , რომ მეტი ყურადღება მიექციათ ისლამისტური ორგანიზაციებისთვის , და არ დაშორებოდნენ საჭიროზე მეტად ისლამს , სწორედ ამიტომ ხელსუფლების წარმომადგენლებიც , მათი ავტორიტეტის განსამტკიცებლად ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ რელიგიურ ჩარჩოებს , მაგ. საუდის არაბეთის მეფის ფადიჰის ტიტული , რომელიც მან მიიღო 1986 წელს , ,,ორი წმინდა ქალაქის (მექა და მედინა) მცველი ‘’ , რომელიც ნიშანი იყო იმისა , რომ მისი ხელისუფლება ღვთისგან მომდინარეობდა და აბსოლიტურად ლეგიტუმური იყო .

[29] განმარტება , ინტერპრეტაცია .

შემდგ უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ნეოფუდამენტალისტები , რომლებიც მიიჩნევენ , რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო არ მართავს ქვეყანას ისლამური კანონების შესაბამისად , იტოვებენ უფლებას შექმნან პოლიტიკური პარტიები და მოვიდნენ ხელისუფლებაში , რათა ქვეყნის მართვაში მთავარი როლი ისევ ისლამს დაუკავშირდეს , თუმცა ისინი ასევე დიდ წინააღმდეგობაში მოდიან ისლამის გათანამედროვეობასთან იმ კუთხით , რომ შევიდნენ ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობებში დასავლურ სამყაროსთან , ეს უკანასკნელი კი ისლამისტების მთავარი მახასიათებელია[30].

აღსანიშნავია ასევე განსხვავება ქალებთან დამოკიდებულებაში , ნეოფუნამენტალისტები გამორიცხავენ ქალებისთვის მუშაობის უფლების მიცემას , მაშინ როცა ისლამისტურ ორგანიზაციებში ქალებსაც აქვთ გარკვეული დეპარტამენტები და შესაბამისი უფლებები .

რაც შეეხება შიიტებს , მათი მკაცრი თვალთახედვით არის განსაზღვრული ის , რომ ქვეყანა უნდა იმართებოდეს უმაღლესი სასულიერო პირის მიერ , სხვა ყველა შემთხვევა მიჩნეულია როგორც ხელისუფლების უზურპაცია სხვათა მიერ , რომელიც უნდა დაუბრუნდეს თავის ჭეშმარიტ ნიშნულს , ანუ უმაღლესი სასულიერო იერარქი უნდა გახდეს მმართველი ქვეყნისა , რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს თვით სულთანიც კი .

ისლამური რევოლუციის საკითხში კი შეხედულებები შიიტებისა და სუნიტებისა არის შემდეგი სახის , სუნიტები მიიჩნევენ , რომ რევოლუცია ეს არის უარყოფა იმ მრავალი საუკუნისა , რომელიც ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას შემდგომ გავიდა , ამ სახით კი პირველსაწყისთან დაბრუნება , ხოლო შიიტები მიიჩნევენ , რომ ისლამური რევოლუცია ეს გახლავთ იმ ფარული

[30] სანიკიძე გ , შიიზმი და სახელმწიფო ირანში , თბილისი : საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი , თბილისი 2005, გვ . 60-65 .

იმამის გამოჩენა , რომლის მოსვლის შემდეგ სამართლიანობა უნდა დამყარდეს მთელს მსოფლიოში , ანუ ეს გახლავთ მეორედ მოსვლა .

რადიკალების და ექსტრემისტების მოწოდებების შედეგად ისლამი , მისი სახელი მსოფლიოში გაიგივდა ძალადობასთან, თუმცა რეალობა არის საპირისპირო , რადგან დასავლეთის გვერდში დგომის შემთხვევაში ისლამს აქვს ის ძალა , რომ იქცეს დემოკრატიის გამოხატულების სიმბოლოდაც კი და ამავდროულად არ დაკარგოს თავისი იდენტობა .

რაც შეეხება ტერორიზმს ტერმინები ,, ტერორიზმი და ტერორისტი '' წარმოიშვა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს საფრანგეთის რეოვულციის შემდეგ , თუმცა დიდი პოპულარობა მოიპოვა გასული საკუნის 70-იანი წლებიდან , როდესაც გააქტიურდნენ სხვადასხვა ტერორისტული ძალები . ტერორიზმი ეს გახლავთ ძალის გამოყენება , შიშის დანერგვა , ფსიქოლოგიური ტერორის მოხდენა რათა მიღწეულ იქნეს კონკრეტული , ამ შემთხვევაში ტერორისტული აქტის მოქმედ მხარეთა მიზნები . ტერორისტები , თავიანთ თავს უწოდებენ ისეთ მებრძოლებს , რომლებიც მაღალი იდეალებისთვის იბრძვიან , საკუთარ თავს არ აიგივებენ კანონგარეშე მებრძოლებთან ან ქურდებთან , მათი გადმოსახედიდან ტერორისტები სწორედ ხელისუფლებების ის წარმომადგენლები არიან , რომლეთაც მათ სხვა გზა არ დაუტოვეს გარდა იარაღის ხელში აღებისა და ბრძოლისა . მათთავის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ სიმცირე მებრძოლებისა , შეიარაღებისა და სხვ. რომელიც აიძულებს მათ მიმართონ პარტიზანულ ომებს , თავს დაესხან კონკრეტულ , წინასწარ დაგეგმილ ტერიტორიას და სწრაფადვე დატოვონ აღნიშნული ადგილი , ვინაიდან მათ არ შესწევთ ძალა პირდაპირ ღია ბრძოლაში ჩაებან ძალოვანი უწყების წარმომადგნელბთან[31], სიტუაცია ამ მხრივ ნაწილობრივ შეიცვალა ,,დაეშის '' ფუნქციონირების დროს, თუმცა ეს

[31]ტერორიზმი https://ekuonline.eku.edu/homeland-security/definition-history-and-types-terrorism (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021) გვ.1

ტერორისტული ორგანიზაცია სხვა მრავალი მოვლენითაც გახლდათ პიონერი ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის , როგორიც გახლავთ ტერორიტორია და ის დიდი ფინანსები, შეიარაღება და მებრძოლთა რაოდენობა რომლის შედეგადაც ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში ავიწროვებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ახროცილებდნენ ფსიქოლოგიურ ტერორს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მცხოვრები ადამიანების წინააღმდეგ.

არსებობს ტერორიზმის რამდენიმე ფორმა: პოლიტიკური[32] , სოცლიალურ - ეკონომიკური, ,,მემარჯვენე '' ტერორიზმი , ნაციონალური ტერორიზმი , რელიგიური ტერორიზმი და ა.შ. ხოლო ამ უკანასკნელზე გავამახვილებ ყურადღებას სამაგისტრო ნაშრომში . რაც შეეხება თვითოეულ მათგანს .

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ იგივე ,, მემარცხენე'' ანარქისტულ ტერორიზმს , მას საფუძველი მეცხრამეტე საუკუნეში დაედო თუმცა ვერ გავნითარდა იმ მარტივი მიზეზის გამო , რომ ანარქისტებმა პრაქტიკულად უარი განაცხადეს სხვა პარტიებთან და მხარეებთან თანამშრომლობაზე , ,,მემარცხენე'' ტერორიზმის ერთ-ერთი პიონერი გახლავთ რუსეთი და მისი ტერორისტული ორგანიზაცია ,,ნაროდნაია ვოლია '' , რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობაში შიშის დანერგვა და თავისი სიძლიერის დემონსტრირება . ისინი სახალხოდ აწყობდნენ ტერორისტულ თავდასხმებს და მათი სამიზნე მთავარ პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად მშვიდობიანი მოსახლეობაც გახლდათ[33]/

მემარცხენე ტერორიზმი ან უკიდურესად მემარცხენე ტერორიზმი, რომელსაც ზოგჯერ მარქსისტულ-ლენინური ტერორიზმი ან რევოლუციური მემარცხენე ტერორიზმი უწოდებენ, არის ტერორიზმი, რომლის მიზანია კაპიტალისტური სისტემების დამხობა და მათი ჩანაცვლება მარქსისტულ-

[32] პოლიტიკური ტერორიზმი მოიცავს კონკრეტული ტერორისტული აქტის ჩადენას , გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად .

[33] Jennifer Varriale Carson- ,,Left-wing Terrorism: From Anarchists to the Radical Environmental Movement and Back '' - Chapter • January 2016 p. 1-8

ლენინური ან სოციალისტური საზოგადოებებით. მემარცხენე ტერორიზმი ასევე ხდება სოციალისტურ სახელმწიფოებში, როგორც აქტივიზმი მოქმედი მმართველი მთავრობის წინააღმდეგ.

მემარცხენე ტერორისტული ჯგუფების უმეტესობა, რომლებიც მოქმედებდნენ 1970-იან და 1980-იან წლებში, გაქრა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში. მემარხსენე ტერორიზმზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა კომუნისტურმა და სოცილაისტურმა მიმდინარეობებმა , ერთ-ერთი მათგანი კი გახლავთ ზემოთ ხსენებული ,,ნაროდნაია ვოლია '' . დევიდ ბრანანი[34] თავის ნარკვევში აღნიშნავს , რომ მემარცხენე ტერორისტები არ ცდილობენ შეუტიონ საზოგადოებას , განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა და შეხედულებისა , ვინაიდან მათი ძირითადი იდოლოგია გახლავთ სოციალისტური და სწორედ ამიტომ ისინი თავს მშრომელთა იდეების დამცველებად წარმოაჩენენ. თანამედროვე ,,მემარცხენე '' ტერორიზმი სათავეს იღებს 1968 წლის პოლიტკური არეულობების ფონზე , რომლის დროსაც წინა პლანზე აღმოჩნდნენ ისეთი ჯგუფები როგორებიც არიან , ,,გერმანიის წითელი არმიის ფრაქცია[35]'' , ..იტალიის წითელი ბრიგადები[36]'' მათ უკვე უწოდებენ წარსულის ტერორისტული ორგანიზაციებს .

რაც შეეხება ე.წ. ,,მემარჯვენე ტერორიზმს '' ის განპირობებულია ექსტრემისტული იდეებით , რომელიც გაჯერებულია ნეონაციზმით ,

---

[34] გლაზგოს უნივერსიტეტის ფილოფოფიის ბაკალვრი , ლონდონის უნივერსიტეტის დოქტორი .

[35] ორგანიზაციის შექმნის შესახებ გამოცხადაა 1960-იანი წლების მიწურულს , როემლსაც ხელძღვანელობდა ულრიკა-მარია მაინჰოფი . ორგანიზაციის მტავარი ლოზუნგი კი გახლდათ ,, ვინც შეიარაღდება , ის მოკვდება , იმას ცოცხლად დამარხავენ ციხეებში , გამოსასწორებელ დაწესებულებებში , ბაღებში , სკოლებში და ა.შ. ორგანიზაციის მთავარ მიზანს კი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა , რომელიც მათი მტკიცებით სსრკ-ს გამარჯვების შემდეგაც არ გამქრალა .

[36] იტალიური მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია , რომელიც დაარსდა 1970 წელს და თითქმის 20 წელი იარსება , მის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ტრრენტონის უნივერსიტეტის სოციოლოგიურმა ფაკულტეტმა , რომელშიც 1960-იანი წლების ბოლოს ,,წითელი ბრიგადების რამდენიმე ლიდერი სწავლობდა . მათი საყვარელი ავტორები იყვნენ : კარლს მარქსი , კარლ კაუცკი , ჰერბერტ მარკუზე , მაო ძედუნი , ხოლო მათი თეორეტიკოსი კი გახლდათ ანტონიო ნეგრი .

ნეოფაშიზმითა თუ რასობრივი სახის დისკრიმინაციული მოწოდებებითა და იდეოლოგიით .

მემარჯვენე ტერორისტების მიზანია მთავრობების დამხობა და მათი ჩანაცვლება ნაციონალისტური ან ფაშისტური რეჟიმებით , მათ სამიზნეს და ,,მტერს'' წარმოადგენს საზოგადოების ის ნაწილი , რომელიც მათი ხედვით არ არიან მათი ნაწილი და თავს მათზე აღმატებულად მიიჩნევენ . ყველაზე ცნობილი დაჯგუფება მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციისა გახლდათ კუ-კლუქს კლანი , რომელიც ჩაისახა აშშ-ში რომლის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1867 წელი . მისი წევრები აქტიურად იბრძოდნენ ფერადკანიანთა წინააღმდეგ , მათი ყოველგვარი უფლების აღსაკვეთად . აღსანიშნავია ასევე ის , რომ ამ ორგანიზაციას მხოლოდ 1999 წელს , ჩარსლტონის საბჭოს მიერ მიღებული როზოლუციით მიენიჭა ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი . კუ-კლუქს კლანმა არსებობის ისტორიაში სამი დიდი ეტაპი გაიარა , პირველი გაგრძელდა დაარსებიდან 1872 წლამდე და ამ დროის მონაკვეთში მათ აქტივში დაახლოებით 200 - ზე მეტი შავკანიანი მოქალაქის სიცოცხლის მოსპობაა . მეორე ეტაპი ამ ორგანიზაციისა გახლავთ 1915 წელი როდესაც ატლანტაში დაარსდა მეორე კლანი , რომლებიც უკვე ღიად უპირისპირდებოდნენ შავკანიანებთან ერთად , კათოლიკურ ეკლესიას , ებრაელებს და იტალიელ მიგრანტებს. მაგრამ მათ მთავარ გამოძახილად მაინც დარჩა თეთრკანიანთა რასის უპირატესობის ,,დაცვა'' საბოლოოდ კი 1940 წელს დაიშალა ეს ორგანიზაცია[37].

ბოლო , მესამე ეტაპი ამ დაჯგუფებისა კი დაიწყო 1960 იანი წლების ბოლოს , თუმცა დღეისთვის ეს ორაგნიზაცია არის ძალაგამოცლილი , იდეურად კი ის დაშლილად ვერ გამოცხადდბა , ვინაიდან რასიზმი დღესაც საკმაოდ აქტუალურია და დიდი პრობლემაცაა მთელს მსოფლიოში .

[37] ,,მემარჯვენე ტერორიზმი '' https://theconversation.com/right-wing-extremism-the-new-wave-of-global-terrorism-147975 (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021) p. 1

რაც შეეხება ნაციონალისტურ-სეპარატისტულ ტერორიზმს რომელსაც მსოფლიოში ბევრი წარმომადგენელი ჰყავს , ხოლო მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან , ეტა - ბასკური ნაციონალისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია , რომელიც იბრძვის ბასკეთის დამოუკიდებლობისთვის , ამ ორგანიზაციის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1959 წელი , თავდაპირველი მათი სამოქმედო გეგმა კი გახლდათ ბრძოლა ფრანკოს რეჟიმთან , 1973 წელს მათ მიერ მოწყობილ ტერაქტს კი პრემიერ მინისტრი ლუის კარერო ბლანკო შეეწირა . დღეს ეს ორგანიზაცია პრაქტიკულად გაუქმებულია .

ასევე აღსანიშნავია ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია , რომელიც დაარსდა 1969 წელს და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და გამოყოფა ბრიტანეთისგან .

რაც შეეხება რელიგიურ ტერორიზმს , ჩემს სამაგისტრო ნაშრომში მას საკმაოდ ვრცლად წარმოგიდგენთ კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურის , სამოქმედო გეგმის, იდეოლოოგის და დაარსების ისტორიის მაგალითზე . მცირე განმარტების სახით კი რელიგიური ტერორიზმი შეეხება რელიგიის გამოყენებას ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად , რომლიც გადის მორწმუნე , მაგრამ რელიგიაში ნაკლებად გარკვეული ადამიანების გრძობების უხეშად გამოყენებაზე , რომლის მაგალითებსაც თქვენ ამ ნაშრომის გაცნობის კვალდაკვალ მრავლად ნახავთ . რელიგიური ტერორიზმიდან ამ ნაშრომში მე ყურადღებას გავამახვილებ კონკრეტულად ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებზე , რომელთაგან ბოლო პერიოდში მომავალი საფრთხეები სერიოზულ გამოწვევად დარჩა თანამედროვე მსოფლიოსთვის .

დასაწყისში ყურადღებას გავამახვილებ პირველ ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაცია ,,ასასინებზე '' . რომელიც თავისი ხასიათით , სტრუქტურით , მოქმედების არეალით , იდეოლოგიით , მკვეთრად

განსხვავდება შემდგომი დროინდელი და მათ შორის თანამედროვე ისლამისტური ორგანიზაციებიან .

ისმაილიზმი შიიტური ისლამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმდინარეობაა , რომლის შექმნაც უკავშირდება განხეთქილებას შიიტებს შორის , რომელიც გამოწვეული იყო მერვე საუკუნის შუა ხანებში შიიტთა მეექვსე იმამის ჯა'ფარ ას-სადიკის მიერ მემკვიდრედ უფროსი ვაჟის (ისმაილის) ნაცვლად უმცროსის მუსა ალ-ქაზიმის დანიშვნით , რასაც პროტესტი მოჰყვა და ისმაილის მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს ახალი მიმდინარეობა , რომელსაც ისმაილის სახელი დაერქვა , ხოლო განდგომილმა ნაწილმა მეშვიდე იმამად სწორედ ისმალილის ვაჟი მუჰამედი დაასახელეს , ამ ყოველივეს კი დიდი გამოხმაურება მოჰყვა რეგიონში , საბოლოოდ კი ეს ეგვიპტეში ფატიმიანი ისმაილიტების ბატონობით დასრულდა , თუმცა შემდგომ მათ შორისაც მოხდა განხეთქილება , ისმაილიტებს განუდგენენ ფატიმიანი ხალიფას ალ-ჰაქიმის მომხრეები და მათ შექმნეს ახალი მიმართულება რომელსაც ეწოდა დრუზების (ჰაქიმიტების) თემი[38]. მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს კი ისმალიტებმა შექმნეს სახელმწიფო ირანში , მისი დედაქალაქი კი ალამუთი გახდა , შემდეგ კი მოხდა განხეთქილება ირანელ ისმაილიტებში , ნაწილი ან-ნიზირის იმამათს უჭერდა მხარს , ხოლო ეგვიპტელების ფავორიტი კი გახლდათ ალ-მუსთალი , სახელმწოდებაც შესაბამისი მიიღეს , პირველებმა ნიზარიტები , ხოლო მეორეებმა მუსთალიტები . რაც შეეხება ნიზარიტებს მათ ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვეს რეგიონში , მათი საქმიანობა და ბრძოლის მეთოდი კი ატარებდა ტერორისტულ ნიშანს , სწორედ ამიტომ მათ ჯვაროსნული ომების მემატიანეებმა ასასინები უწოდეს[39] .

,,ასასინები'' იყვნენ პიონერნი ტერორისტული საქმიანობაში , მათ ჰქონდათ გამორჩეული საბრძოლო ტაქტიკა , რომელიც მდგომარეობდა

---

[39] ნარიმანიშილი გ. , ასასინები (მითი და რეალობა) თბილისი 2012, გვ. 24-37 .

პოლიტიკური ოპონენტის საჯარო ლიკვიდაციაში , რომელიც სერიოზულ და დიდ ფსიქოლოგიურ დარტყმას აყენებდა სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს და ისინი მალევე ექცოდნენ ,,ასასინების'' იდეოლოგიის გამტართა რიგებში , თუმცა მთავარი რაც უნდა აღინიშნოს გახლავთ ის , რომ ,,ასასინები'' მასობრივი შეტაკების ნაცვლად იყენებდნენ მხოლოდ კონკრეტულ , ერთ ადამიანზე თავდასხვამას და ახდენდნენ მის ლიკვიდაციას , გარშემო მყოფთა სიცოცხლეს არ ეხებოდნენ , თუმცა ამ ფაქტის ხილვა მათ უკვე აყენებდა ფსიქოლოგიურ ტერორს და დაშინებას .

რაც შეეხებოდათ მათ ვინც უშუალოდ მისიის შესასრულებლად მიდიოდა , ვინაიდან ამ მისიის შესრულების შემდეგ , შემსრულებელს გარდაუვლად უნდა მოეკლა თავი , ის მიჰყავდათ სპეციალურად მოწყობილ ადგილზე , რომელშიც იყო მდიდრული ბაღები და სპელიალური სისტემით შეყვანილი რძისა და თაფლის მდინარეები , ასევე ამ ბაღს ემსახურებოდნენ ულამაზესი ქალწულები , სწორედ ამით აბრუებდნენ დავალების უშუალო შემსრულებელს , თითქოს მან იმოგზაურა სამოთხეში და სიკვდილის შემდგომ კი სამუდამოდ ამ ადგილზე ყოფნას ჰპირდებოდნენ , ხოლო მისიის შემსრულებელი კი გახლდათ ფიდაი . ეს ყოველივე თავის ნაშრომში აქვს არწერილი მარკო პოლოს ამ ადგილებში მოგზაურობის შემდეგ .

2.2 პოლიტიკური ისლამის რენესანსი და მუსლიმი ძმები

ჰასან ალ-ბანნა გახლავთ ,,მუსლიმი ძმების''ორგანიზაციის დამაარსებელი , ის დაიბადა 1905 წელს მოჰამადიაში (ეგვიპტე) , მამას რომელიც გახლდათ ჰანბალიტი მეცნიერი , ასევე იმამი და მასწავლებელი მეჩეთში ,სურდა , რომ მის უფროს ვაჟსაც შეესწავლა წმინდა წიგნები , სწორედ ამიტომ 8 წლის ასაკში ის ყურანის შემსწავლელ დაწყებით სკოლაში აღმოჩნდა , ალ-ბანას პირველი მასწავებელი გახლდათ შაიხ მუჰამმად აზ-ზაჰრანი ,

რომელიც გამორჩეოდა თავისი რელიგიური ფანატიზმით , მან საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ალ ბანას შემდგომ განვითარებაზე[40].

1927 წელს მან დაარსა ,,ახალგაზრდა მუსლიმთა ასოციაცია'' , წინა საფეხური ,,მუსლიმი ძმების'' დაარსებისა .. რომელიც ალ-ბანამ მის ექვს მიმდევართან ერთად შექმნა , მათ ფიცი დადეს , რომ ისლამისთვის თავს გაწირავდნენ , ამ ორგანიზაციამ კი სწრაფი პოპულარობა მოიპოვა ეგვიტის მასშტაბით , ვინაიდან ის მისიონერებს თავისივე ,,ფრონტზე'' ებრძოდა , ხსნიდა ახალ საავადმყოფოებს , სკოლებს , აშენებდა მეჩეთებს . აღსანიშნავია ასევე ისიც , რომ ეს ორგანიზაცია იბრძოდა ორ ფრონტზე , პირველი ისლამს და ხალხის ,,სულიერებას'' ემსახურებოდა , მეორე კი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა და მოითხოვდა შარიათის დაკანონებას . სწორედ ,,მუსლიმი ძმების '' ორგანიზაცია გახდა ერთადერთი , რომელლიც რელიგიურიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ორგანიზაციად ტრანსფორმირდა. (,,მუსლიმი ძმების[41]'' სტრუქტურა[42]) მუსლიმმა ძმებმა 1933 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე სულ 5 კონფერენცია ჩაატარეს .

პირველი გენერალური კონფერენციის დროს რომელიც 1933 წელს ჩატარდა მუსლიმმა ძმებმა მიმართეს ღია წერილით მეფეს , რათა გაეკონტროლებინათ მისიონერების საქმიანობა ეგვიპტეში .

მეორე კონფერენციაც იმავე წელს ჩატარდა რომლის დროსაც გამოიცა ,,მუსლიმი ძმების ''პირველი ჟურნალი ,,მაჯალლა ალ იხვან ალ მუსლიმინ'' , რომლის ხელმძღვნელადაც დაინიშნა ალ-ბანას მამა , ამ ჟურნალის სარედაქციო კურსი რათქმაუნდა განსაზღვრული იყო პროპაგანდისთვის , მასში იყო ინფორმაციები წევრთა შესახებ , ცხოვრების წესისა თუ საქმიანობის მიმოხილვა.

---

[40] იხილეთ შენიშვნა N5 გვ. 100
[41] იხილეთ შენიშვნა N 6 გვ. 101
[42] იხილეთ დანართი N1

მესამე კონფერენცია ჩატარდა 1935 წელს , რომლის ძირითადი დანიშნულება გახლდათ წევრთა რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ ზუსტი განსაზღვრა წევრობისა და სამოქმედო გეგმისა , ორგანიზაციის ფუნქციონირების შესახებ .

მეოთხე კონფერენცია კი ფარუკის კორონაციის დღეს ჩატარდა 1937 წელს.

ბოლო მეხუთე კონფერენცია კი ჩატრდა 1939 წელს , რომელიც ემსახურებოდა სამი ძირითადი ნორმის ჩამოყალიბებას , რომლებიც გახლდათ : ყურანის თანადროულობა ყველა ეპოქასთან , იგი შესაბამისობაში იყო ყველა ეპოქისა , მეორე : მთავარი დასაყრდენი ისლამში უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ყურანი , სუნა და ჰადისები წინასწარმეტყველ მუსამედის ბრძნული აზრები და ჩანაწერები , მესამე კი გახლდათ მოწდება ისევ და ისევ ისლამის სრულყოფილების შესახებ , რომელიც მოიცავდა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს . პრაქტიკულად ამ კონფერენციით ,,მუსლიმი ძმები'' იქცა პოლიტიკურ ორგანიზაციად , თუმცა 1939 წელს მოხდა განხეთქილება ორგანიზაციაში , ისინი გაიყვნენ ორ ნაწილად , ,,წასულებმა'' შექმნეს ახალი ორგანიზაცია ,,ჩვენი ბატონის , მუჰამედის ახალგაზრდული ორგნაიზაცია '' , განხეთქილების ძირითადი მიზეზები გახლდათ ფინანსები , ,,წასულები'' თვლიდნენ , რომ ორგანიზაციას სხვათა დახმარების ნაცვლად მთელი ფინანსები უნდა მიემართა ეგვიპტეში ამ ორგანიზაციის გაძლიერებისკენ ხოლო დანარჩენ მუსლიმებს სხვადასხვა წერტილში მსოფლიოსა დაეხმარებოდნენ სხვა გზით არა ფინანსურით , მეორე მიზეზი კი გახლდათ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა , ვერ შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე , ალ-ბანა ნაკლები რადიკალიზმითა და ძალადობით გამოირჩეოდა ვიდრე სხვა წევრები ორგანიზაციისა , რომლებიც აქტიურად მოუწოდებდნენ ძალადობიკენ და ამას ამართლებდნენ ჰადისიდან ამონარიდით : ,, ვინც თქვენ შორის ხედავს სისაძაგლეს უნდა გამოასწოროს ხელით , თუ არ შეუძლია მაშინ - ენით ,- თუ არ შეუძლია მაშინ - გულით , მაგრამ მათ შორის ბოლონი ყველაზე სუსტნი არიან რწმენაში ''.

რაც შეეხება იდეოლოგიას , თავდაპირველად იდეოლოგია ამ ორგანიზაციისა გახლდათ ალ-ბანას ცნებები და დამოკიდებულება , მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა , რომელიც იზიარებდა ვაჰაბიზმისა და ჰანბალიტურ იდეებს , რომელიც გულისხმობდა ისლამიდან ყოველგვარი სიახლის მოკვეთას და დაბრუნებას მის თავდაპირველ საწყისებთან , ალ-ბანა თვლიდა , რომ არანაირი ინტერპრეტირება არ უნდა მომხდარიყო ყურანისა და ჰადისებისა , ის ისე უნდა მიეღოთ დღესაც , როგორც ამას მათი წინაპრები იღებდნენ , სწორედ ამ იდეით შებყრობილმა ,,მუსლიმი ძმებისთვის'' განსაზღვრა ქცევის წესრიგი , რომელიც გულისხმობდა ,რომ : ორგანიზაციის წევრს არ უნდა მიეღოთ თამბაქო ალკოჰოლური თუ ფსიქოტროპული ნივთიერებები , რომელიც მათი გონების დაბინდვას გამოწვევდა , ასევე უნდა შეესრულებინათ ჰაჯი და შეენახათ რამადანი , უნდა გაეცა ზაქათი მისი ქონებრივი შესაძლებლობისდა მიუხედავად , ორგანიზაციისთვის უნდა შეეწირა ასევე ქონების დიდი ნაწილი და რაც მთავარია მინიმუმ 40 ჰადისი უნდა სცოდნონდა ზეპირად , ასევე ორგანიზაციის წევრებს მოუწოდებდა აქტიურად ჩართულიყვნენ ეგვიპტის მაშინდელ პოლიტკურ დღის წესრიგში , და აუცილებლად ეკითხათ ,,მუსლიმი ძმების'' ჟურნალი ., ასევე ბოიკოტი გამოცხადებინათ ყველაფერ არაისლამურთან[43].

ალ-ბანა მიიჩნევდა , რომ ჯიჰადი ეს ყველა მუსლიმის მოვალეობა იყო და ყველა უნდა ყოფილიყო მზად ნებისმიერ დროს ომისთვის , მან მუსლიმ ძმებს ჩამოუყალიბა ის შემთხვები თუ როდის შეიძლეობდა ჯიჰადის გამოცხადება და ეს ალ-ბანას აზრით მიმართული იყო მხოლოდ თავდასვისკენ : თუ მუსლიმ თემს ექმნებოდა საფრთხე , მაშინ როდესაც არამუსლიმი პარტიის წევრები არ შეასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას , წერილის ხალხის თუ ურწმუნოების წინააღმდეგ ვიდრე ისინი არ გადაიხდიდნენ ჯიზიას და რათქმაუნდა მაშინ როდესაც თავს დაესხმებოდნენ მტრები . ალ-ბანასთვის ეს ის წითელი ხაზები

[43] Nawaf Obaid - ,, The Muslim Brotherhood A Failure in Political Evolution '' HARVARD kennedy school BELFER CENTER for science and Inernetional affairs , 2017 , p. 37-45

იყო რომელთა გადაკვეთაც არ შეიძლებოდა და სწორედ ამიტომ უნდა მიემართათ ჯიჰადისთვის მსგავსი სიტუაციების დროს , ალ-ბანას ბუნებრივია არ მოსწონდა სეკულარიზმი და მიიჩნევდა მას დამღუპველად ვინაიდან თვლიდა , რომ ქვეყანა უნდა ყოფილიყო მართული მუსლიმური წესების შესაბამისად , თუმცა ჯიჰადის გამოყენება საერთო მტრის ინგლისის წინააღმდეგ საკმაოდ კარგად მოახერხეს და მიმართეს მთელი მათი ძალისხმევა ბრიტანელების წინააღმდეგ. მათი მთავარი მიზანი იყო შეექმნათ სახემწიფო , რომელიც იმოქმედებდა მუსლიმური წესების დაცვით , და იქნებოდა აბსოლიტური იდილია , ვინაიდან მათი აზრით ისლამი ცხოვრების ყველა ფაზას აღწერდა და განსაზღვრავდა[44].

ალ-ბანა თვლიდა , რომ განათლება უპირველესია თუმცა ეს განათლება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ისლამისკენ , ანუ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს არაბული ენა და ყურანი , ასევე თვლიდა რომ ევროპული ენების შესწავლა იყო ცუდი და ნებისმიერ მსურველს განათლებისთვის შეეძლო მხოლოდ ერთი ევროპული ენის შესწავლა , რადგან არაბულ ენას აღმატებულად მიიჩნევდა ყველა სხვა ენებთან მიმართებაში , ვინაიდან მასზე შეიქმნა ყურანი და სწორედ ამ ენით უნდა მომხდარიყო მუსლიმი თემის, უმმას გაერთიანება . ალ-ბანა პრაქტიკულად არ სცნობდა საზღვრებს ვინაიდ მიიჩნევდა , რომ მუსლიმებისთვის უნდა შექმნილიყო სახალიფო , რომელიც იმართებოდა რელიგიური კანონებით , ყველა ურწუმუნოსთან ბრძოლა უნდა გამოცხადებულიყო მათსავე ტერიტორიაზე რათა მოქცეულიყვნენ ისლამის ქვეშ , ვინაიდან ალ - ბანას აზრით ისლამი მსოფლიო მშვიდობას ქადაგებდა და სწორედ ამიტომ უნდა ყოფილიყო ზეაღმატებული და მისით მომხდარიყო მსოფლიოს მართვა , სეკულარიზმს ის დასავლეთის პირმშოდ მიიჩნევდა ,

[44] ალ-ბანა საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ქალების საკითხს ,,მუსლიმი ძმების'' მიერ შექმნილ პოტენციურ ისლამურ სახალიფოში , ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ პედიატრიითა და აღმზრდელობითი საქმიანობით , მიუხედავად იმისა , რომ ალ-ბანამ 1933 წელს შექმნა კომიტეტი ,,მულისმი დებისთვის'' , ის მიიჩნევდა , რომ ქალები არ უნდა ჩარეულიყვნენ ქვეყნის მართვის საკითხებში , თუმცა მათ განათლებას არ უკრძალავდა , უნივერსიტეტებშიც კი შექიმნა ცალკე კათედრა მხოლოდ ქალებისთვის.

რომელსაც მოყვებოდა ომები და კოლონიალიზმი , სწორედ ამას ებრძოდა ალ-ბანა ვინაიდან თვლიდა , რომ არც ერთი მუსლიმი არ უნდა დამონებოდა კოლონიზატორ ქრისტიანებს . საწყის ეტაპზე , როდესაც მიმნდინარეობდა დავა შარიათის დაკანონებასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგეების მტავარი მოსაზრება იყო ის , რომ ეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა რელიგიურ უმცირესობებს ეგვიპტეში , რაზეც მუსლიმმა ძმებმა უპასუხეს , რომ ამაში ვერ ხედავდნენ პრობლემას რადგან შარიათს მუსლიმები მიიღებდნენ როგორც რელიგიას და სვხა უცმირებს წარმომადგენლები , როგორც კანონს . ორგანიზაციამ საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელი ეგვიპტის მასშტაბით და ეს ძირითადად განაპირობა საერათო მტირს კოლონიზატორი ინგლისის წინააღმდეგ გაერთიანებამ . ალ-ბანა ასევე თვლიდა რომ ბანკების ნაციონალიზაცია უნდა მომხდარიყო და სუეცის არხი გადასულიყო ეგვიტპის მმართველობის ქვეშ და მისი მოგებაც მხოლოდ ეგვიპტეს მოხმარებოდა , ბანკებს რაც შეეხება ის კრძალავდა მევახშეობას და ყოველგვარ პროცენტს , მიღებულს სესხიდან.

ახლო აღმოსავლეთში მეორე მსოლფლიო ომამდე სიტუაცია ხშირად იცვლებოდა , იმის მიხედვით , თუ რომელძალას ჰქონდა უპირატესობა , საწყის ეტაპზე გერმანიისა და იტალიის დომინაციით მიმდინარეობდა იდეოლოგიური ბრძოლა , ვინაიდან გერმანიის ბრძოლა ებრაელების წინააღმდეგ ეგვიპტეში ძალიან ბევრი დაჯგუფების მხრიდან იმსახურებდა მოწონებას , მათ შორის იყვნენ ,,მუსლიმი ძმებიც '' , რომლებსაც ღერძის ქვეყნებთან აერთიანებდათ ბრძოლა კოლონიზატორების წინააღმდეგ , ვინაიდან ღერძის ქვეყნები ებრძოდნენ საფრანგეთსა და ბრიტანეთს , სწორედ ამიტომ მთავარ დასაყრდენ ძალას ინგლისის გასაძევებლად სწორედ მათში ხედავდნენ , მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე , კი ალ-ბანა შეეცადა ურთიერთობის დათბობას გერმანიასთან და იტალიასთან , მათ გაერთიანებას ორი მტრის ჩამოსაშორებლად , ესენი იყვნენ მეფე ფარუკი და ბრიტანელები , ასევე აღსანიშნავია , რომ ,,ძმებმა'' იტალიელებისგან ,,ისესხეს''

შავპერანგიანების მოდელი და ჩამოაყალიბეს გასამხედროებული ფრთა . ამასთან ერთად ასევე შექმნეს ,,ჯავალლა'' (სადაზვრევრო სამსახური) , რომლის მიზანიც სიტუაციის დეზტაბილიზაცია , კონფლიქტის ესკალაცია და პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორება გახლდათ , ამ გზაზე კი ისინი აქტიურად მიმართავდნენ ტერორისტულ ქმედებებს[45] .

ალ-ბანას ე.წ. მოხალისეთა რაზმი პალესტინაში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეიჭრა და დაიწყო აქტიური თავდასხმები ებრაულ დასახლებებზე , მათი სახლების დაწვა , აფეთქებები და თავდახმების სერიები გრძელდებოდა , თუმცა მალევე იძულებულნი გახდნენ მარცხის შემდგომ უკან დაბრუნებულიყვნენ , ამ ყველაფრით უკმაყოფილო და ბრძოლაში ხელმოცარულმა რაზმებმა კი დაიწყეს ეგვიპტეში ძალადობრივი ქმედებები , რომლებიც გამოხატებოდა ბრძოლაში ყველასთან და ყველაფერთან რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მათ , ერთგვარი ლოზუნგიც კი ჩამოაყალიბეს , სადაც აქტიურად სკანდირებდნენ მათი გამარჯვების შემთხვევაში ყველა კოპტის მოკვდინებას , ეს ნაბიჯი კი საკმაოდ დილეტანტური და წამგებიანი აღმოჩნდა ალ-ბანასთვის , რომლის პოზიციები ორგანიზაციის შეგინითაც უკვე შერყეული იყო , მას აუმხედრდა ყველა პარტია რომელიც არსებობდა ეგვიპტეში და პრაქტიკულად მარტო დარჩნენ ბრძოლის ამ ეტაპზე , ამას მოჰყვა საიდუმლო სამსახურის არქივის აღმოჩენა ხელისუფლების მიერ და დაპატიმრება ,,ძმების '' მაღალჩინოსნებისა , დაახლოებით ოცდათორმეტი ლიდერის , შემდეგ თვითონ ალ-ბანაც დააპატიმრეს თუმცა მალევე გამოუშვეს რადგან ის საკმაოდ პოპულარული იყო ხალხში და შიშობდნენ ამას უარესი რეაქციები არ გამოეწვია მოსახლეობის მხრიდან . ერთ-ერთი აქციის დროს მომხდარი შეტაკებისას კი პოლიციის შეფი სალიმ ზაქი იქნა მოკლული , ამ ფაქტმა სიტუაცია უფრო დაძაბა , მეფის კარს კი ბრიტანეთმა საფრანგეთმა და აშშ-მ კატეგორიულად მოსთხოვა ,,ძმების'' ორგანიზაციის დაშლა და მისი

[45] იხილეთ დანართი N7 გვ. 103

კანონგარეშედ გამოცხადება , რომელიც მალევე იქნა სისრულეში მოყვანილი , ამას კი არეულობის ესკალაცია მოჰყვა შედეგად , რომლის დროსაც მოკლულ იქნა პრემიერ მინისტი ან-ნუკრაში , მისი ადგილი კი დაიკავა იბრაჰიმ ალ-ჰადიმ , რომელმაც სასტიკ რეპრესიებს მიმართა და ძმობის 4000 წევრი დააკავა რომელთაც სასტიკად გაუსწორდა ციხეებში , პარალელურად კი ალ-ბანა აიძულა გამიჯვნოდა და დაეგმო ან-ნუკრაშის მკვლელობა , ამან კი მისი ავტორიტეტი ძალიან შეარყია განსაკუთრებით ორგანიზაციის იმ მებრძოლებში , რომელთაც ციხებში სასტიკად აწამებდნენ , ამ ფაქტს დამატებული ლოზუნგებმა ყველა კოპტის განადგურების შესახებ ალ-ბანას დააპირისპირა არა მხოლოდ შიდა მებრძოლები და ყოფილი მეგობრები არამედ მთელი ოპოზიციური სპექტიც , საბოლოოდ კი რეპუტაცია შერყეული და თითქმის მარტო დარჩენილი ალ ბანა 1949 წლის 21 თებერვალს უცნობმა მებრძოლმა რამდენიმე გასროლით მოკლა , მისი სიკვდილით კი ისედაც შერყეული და დასუსტებული ,,მუსლიმი ძმების ‘’ პოზიციები უფრო დასუსტდა[46] , და მათი დიდების ეპოქა ალ-ბანას მეთაურობით ჩაბარდა წარსულს , ვიდრე მას ახალი სიცოცხლე არ შთაბერა საიდ კუტბიმ .

ამის შემდგომ უკე იწყება საიდ კუტბის ეპოქა ,,მუსლიმი ძმების ‘’ იდეოლოგიურ ტრანსფორმირებაში , ის დაიბადა ასიუტის პროვინციაში 1906 წელს[47] , უნდა აღინიშნოს რომ ის თავდაპირველად რელიგიურ სასწავლებელში არ ყოფილა განწესებული მშობლების მიერ , თუმცა შემდგომ შეითხზა ლეგენდები იმის შესახებ , რომ მან დამოუკიდებლად ისწვალა ყურანი და 10 წლის ასაკში უკვე ზეპირადაც კი იცოდა , 1919 წლის როვოლუციის შემდეგ ის ბიძასთან გადავიდა საცხოვრებლად ჰელმანის პროვინციაში , აქტიურად გამოირჩეოდა მეფე ფარუკისა და მისი პოლიტიკის კრიტიკით და სწორედ

[46] იხილეთ შენიშვნა N8 გვ. 105

[47] ქაროსანიძე თ.: ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების““ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . (2009 წ) გვ . 124-140

ამიტომ მას მოუხდა იძულებითი სასწავლო ემიგრაცია აშშ-ში , ვინაიდან თვლიდნენ რომ დასავლური კულტურა მასზე იმოქმედებდა და შეიცლიდა რადიკალურ პოზიციებს , თუმცა ეს პიქირით მოხდა , ის მოხიბლული დარჩა ტექნიკური პროგრესით თუმცა მისთვის ის სულიერი მხარე დადგა უპირველეს ადგილზე რომელიც მისი აზრით დასავლეთში ძალიან მცირე დოზით იყო , ასევე მიიჩნევდა , რომ ისლამი იყო ყველა სხვა არსებულ რელიგიაზე აღმატებული და ამტკიცებდა მის უნიკალურობასა და მსოლფიოს სათავეში ყოფნის აუცილებლობას , კუტბისთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ტრუმენის პოლიტიკა ებრაელების ისტორიულ ქანაანში დაბრუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებით და სწორედ ეს იყო ის მთავარი მიზეზი რომელმაც დააპირისპირა კუტბი დასავლურ ცივილიზაციებს .

სწორედ ეს ნეგატიური დამოკიდებულება დასავლურ ცივილიზაციასთან გახდა იმის მიზეზი, რომ 1951 წელს კუტბი ,,მუსლიმი ძმების'' რიგებში ჩაეწერა , და როგორც აღნიშნავდა მან წარსული მთლიანად დაივიწყა რადგან ამ ასოციაციაში ის ხედავდა პერსპექტივას იმ საზოგადოების ჩამოყალიბებისა , რომელსაც მუსლიმური წესებით უნდა ეცხოვრა და არ მიეღო დასავლური ღირებულებები , ის ადრეულ ასაკში გაეცნო ალ-ბანას ნაშრომებს რომელშიც იპოვა იდეური კავშირი , ასევე ,,ძმებში'' ყოფნის მიზეზი გახდა ის ნეგატიური და ,,დამცინავი'' დამოკიდებულება რაც მოყვა ალ-ბანას სიკვდილის დასავლურ პრესაში , ნასირსა და ,,ძმების'' დამაკავშირებელ რგოლად რჩებოდა კუტბი , რომელიც ,,თავისუფალი ოფიცრების '' წევრი იყო , რომლებიც თავის დროზე იარაღით ამარაგებდნენ ,,მუსლიმ ძმებს'' და შესაბამის სამხედრო წვრთნასაც უტარებდნენ , თუმცა რეოლუციის შემდეგ მოსულმა მთავრობამ ისლამური იდეოლოგია არ მიიღო , ან-ნასირი მიიჩნევდა , რომ მათ სურდათ სალაჰ ად-დინის დროინდელ ეპოქაში დაბრუნება , მისი მისია კი იყო ეგვიპტის განვითარებისა და აღორძინების სწორ გზაზე დაყენება , ამ ძირითად იდეოლოგიათა უთანხმოებამ მიიყვანა ეს ორი მხარე რადიკალიზაციასთან კონფლიქტისა , ვინაიდან კუტბი თვლიდა , რომ ადამიანური კანონები იყო

დროსთან შესაბამისობაში , მხოლოდ შარიათი გვთავაზობდა მუდმივ კანონებს , რომელიც ურთიერთობა იყო ღმერთთან , რადგან მხოლოდ ის იყო შეუქმნელი და მარადიული , დევნიდა სხვა აღმსარებლობებს , უპირატეს ადგილზე აყენებდა ისლამს , და საუბრობდა რელიგიისა და სახელმწიფოს განუყოფლობის შესახებ , რომელიც უნდა ყოფილიყო განვითარებისა და ,,სწორი'' გზის მომცემი , ვინაიდან კუტბი თვლიდა , რომ ისლამიდან უნდა აეღოთ ყველაფერი მუსლიმური თემის წარმომადგენბლებს და ის შექმნიდა ჰარმონიას, ამითვის დიდი შრომა იქნებოდა საჭირო , მეორე გზად კი დასავლეთისგან მზა პროდუქტის მიღებად მიიჩნევდა , ეს უკანასკნელი კი , როგორც კუტბი აღნიშნავდა , მიბაძვით შექმნა ყველაფრისა მაიმუნების საქმე იყო და არა ადამიანებისა[48].

ის ფარულად გეგმავდა ამბოხებას ან-ნასირის წინააღმდეგ , რომელიც ტერორისტული შეტევებით უნდა განხორციელებულიყო , წვრთნისთვის კი ძველ ნაცად ხერხს მიმართავდა , გადამდგარი ოფიცრების მხირდან ჩატარებული ინსტრუქტაჟის სახით , ორგანიზაციას უკვე მკაფიოდ ჰქონდა გეზი აღებული ტერორიზმისკენ , მათ ან-ნასირისა და სხვა მაღალჩინოსნების ლიკვიდაცია გადაწყიტეს , კონფლიქტის ესკალიაციისა და არეულობის შექმნის შემდეგ კი ხელისუფლების სათავეში მოსვლა , თუმცა მათი ეს იდეა ცნობილი გახდა სამთავრობო ძალების მიერ , მათ ამის შესახებ აცნობეს კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა , ვინაიდან კუტბი ებრძოდა ყველა პარტიას და იდეოლოგიას გარდა ისლამისა , მხოლოდ საკუთარ თავს და ორგანიზაციას მიიჩნევდა ძირითად ფაქტორად , რომელსაც შეეძლო სიტუაციის მართვა და შემდგომში პოტენციური ისლამური სახალიფოს მართვა , თუმცა ამ ინფორმაციის ,,გაჟონვის'' შემდეგ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებების ტალღა , რომელიც კუტბის ოჯახსაც შეეხო , თვითონ საიდიც იქნა დაპატიმრებული , რომელმაც ყველაფერი უარყო და თავის თავს მხოლოდ რელიგურ სწავლულად

[48] საიდ კუტბი https://www.britannica.com/biography/Sayyid-Qutb (საიტი ბოლოს დამოწმებულია 21.06. 2021) გვ. 1

და უბრალო მოხუცად მიიჩნევდა , თუმცა დაუშვა სტრატეგიული შეცდომა იმით , რომ განუცხადა რევოლუციურ მთავრობას , მისი დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ , წინააღმდეგ შემთხვევაში მან დააანონსა მასობრივი საპროტესტო აქციები , რომელიც როვოლუციაში გადაიზრდებოდა , ამ განცხადების შემდეგ მისი ,,საქმე '' გადაკვალიფიცირდა როგორც პოლიტიკური პირისა , რომელსაც სურდა ხელიფუსლების სათავეში მოსვლა რევოლუციური გზით , და სასჯელის სახით განესაზღვრა სიკვდილით დასჯა, ან-ნასირი კუტბიში ხედავდა სერიოზულ ოპონენტს და ეს იქიდანაც ჩანს , რომ აქტიურად ადევნებდა თვალს სასმართლო პროცესებს და სასჯელის აღსრულებას , რომელიც 1966 წელს მოიყვანეს სისრულეში , მას წინ უძღოდა არა მხოლოდ ეგვიპტეში ,არამედ საუდის აბარეთში , სუდანში და სხვა. მასბორივი გამოსვლები , რომ სასჯელის ფორმა შეეცვალათ, თუმცა უშედეგოდ . განაჩენის აღსრულების შემდეგ კი ის მალულად ერთ-ერთ ღარიბულ სოფელში დაკრძალეს , წარწერაც არ გაუკეთეს მას , რათა ის არ გამხდარიყო შემდგომ რადიკალების ,,წმინდა ადგილი'' . უნდა აღინიშნოს , რომ კუტბის იდეები , რომელსაც უფრო დაწვრილებით 2.3 თავში მოგახსენებთ , გახდა ერთგვარი დასაყრდენი და მთავარი იდეოლოგია შემდგომ წარმოქმნილი ისეთი ტერორისტული ორგანიზაციისთვის როგორიც გახლავთ ალ-ქაიდა , უფრო მეტიც უნდა აღინიშნოს , რომ ოსამა ბინ-ლადენის მასწავლებელი გარკვეული დროის განმავლობაში გახლდათ საიდ კუტბის ძმა პროფესორი მუჰამმად კუტბი .

მას შემდეგ რაც 1970 წელს გარდაიცვალა ან-ნასირი , ის შეცვალა ვიცე-პრეზიდენტმა ანვარ ას-სადათმა , რომელიც მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ან-ნასირის მომხრეებიის განდევნას შეუდგა და რეპრესიები მიმართა მათ წინააღმდეგ , რადგანაც მათ ბრალი დასდო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში . ას-სადათმა განვთარების საკუთარი ხედვა ჩამოაყალიბა , რომელიც გულისხმობდა : ეგვიპტე გაეხადა ინვისტორებისთვის სასურველი ქვეყანა და ამით ის ცდილობდა კაპიტალისტურ სისტემაში დაბრუნებას , ასევე

განიზრახა ქვეყნის დემოკრატიაზაცია , ამის დასტურად კი მოჰყავდა ოპოზიციური პარტიები და კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობა .

საწყის ეტაპზე ას-სადათსა და მუსლიმ ძმებს შორის შედარებით მშვიდი ურთიერთობა სუფევდა , უფრო მეტიც ანვარი მათ მიიჩნევდა ,,განმანათლებლებად'' ისლამში , მან მრავალჯერ გამოთქვა სურვილი სამშვიდობო მოლაპარაკებებისა რეგიონში თუმცა არავინ ენდობოდა ვიდრე ვიზიტით არ ეწვია იერუსალიმს ,1973 წელს ეს კი იმით იყო უნიკალური ,რომ ანვარი გახლდათ ერთადერთი არაბი მმართველი რომელიც ეწვია ისრაელს , ამ ყოველივემ ნეგატიური გამოხმაურება ჰპოვა არაბულ სამყაროში , ეგვიპტეს შეუწყიტეს ფინანსური დახმარება რეგიონის ქვეყნებმა , ანვარს საკუთარი ხალხიც კი აუჯანყდა , სწორედ ეს გახდა გარდამტეხი მოვლენა ,,მუსლიმ ძმებთან'' ურთიერთობის დაძაბვისა , ვინაიდან ძმები ერთ-ერთი პირველები იყვნენ ვინც პალესტინაში ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე გაგზავნეს სამხედრო ძალები , იგრძნეს რა მოსალოდნელი საშიშროება ისრაელის მხრიდან . ანვარმა ურთიერთობის დალაგება სცადა ,,ძმებთან'' რომელიც იმაში გამოიხატებოდა , რომ მათ უფლება მისცა კანონის ზოგიერთ პუნქტში შეეტანათ ცვლილებები .

1977 წელს იწყება ე.წ. ,,პურის ბუნტი'' , რომელიც გულისხმობდა სადათის გადაწყვეტილებას , ძირითად საკვებ პროდუქტზე სუბსიდირების შეწყვეტაზე , რასაც მისი გაძვირება მოჰყვა 50 % ამდე . ამ ყველაფერს მასობრივი პროტესტი მოჰყვა ეგვიპტის ქუჩებში , რომელიც ღია შეტაკებებში გადაიზარდა რომლის დროსაც 70 -მდე აქტივისტი დაიღუპა , ბუნებრივია ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს ,,ძმებმა'' და დაიწყეს აქტიური კრიტიკა ანვარის ხელისუფლებისა , სიტუაციის დასარეგულირებლად ანვარი 1979 წელს შეხვდა ,,ძმების'' უმაღლეს მოძღვარს უმარ ალ-თილმისანს , ამ ფაქტმა სიტუაცია შედარებით დაასტაბილურა , თუმცა არსებობდა ძირითადი იდეოლოგიური სხვაობები ამ ორ ბანაკს შორის , რომელიც შერიგების და სრული თანამშრომლობის

შესაძლებლობას აფერხებდა . ანვარი ცდილობდა მუსლიმ თემში პოპულარობის მოპოვებას , თავს უწოდებდა მორწმუნე პრეზიდენტს და აცხადებდა , რომ ,,ვისაც ისლამის მიმდევრობა უნდა ეს გაეკეთებინა მეჩეთში , ხოლო ვისაც პოლიტიკოსობის სურვიული ,,კლავდა'' შესაბამის სივრცეში უნდა განეხორციელებინა ეს ყოველივე .,,მუსლიმ ძმებში'' მოხდა შეუთანხმებლობა ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით , რომელშიც გამოიყო რამდენიმე რადიკალური ჯგუფი[49].

შემდგომად ამისა მოვლენები საკმაოდ უცნაურად განვითარდა , ვინაიდან ანვარმა სატელევიზიო ეთერში განაცხადა , რომ მან დააპატიმრა მრავალი სასულიერო თუ პოლიტიკური ლიდერი , და სიტუაცია იქამდე დაიძაბა , რომ ეგვიპტეში პრაქტიკულად ან-ნასირამდელი სიტუაცია შეიქმნა , ეგვიპტე ახალი რევოლუციის პირისპირ აღმოჩნდა , ამას დამატებული , არ წყდებოდა რეპრესიები და მასობრივი დაპატიმრებების ტალღა , რომლის დროსაც დააპატიმრეს ანვარის მკვლელის ,ხალიდ -ალ ისლანბულის ძმა , სწორედ ამან აამხედრა ხალიდი ანვარის წინააღმდეგ , უფრ მეტიც , როგორც გადმოცემეით ამბობენ მან დედასთან ფიციც კი დადო , რომ ყველა დაისჯებოდა ვისაც ამაში ბრალი მიუძღოდა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სადათის მოკვლა , და ამისთვის მან საკუთარ ორგანიოზაციას მიმართა , ის გახლდათ ფარაჯის დაჯგუფების წევრი , მას სურდა რამდენიმე ხელყუმბარა და ცეცხლსასროლი იარაღი , რომ დადებული პირობა სისრულეში მოეყვანა , ის დაუკავშირდა 3 თანამოაზრეს , რომელიც სჭირდებოდა მას ამ სპეც ოპერაციის შესასრულებლად , რომლებიც ღამით მალულად შეიპარნენ ბუნკერებში , და დათქმულ დროს მძოლს აიძულეს მანქანის გაჩერება , რომლის შემდგომაც ავტომატით შეიარაღებულნი გადმოხტნენ მანქანიდან და გახსნეს ცეცხლი , ეს ყოველივე მოხდა სამხედრო აღლუმზე , ამ ოპერაციის შემდეგ ადგილზე

[49] ,,ათ-თაფქირ ვალ ჰიჯრა'' (ურწმუნოებაში დადანაშაულება და განდგომა) , ,,ჯამა'ა ისლამიია (ისლამური დაჯგუფება) , ,,შაბაბა მუჰამად '' (მუჰამედის ახალგაზრდები) , ,,ჯუნუ ალლაჰ'' (ალაჰის არმია) , ,,თანზიმ ალ-ჯიჰად '' (ალ-ჯიჰადის ორგანიზაცია) და სხვ.

დაიღუპა ანვარი ხოლო ვიცე პრეზიდენტი ჰონი მუბარაქი მსუბუქად დაიჭრა , ამ ყოველივეს შედეგად მოჰყვა 1982 წელს ალ -ისლამბულის სიკვდილით დასჯა , რომელიც მაშინვე შეირაცხა შაჰიდად და მისი სახელობის ქუჩაც კი გაიხსა ირანში , მოვლენების ექსტრემალებისეული განვითარება არ მოხდა , იმ კუთხით , რომ ამ მკვლელობამ არ გამოიწვია პარალიზება კაიროსი , და შესაბამისად ვერ მიიღო რევოლუციური ხასიათი .

შემდგ კი უკვე სარბიელზე გამოდის ჰოსნი მუბარაქი , რომელიც ატარებდა მკაცრ ცენზურას როგორც მედია საშუალებებზე , ასევე მეჩეთებზეც , მისი მმართველობის დროს ხელისუფლება მეჩეთების 60 % ზე მეტს აკონტროლებდა , რაც გულისხმობდა იმას , რომ მკაცრად ყოფილიყო ცენზურა დაცული , შერჩეული თემატიკით და რათქმაუნდა აპლიტიკური განცხადებით იქნებოდა მეჩეთი გამორჩეული , რომელსაც მხოლოდ დაეკისრებოდა რელიგიური ფუნქცია და მასში ყოველგვარი რადიკალური მოწოდებები იქნებოდა აღმოფხვრილი .

მუბარაქი ექსტრემისტებს თავისივე იარაღით ებრძოდა , რომელიც გულისხმობს , რომ ის იყენებდა სასულიერო პირებს , რომლებიც საპატიმროებში სტუმრობდნენ ექსტრემისტებს და მათ ესაუბრებოდა რელიგიაზე , მათ მცდარ გზაზე და ,,ჭეშმარიტებისკენ" მობრუნებაზე . სწორედ ამ მიზნით შექიმნა დამოუკიდებელი ისლამური საბჭო , რომელიც გულისხმობდა გამოცდილ სასულიერო პირების ერთობას , რომლებიც უნდა ჩასულიყვნენ სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში და იქ ექადაგათ სწორი გზა , პოტენციური ექსტრემისტების მოსაქცევად .

ამ ყოველივეს კი ექსტრემისტების მხირდან მკაცრი პასუხი ჰქონდა , რომელიც გამოიხატებოდა ტერორისტულ თავდასხმებში , რომლიტაც 1995 წელი გამოირჩეოდა , ამ წელს განხორციელდა დაახლოებით 182 ტერაქტი , რომელსაც 366 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა , რომლის 18 % უდანაშაულო ადამიანებზე მოდიოდა . არის ვერსიები მეცნიერთა მხრიდან იმასთან

დაკავშირებით , რომ ეს ქაოტური ტერორისტული თავდასხმები არანაირ მიზანმიმართულ ხასიათს არ ატარებს , არამედ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების მოტივით განხორციელებული თავდასხმები . ამ ყოველივეში კი ,,ზომიერი მუსლიმი ძმები'' არ ასრულებდნენ მედიატორის როლს , მიუხედავად მთავრობის მოთხოვნისა, მათი აზრით ეს ურთიერთობებს გაუფუჭებდათ სხვადასხვა ექტრემალურ დაჯგუფებებთან , შემდეგი ეტაპი რაც მთავრობამ გადადგა იყო კოორდინაცია სხვადასხვა ქვეყნებთან , მათ შორის საუდის არაბეთთან და პაკისტანთან , რომ არ მომხოდარიყო ამ ქვეყნებიდან თანხის გამოგზავნა და ფინანსური თუ შეიარაღების მიწოდებით დახმარება ამ ექსტრემალური დაჯგუფებებისთვის , ამან გამოიღო შედეგი , რამაც საგრძნობლად დაასუსტა ეს დაჯგუფებები , წლიდან წლამდე იზრდებოდა მთავრობის რეპრესიები , და შეტაკებების დროს დაღუპულ ექსტრემისტთა რაოდენობა , რომლებმაც შემდგომ მიმართეს სხვა ხერხს , და დაიწყეს თავდასხმა ტურისტებზე , რათა დაეზიანებინათ და ხელი შეეშალათ ტურისტების მხრიდან შემოსული ეკონომიკური დოვლათი , ამის ნათელი მაგალითია 1997 წელს ლუქსორში მომხდარი ტავდასხმა , რომლის დროსაც 59 უცხოელი ტურისტი დაიღუპა . ასევე ხორციელებდეოდა თავდასხმები ადგილობრივებზე , რომლებიც ძირითადად დატერორების და გამოძალვის ფორმას ატარებდა , რადგან ძალაგამოცლილი ექსტრემისტების დაფინანსების ძირითადი წყარო სწორედ ეს გახლდათ.

შემდგომ კი მოხდა მრავალი ტერორისტული თავდასხმები ქრისტიან კოპტებზე , რომლებშიც აშკარად იკვეთებოდა ხელისუფლების ბრალეულობა და უმოქმედობა , ქრისტიანებს პრაქტიკულად ქუჩაში თავისუფლად გადაადგილების უფლებასაც კი უზღუდავდნენ , საილუსტრაციოდ ის მაგალითიც კი საკმარისია , როდესაც 1991 წელს ქრისტიანი კოპტები სალოცავად მისვლის შემდეგ , პოლიციის კოლონამ სასტიკად დაარბია , და პრაქტიკულად გაანადგურა სალოცავი და იქ არსებული წმინდა ნივთები.

მიუხედავად მუბარაქის მკაცრი დამოკიდებულებისა ექსტრემისტების მიმართ , ის არანაკლები სისატიკით გამოირჩეოდა სხვა აღმსარებლობის ადამიანებზე , განსაკუთრებით კი ქრისტიან კოპტებზე .

მეოცე საუკუნის 80 -იან სლებში ახალი ეტაპი იწყება უკვე ეგვიპტის ისტორიაში და მუსლიმი ძმების განვითარებაში, რომელიც გულისხმობს ,,ნეომუსლიმი ძმების'' გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე , რომლებიც გამოირჩევიან ზომიერებით , როგორც ამას თვითონ აცხადებდნენ და დაიწყეს აქტიური პოლიტიკური ცხოვრება , ამის კვალდაკვალ ისინი მხარს უჭერდნენ მუბარაქს , მიუხედავად იმისა , მათ პოზიციებს ემხრობოდათ თუ არა , ხშირ შემთხვევაში მკაცრი დაპირისპირების დროსაც კი , თუნდაც ისეთის როგორიც გახლდათ უმაღლესი მოძღვარის გარდაცვალება , მთავრობამ არ მისცა ძმებს უფლება მოეწვია გენერალური ასამბლეა , რომ აერჩიათ ალ-თილმისანის შემცვლელი , მიუხედავად პროტესტის განცდისა მათ მაინც შეინარჩუნეს სიმშვიდე , მოიწვიეს მცირე კრება სადაც აირჩიეს მათი ახალი უმაღლესი მოძღვარი[50].

ძმები უკვე ცდილობდნენ მიზნის მისაღწევად კანონის ფარგლებს არ გაცდენოდნენ , ამის შედეგი კი მიიღეს იმ სახით , რომ ისინი გაერთიანდნენ ,,ვაფდის'' პარტიასთან , და უკვე 1987 წლის არცევნებზე მათ მოიპოვეს 12 ადგილი პარლამენტში , მათ მიიღეს ტრიბუნა პარლამენტისა რომელსაც იყენებდნენ უკვე უშუალოდ თავისი მიზნების მისაღწევად , ალ-თილმისანი დადიოდა ციხეებში სადაც არწმუნებდა პატიუმრებს , რომ რადიკალიზმის დრო არ იყო , მათ მშვიდობიანათ შეეძლოთ ყველაფრის შეცვლა და ამისთვის საჭირო იყო უბრალოდ ხმის მიცემა ,,ნეომსლიმი ძმებისთვის '' , რომელიც ღიად გმობდა ძალადობას .

---

[50] Maria Dolores Algora Weber ,, THE MUSLIM BROTHERHOOD FOLLOWING THE "25 JANUARY REVOLUTION": FROM THE IDEALS OF THE PAST TO THE POLITICAL CHALLENGES OF THE PRESENT '' - CEU San Pablo University – 2012 . . p. 15-27

დროთა განმვალობაში ,,მუსლიმი ძმების'' პოპულარობა იზრდებოდა რაც გამოიხატა იმაში , რომ ძმები იქცენენ ძირითად და ძლიერ ოპიზიციად ხელისუფლებისა , ეს იმით იყო განპირობებული , რომ მათ მხარდაჭერა და პოპულარობა მოიპოვეს საზოგადოების დაბალ ფენებში და პროფკავშირებში . ,,ძმები ''აცხადებდნენ , რომ ისლამი არის ეგვიპტელთა აბსოლიტური უმრავლესობის რელიგია და სწორედ ამიტომ შარიათი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ძირითადი კანონი , ასევე აცხადბენენ , რომ ისინი პატივს სცემდნენ ადგილობრივ კოპტებს რაც იმაში გამოიხატა , რომ შემდგომ არცევნდებზე რამდენიმე წარმომადგენელიც დააყენეს კოპტების რიგებიდან .

რაც შეეხება ქალის როლს , მათ ჰყავდათ ერთადერთი ქალი კანდიდატი მაქარიმ ად-დაირი აცხადებდა , რომ ,,ნეომულიმ ძმებში '' იმიტომ არ აქვს ქალს მარალი თანამდებობა რადგან ლიდერები იცავენ ქალს მთავრობის მხრიდან შესაძლო რეპრესიების განხორციელების გამოო . 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებში კი ,,ძმებმა'' 17 ადგილი მოიპოვეს რაც იმის ფონზე , რომ მტავრობა მაქსიმალურად ცდილობდა მათ შევიწროვებას და ქვეყანაში დაახლოებით 50 000 პოლიტიკური პატიმარი იყო , საკმაოდ კარგი შედეგი გამოდგა , იმის გათვალისწინებით , რომ ძმები საკმაოდ მზარდი პარტია იყო , რომელსაც ხალხში ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა . მუსლიმი ძმების ისტორიაში გამორჩევა ასევე 2005 წელი , როდესაც მათ შეძლეს არჩევნებში საკუთარი სახელი მონაწილეობა , აღსანიშნავია ასევე ის , რომ მათ 70 ზე მეტი ადგილი მოიპოვეს პარლამენტში , სადაც სულ 130 კანდიდატი ჰყავდათ წარმოდგენილი , ეს კი ხალხის უჩვეულოდ მაღალი აქტიურობის შედეგი იყო არჩევნების დროს , რადგან ისინი თვლიდნენ , რომ მათი ფუნქცია იყო რადაც არ უნდა დაჯდომოდათ მისულიყვნენ არჩევნებზე და ხმა მიეცათ ,,მუსლიმი ძმებისთვის'' . მიუხეადავ იმისა , რომ ზოგჯერ მათი წარმომადგენელი აბსურდულ მოთხოვნებსაც აყენებდა , როგორიც გახლდათ , თუნდაც ლოცვის დროს პარლამენტის სხდომების შეჩერება , ასევე რამადანის დროს მკაცრი ცენრუზა ტელევიზიისა და ამას დამატებული ომის გამოცხადება ესპანეთისა

და ბულგარეთისთვის , რომლებმაც მისი აზრით ისლამიდან გადაუხვიეს და მცდარი გზა აირჩიეს , რომლის გამოც უნდა დასჯილიყვნენ[51] . ასევე მათი მოთხოვნა იყო შარიათის დაკანონება , რომელსაც ჰყავდა აქტიური მოწინააღმდეგეები , რომლებიც თვლიდნენ , რომ გარკვეუ დანაშაულზე , როგორიც გახლავთ ქურდობა , მისი დასჯა ხელის მოკვეთით ან გამათრახებით არ იყო დროსთან მიმართებით სწორი და მართებული .

ძმების აქტიურობამ მთავრობის მხრიდან ისევ გამოიწვია აქტიური რეპრესიები და ცენზურა მედია საშუალებებზე .

ტუნისში დაწყებული არაბული გაზაფხული შეეხო ეგვიპტესაც , რომლის შედეგადაც მუბარაქს იძულებით მოუხდა ხელიფუსლების სადავეების დათმობა 2011 წელს . სწორედ ამ დროს არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ,,მუსლიმი ძმები'' , პრეზიდენტი გახდა მათი წარმომადგენელი მოჰამედ მურსი . თუმცა ამ ყოველივეს საკმაოდ მალევე მოჰყვა კონტრ რევოლუცია , რომლის შემდეგაც გადაყენებულ იქნა მორსი და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა აბდელ ფატტაჰ ალ-სისი . მიუხედავად ამ ფაქტისა მუსლიმი ძმები არ აპირებენ დანებებას და აცხადებენ , რომ ხელისუფლების ეს მიტაცება დიდხანს ვერ გაგრძელდება და გადაიზრდება მასობრივ პროტესტში და ხელისუფლება ისევ მათ დაუბრუნდება . ეს ყოველივე კი მოხდა 2013 წელს , პროტესტის გამოსახატად მისული ამომრჩევლებიდან კი შეტაკებისას დაიღუპა დაახლოებით 800 ადამიანი , და ძალის გამოყენებით იქნა დაშლილი აქცია , მისი მონაწილეების მიმართ კი განხორციელდა მკაცრი რეპრესიები . ,,მუსლიმი ძმების '' ლიდერებმა გაქცევით უშველეს თავს , აღსანიშნავია კეთილმეგობრული დამოკიდებულება ტრამპის ადმინისტრაციისა სისის მიმართ , ,,ძმები'' ვარაუდობდნენ , რომ ჯო ბაიდენის მოსვლის შემდეგ სიტუაცია მათ სასარგებლოდ შეიცვლებოდა ,

[51] აქ იგულისხმება კორდობას საამირო ესპანეთში და დამატებული ბულგარეთი რომელიც იყო ოსლამეთის შემადგენელი ნაწილი .

თუმცა ჯერ ამის ნიშნები არ იკვეთება . თავად სისი კი აცხადებს , რომ არ შეეგუება მისი ქვეყნის დაშლის ყურებას სხვადასხვა დესტრუქციული ძალების მიერ , აცხადებს , რომ ეგვიპტემ უნდა იაროს განვითარების გზით და იქ ,,მუსლიმი ძმების'' ადგილი არ არის .

მაგრამ , უნდა აღინიშნოს , რომ ,,მუსლიმი ძმები '' აგრძელებენ აქტიურ ბრძოლას მხარდამჭერების მოსაპოვებლად , ასევე აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა სახელმწიფოებს , რათა მოიპოვონ მხარდაჭერა , რომელიც იქნება ბიძგი მათი დაბრუნების დასაწყისისა და ახალი რევოლუციური სცენარის მომზადებისა .

2.3 ისლამური რადიკალიზმის და ტერორიზმის იდეოლოგი : საიდ კუტბი

საიდ კუტბი დაიბადა 1906 წელს სოფელ მუშას ქაჰას რაიონში , ის უფროსი ვაჟი იყო ოჯახში , თუმცა მშობლებს თავიდანვე არ განუწესებიათ რელიგიურ სასწავლებელში , გადმოცემით მან ყურანის შესწავლა თავისი სურვილით დაიწყო და იმდენად მოიხიბლა მისით რომ მის აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა[52] , საიდ კუტბი ასპარეზზე გამოჩნდა თავისი სამწერლობო უნარებით, მისი პირველი ნაწარმოები გახლდათ ,,ათ თავსირ ალ-ფანნიუ ფი ალ-კურან'' , რომელიც მან დედას მიუძღვნა , სწორედ იმიტომ , რომ დედა იყო ის ადამიანი რომელმაც შეაყვარა ყურანი , ვინაიდან ყოველ დღე უსმენდა აიათებს ყურანიდან რომელიც გადმოიცემოდა რადიოთი, სწორედ აქიდან იწყება კუტბის დაინტერესება და სიყვარული ისლამის მიმართ.

კუტბის ცხოვრებაში გარდამტეხ მომენტად იქცა 1951 წელი , როდესაც ის უშუალოდ შეუერთდა ,, მუსლიმი ძმების '' ასოციაციას , შემდგომ კი როგორც თავად აღნიშნავდა , მან დაივიწყა თავის წარსული და მთელი მისი ძალა მიმართა ამ ასოციაციის საკეთილდღეოდ , რომელშიც კუტბი ხედავდა იმედს ,

[52] იხილეთ შენიშვნა N9 გვ.109

იმედს იმასთან დაკავშირებით , რომ მხოლოდ ამ ასოციაციას შესწევდა ძალა გაეწია წინააღმდეგობა დასავლეთისთვის , კოლონიალიზმისთვის და ჩადგომოდა სათავეში ისლამის პროპაგანდას და მისი დროშის ქვეშ მთელი მუსლიმური უმმას გაერთიანებას . კუტბის როგორც ,, მსულიმი ძმების'' ახალი სიცოცხლის მიმნიჭებელ პერსონაზე ჩვენ ვისაუბრეთ უკვე 2.2 თავში , ახლა კი უშუალოდ განვიხილოთ მისი იდეოლოგია , შეხედულებები ისლამზე , და როგორც შემდგომ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულბა ე.წ სამ ჯ-სთან[53] დაკავშირებით (ჯაჰილია , ჯიჰადი , ჯამა'ა)

კუტბის შეხედულება ისლამთან დაკავშირებით რამდენიმე პუნქტს მოიცავდა , რომელიც გულისხმობდა : რაბბანიია (ღმერთის მმართველობა) , რომელიც გულისხმობს ღვთისგან წარმომავლობას , უარყოფდა ყოველგვარი ადამიანური შეხედულებებსა და ინტერპრეტაციას კანონთან დაკავშირებით , ვინაიდან კუტბის აზრით ის უკვე მომდინარეობდა ისლამიდან , რომელიც ჭეშმარიტი იყო ნებისმიერ დროსა და სივრცეში[54].

---

[53] Umej Bhatia - ,, AUTOBIOGRAPHY, POLITICS AND IDEOLOGY IN SAYYID QUTB'S READING OF THE QUR'AN''- Institute of Defence and Strategic Studies Singapore . 2005 . p . 23-37

[54] შუმულ (სრულყოფილება) - ეს გახლავთ ისლამის სრულყოფილება , ადამიანს არ შეუძლია შექმნას ისეთი სისტემა რომელიც ჭეშმარიტი იქნება ნებიმსიერ დროში , ეს მხოლოდ ისლამმა შექმნა და სწორედ ის გახლავთ ჭეშმარიტი გზა ურთიერთობისა ღმერთსა და ადამიანს შორის .
საბათ (სიმტკიცე) - ის აქტიურად უპირისპირდებოდა ვესტერნიზაციას , და ყოველგავრ წარმონაქმნს მისგან , ასევე მოაზროვნეებს რომლებიც იყვნენ ამ იდეით შებყრობილნი , ვინაიდან თვლიდა , რომ ეს ღალატი იყო , რომელიც საშინელი შედეგით დასრულდებოდა ეგვიპტისთვის , მათ უნდა შეექმნათ ახალი ,ისლამური ცივილიზაცია , რომელიც ჭეშმარიტი იქნებოდა ყველასთვის და რომლის ქვეშ გაერთოენდებოდნენ ისლამური სახელმწიფოები .
თავაზუნ (ბალანსი) - კუტბი ადგენდა ბალანსს ღიასა და დაფარულს შორის , რომელიც გამოიხატებოდა ადამიანში , და აბსოლიტურად ესადაგებოდა ადამიანის ბუნებას , ღია გახლდათ მაგ. ადამიანის არსებობის მდგომარეობა ხოლო დაფარული კი მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე , რომლის რწმენაც უნდა ჰქონოდა ყველა მუსლიმს .
ვაკიიია (რეალიზმი) - კუტბის აზრით აქ გაერთიანებულია სიახლის ხედვა როგორც იდეალისტურ-რეალისტური , რომელიც გულისხმობს შესაძლებლობას ადამიანმა შექმნას იდეალური სამყარო და ეს მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელია ისლამის დროშის ქვეშ , ვინაიდან ისლამი ადამიანის ყველა ვნებას ითვალისწინებს და არ უგულებელყოფს მას .
იჯაბიია (დადებითობა) - ეს კი გახლავთ ღმერთისა და მორწმუნის ურთოერთობის პოზიტიურობა , ანუ მორჩილებას ღვთის მიმართ ნებისმიერი მორწმუნის მომავალი უნდა გაეხადა პოზიტიური და კეთილშობილი .

კუტბი სხვა თვალით უყურებდა მუსლიმური უმმას გაერთიანებას , რომლისთვისაც ის რამდენიმე აუცილებელ წინაპირობას აყენებდა , რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ მუსლიმური თემის წევრები , პირველი და აუცილებელი ეს გახლდათ :

ჯიჰადი - მიუხედავად იმისა , რომ კუტბი მშვიდობას ისლამის მთავარ მხარედ და მახასიათებლად მიიჩნევდა , ის ასევე აუცილებლად თვლიდა ჯიჰადს , რომელიც უნდა განხროცილებეულიყო თუ ადამიანები გადავიდოდნენ ჭეშმარიტი ღვთის გზიდან , რადგან ეს ,,გზას აცდენილობა '' კუტბის აზრით გამოწვევდა ჩაგვრას , რომელსაც წინ უნდა აღდგომოდა და ნებისმიერი გზით უნდა შეეჩერებინა ჭეშმარიტ მუსლიმს .

კუტბი თვლიდა , რომ ისლამი ქადაგებდა აბსოლიტურ მშვიდობას , მაგრამ თუ წიგნის ხალიხნიც კი , არ ისურვებდნენ მოქცევას ისლამზე , მათ უნდა გადაეხადათ ჯიზია , მაგრამ თუ კი ამაზეც უარს განაცხადებდნენ მაშინ ერთადერთ გზად რჩებოდა ომი , რომელიც ყოველი ჭეშმარიტი მუსლიმის აუციებელ ვალდებულებას წარმოადგენდა .

კუტბის აზრით ნებისმიერი მორწმუნე მუსლიმის ვალდებულებაა დაეცვა სხვა მუსლმი , რომ არ აცდენოდა გზას , ამ დროს კი მათ ჰქონდათ აბსოლიტური თავისუფლება , რომ ძალას ძალითვე დაპირისპირებოდნენ , ასევე აუცილებლად მიიჩნევდა პროპაგანდას , და მის აუცილებლობას , ხელი არავის უნდა შეეშალა ისლამის პროპაგანდისთვის , აუცილებლობას წარმოადგენდა ხელისუფლების უზურპატორების გადაყენება ძალისმიერი მეთოდებით , რომლებმაც გადაუხვიეს ჭეშმარიტ გზას და მუსლიმებს უნდა მისცემოდათ აბსოლიტური თავისუფლება დაემყარებინათ სამართალი და არ

თავჰიდ (ღვთის ერთადერთობა) - ეს კი უშუალოდ გულისხმობს ღვთის ერთადერთობას , რომელსაც რათქმაუნდა აქვს საერთო სხვა რელიგიებთან, ვინაიდან როგორც იუდეიზმი ასევე ქრისტიანობაც მონოთეისტური რელიგიები გახლავთ . ეს გულისხმობს აბსოლიტურ მორჩილებას ღვთისადმი , რომელიც გახლავთ შეუქმნელი და მარადიული , მისი მორჩილება კი ნებისმიერ მორწმუნეს მიიყვანს პოზიტიურ ფინალამდე , როგორც ამიერ ასევე იმიერ ცხოვრებაში .

დაეშვათ ჩაგვრა და გზას აცდენილობა . კუტბი ჯიჰადს აუცილებლობად მიიჩნევდა , არა მხოლოდ როგორც ,,თავდაცვითი ომის '' სახით არამედ ნებისმიერ შემთხვევაში , სანამ ან ყველა ისლამზე არ მოექცეოდა , ან არ გადაიხდიდნენ ჯიზიას , კუტბი მსოფლიოს ხედავდა ორ ბანაკად , პირველი გახლდათ ისლამის ტერიტორია , ადგილი სადაც მოქმედებდა ისლმური წესები , და ამით იმართებოდა ქვეყანა , და მეორე ,, ომის ტერიტორია'' , ადგილები სადაც არ მოქმედებდა ისლამური კანონდებლობა . '' და ეომეთ , სანამ არ მოისპობა ჩაგვრა (გზასაცდენილობა) და სანამ არ გაიმარჯვებს სამართლიანობა და რწმენა ალლაჰისა . და , თუ შეწყვეტენ , - მტრობაც აღარ იყოს , გარდა მათ მიმართ ვინც განაგრძობს ჩაგვრას[55] '' კუტბისეული მოწოდება ჯიჰადთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში არის მცირე სახეცვლილება ყურანისეული აიათისა იმ კონკრეტულ მომენტში , რომ როდესაც არ გეომება მოწინააღმდეგე არ წარმოადგენს აუცილებლობა ბრძოლა მათ წინააღმდეგ .

ჯიჰადი თავდაპირველად გულისხმობდა ბრძოლას ურწმუნეობთან და გამორიცხავდა ნებისმიერი სახის თანამშრომლობას მათთან. თეოლოგიური მნიშვნელობით კი ჯიჰადი გახლავთ ის გზა , რომლითაც უნდა განტკიცდეს და ალლაჰის სიტყვა იქცეს უზენაესად . თუმცა აღსანიშნავია ასევე ის , რომ განსხვავებით კუტბისგან ჯიჰადის განხორციელება შეიძლება მშვიდობიანი ფორმითაც და ის თავის თავში არ გულისხმობს გარდაუვალ ომს . ჯიჰადმა როგორც აუცილებელი ომის სახის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ არაბთა დაბყრობის დროს შეიძინა , როგორც სახლიფოს პოლიტიკის გაგრძელება რათა განეხორიცლებეინათ დაბყრობითი ომები . ამ ომს ეწოდება ღაზავათ[56] , ხოლო მონაწილეები კი იწოდებოდნენ როგორც ღაზიები . განსხვაზვებით კუტბის შეხედულებისგან , რომ ,,მუსლიმის მოვალეობაა სხვა მუსლიმი მორწმუნეების დაცვა , რომ არ გადაუხვიონ რელიგიიდან . ამ შემთხვევაში მათ ნება ეძლევათ ,

[55] სურა 2 , ბაყარა (ფური) მედინური 286 აია . 190-ე აია , გვერდი 23 .
[56] ღაზავათ . არაბ . ლაშქრობა , თავდასხმა .

ძალას ძალით დაუპირსიპირდნენ[57]''. ისლამი თავის თავში გამორიცხავს ბრძოლას მუსლიმური თემის წარმომადგენლებთან .

მიუხედავად იმისა , რომ საბრძოლო ჯიჰადი ითვლება მხოლოდ და მხოლოდ მცირე ჯიჰადად , ხოლო დიდი ჯიჰადს წარმოადგენს გზა რომელსაც ეწოდება ე.წ. ,,სულის ჯიჰადი '' , კუტბისთან ეს მცირე ჯიჰადი ტრანსფორმირდა როგორც დიდი , და მის მოძღვრებაში აუცილებელ მოწოდებად იქცა. კუტბი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა ბრძოლის წარმოებას ნებიმსმიერ სახელმწიფოსთან , ყველა ,,ურწმუნოსთან '' მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა ისლამისადმი . მიუხედავად იმისა , რომ ჯიჰადი არ არის ვალდებულება , და ის არ შედის ისლამის ხუთ ბურჯში[58] , იყო მცდელობა რადიკალების მხრიდან რომ ის ექციათ როგორც მეექსვე ბურჯი თუმცა ეს მცდოლობები უშედეგოდ დასრულდა , პრაქტიკულად შეიძლება ითქვას , რომ კუტბი თავის მოძღვრებებში ცდილობს დაამკვიდროს ჯიჰადი როგორც მეექვსე ბურჯი ისლამისა . სხვადასხვა მოაზროვნეთა და თეორეტიკოსთა შეხედულებები ჯიჰადთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანია , მაგ. მუსლიმი სამართალმცოდნე ას-საური ამტკიცებდა , რომ ჯიჰადი მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი სახის უნდა ყოფილიყო , მისი განხორციელება უშუალო თავდასხმის შემდგომ უნდა მომხდარიყო. თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ საუკუნეების განმავლობაში ჯიჰადი იქცა არა როგორც რელიგიურ არამედ პოლიტიკურ იარაღად სხვადასხვა ხალიფების ხელში , რომლებიც ცდილობდნენ ძალაუფლების განმტკიცებას და ტერიტორიების დაბყრობას.

ჯიჰადის განხოცრიელების დროს აკრძალული იყო : ქალების , ბავშვების , მოხუცების , ავადმყოფების და ბერების დახოცვა , რომლებიც არ უწევდნენ მათ წინააღმდეგობას , საპისირპიროდ კი კუტბი ამტკიცებს , რომ მსულიმი უნდა

[57] ქაროსანიძე თ. - ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში , ,,მუსლიმი ძმების და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია , გვ. 156.
[58] შაჰადა , სალათი , საუმი , ზაქათი , ჰაჯი .

ყოფილიყო რადიკალი და მამაცი , რათა მას საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინა .

ის გამორიცხავდა შიშის არსებობას , პირიქით კუტბის აზრით ბედნიერნიც კი უნდა ყოფილიყვნენ ამ ბრძოლაში დაცემულნი , რადგან მათი საზღაური იყო შაჰიდობა , რომელის აუცილებელ საზღაურს მიიღებდნენ იმ ქვეყნად . თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ შაჰიდობაც გახლავთ ორი სახის , პირველი : შუჰადა ალ მა რაკა (ბრძოლის ველის წამებული) , რომელიც წამებულია იმქვეყნადაც , არ განიბანება და იმავე ტანსაცმლით იმარხება რომელშიც ის დაიღუპა . და მეორე შუჰადა ალ ახირა - მხოლოდ ,,იქმეყვნიური ცხოვრების წამებულნი ‘’, რომლებშიც შედის მეომარი რომელიც იმსხვერპლა საკუთარმა იარაღმა , ვინც მოკვდა მუსლიმი ყაჩაღების მიერ , საკუთარი სახლის და ქონების დაცვის დროს[59] .

ასევე უნდა აღინიშნოს , რომ დროთა განმავლობაში ჯიჰადი ჩამოყალიბდა რამდენიმე სახით : ,,გულის ჯიჰადი’’ გულისხმობს გულში გმობას ისლამის მტრისა , ,, კალმის ჯიჰადი ‘’ დაცვა წერილობითი სახით ისლამური ღირებულებებისა , ,,ხელის ჯიჰადი ‘’ ზნეობრივი ნორმების დამრღვევთა დასჯა , ,,ენის ჯიჰადი’’ ისლამის დაცვა სიტყვიერად და ,,მახვილის ჯიჰადი ‘’ შეიარაღებული ბრძოლა მტრებთან. აქედან კი საიდ კუტბისთვის მისაღები იყო მხოლოდ ბოლო ორი სახის ჯიჰადი , ვინაიდან ის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა ისლამის პროპაგანდისთვის ხელის არ შეშლას და წინააღმდეგ შემთხვევაში კი ის გამოიყენებდა ბოლო სახის ,,მახვილის ჯიჰადს’’ .მეორე მთავარ მოწოდებას წარმოადგენდა :

ჯაჰილია[60]- კუტბი ამ ტერმინით აღნიშნავდა ეტაპს შუამავალი იესოდან მუჰამედადე პერიოდს , რომლის დროსაც ხალხი განდგომილი იყო

[59] იხილეთ შენიშვნა N10

[60] ჯაჰილია (უცოდინრობა) - წარმართული ხანა , არაბეთის ნახევარკუნძულზე , დრო სანამ გამოჩნდებოდა მუჰამედი , მანამ სანამ გავრცელდებოდა ისლამი და შეიცვლებოდა პოლითეიზმი .

ყოველგვარი ჭეშმარიტებიდან და უვიცობის , უცოდნირობის გზას ადგა, სწორედ ჯაჰილიურს უწოდებდა კუტბი ეგვიპტეს , მის მოსახლეობას , კუტბის აზრით ჯაჰილიური იყო თუნდაც ის ისლამური მოწოდებები და ისლამის ის სახე და ფორმა რომელი სახითაც იყო წარმოდგენილი ის თანემდროვე ეგვიპტეში , ყველაფერს ჯაჰილიურს უწოდებდა დაწყებული კულტურიდან , სპორტიდან თუ განათლებიდან რომლითაც ხელმღძვანელობდა თანამედროვე ეგვიპტე , ჯაჰილიებს უწოდებდა მორწმუნეებს , რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სიტყვით იყვნენ მორწმუნენი და საქმით და ფიქრებით სხვას აკეთებდნენ , ჯაჰილიად მოიხსენიებდა ყველა არაისლამურ თემს. თანამედროვე ჯაჰილიას კუტბი უწოდებდა ღმერთის როლის უზურპაციას , რომელსაც ეწეოდნენ თანამედროვე სამყაროში და რომელიც გამოიხატებოდა იმაში , რომ განაცალკევეს საერო და საულიერო სამართალი , რელიგია და სახელმწიფო გამოეყო ერთმანეთს და ადამიანი ცდილობდა თვითონ გამხდარიყო სამართალშემოქმედი , მაშინ როდესაც არსებობდა შარიათი , რომელიც უცვლელი იყო დროსა და სივრცესთან მიმართებაში . ჯაჰილიაში კუტბიმ გააერთიანა ყველაფერი რასაც მოიცავდა : ფილოსოფია , ისტორია , ფსიქოლოგია გარდა ექსპერიმენტული ნაწილისა , ასევე ეთიკა , სოცილოგია , რომელიც კუტბის აზრით უპირისპირდებოდა რელიგიას , და მეცნიერებიდან მხოლოდ ტექნიკური განვითარების ნაწილის მიღებას არ ეწინააღმდეგებოდა . კუტბის აზრით არსებობდა ორი სახის კულტურა , პირველი გახლდათ ისლამური კულტურა რომელიც თავის თავში მოიცავდა ისლამის წესიების გამოხატულებას , მათ დაცვას და გატარებას რეალურ ცხოვრებაში და მეორე გახლდათ ჯაჰილიური წესები , რომლებსაც ადამიანები ადგენდნენ და ეწინააღმდეგებოდა ისლამურ წესებს .

კუტბი ჯაჰილიების რამდენიმე კატეგორიას ასახელებდა , პირველში შედიოდნენ კომუნისტები , რომლებსაც ამოძარავებდათ მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი ზრახვები და უარყოფნდნენ ღვთის არსებობას , ეთაყვანებოდნენ მხოლოდ პარტიას , შემდეგი კი გახლდათ კერპთაყვანისმცემლები რომლებშიც

უმაღლესი ხელისუფლება იყო არამუსლიმების ხელში , ასევე ეს მოიცავდა ქრისტიან და ებრაელ თემსაც , როგორც ჭეშმარიტი გზიდან გადასულებისა , რომლებსაც ჰქონდათ ჭეშმარიტება და საკუთარი ხელით თქვეს მასზე უარი . კუტბი თვლიდა , რომ ერთადერთი სამართალშემოქმედი იყო ღმერთი და ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი უფლება იყო და არა ადამიანებისა რომლებსაც სურდათ საერო სამართლით ჩაენაცვლებინათ ის. კუტბის აზრით ისლმიდან უნდა ყოფილიყო მომდინარე ის წყაროები , რომლითაც ის ჯაჰილიას დაუპირისპირდებოდა . მესამე კი გახლავთ :

ჯამა'ა - რომელიც გახლავთ მუსლიმური უმმას გაერთიანება , რომელთა საერთო პოლიტიკური ,რელიგიური და მორალური ასპექტებით დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ ისლამურ მანჰაჯზე . ისმალური მანჰაჯი კი გულისხმობს რამდენიმე ეტაპს , რომელიც უნდა გაიაროს მუსლიმმა, პირველი : როდესაც ხდება ფორმირება ჯამა'ა-სი , შემდგომი გახლავთ როდესაც მუსლიმი იძენს რწმენას , ხოლო საპასუხოდ იგი იღებს დაცინვას და ჩაგვრას , ამის შემდგომ ის უპირისპირდება არსებულ სოციუმს და გამოდის ,,სატანის პარტიიდან'' ,,ღვთის პარტიაში ''. შემდეგი გახლავთ ჰიჯრა , ანუ განშორება ჯაჰილიისგან , ბოლო ეტაპი კი გახლავთ ,,მექის დაკავება'' , რომლის შემეგომაც ხდება ყველა იმ ღირებულებების მიღება რასაც ქადაგებს ისლამი და შუამავალი მუჰამედი . კუტბის იდეები საკმაოდ მრავლად შეიცვას მოწოდებებს რადიკალიზმისკენ და ის ამ გზაზე არ ეწინააღმდეგება არც-ერთი სახის იარაღის გამოყენებას . სწორედ ამიტომ კუტბის იდეები იქცა მრავალი რადიკალური ორგანიზაციის ჩამოყალიბების წყაროდ და მისი სახელი დღემდე დაკავშირებულია რადიკალიზმის და ტერორიზმის საწყისებთან[61].

[61] ქაროსანიძე თ.: ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების" და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . (2009 წ) გვ. 124-167

თავი Ⅲ ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურება ახლო აღმოსავლეთში და მათგან მომავალი გლობალური საფრთხეები

3.1 ისლამისტური რადიკალური ორგანიზაციები : ალ-ქაიდა , ჰამასი ,და მათგან მომდინარე გლობალური გამოწვევები

ჰამასის შექმნა უკავშირდება მუსლიმი ძმების სახელს , შეიძლება ითქვას , რომ ეს ორგანიზაცია შექმნა ,,ძმების'' ასციაციამ , პალესტინაში მხარდამჭერების მოსაპოვებლად და მყარი დასაყრდენის არსებობისთვის . ,,ძმობისა'' და პალესტინის ურთიერთობა დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს ითვლის , და ის იწყება 1935 წლიდან , როდესაც ,,მუსლიმი ძმებმა '' თავისი ფილიალი შექმნეს იერუსალიმის ტერიტორიაზე . შემდგომ მოხდა შეტაკებები ისრაელის არმიასთან და სწორედ ამიტომ ასოციაცია შექმნა ახალი ორგანიზაცია სახელწოდებით ,,ალ-მუჯამმა ალ ისლამია'' , ეს ყოველივე კი მოხდა 1973 წელს.

1987 წელს უკვე იწყება ამბოხი , ბოიკოტი ისრალის პროდუქციისადმი , რომელიც ღია დაპირისპირებაშიც კი გადადიოდა , ამ ყოველივეს კი საგრძნობლად ,,ჩამორჩა'' ,,ძმების'' ასოციაცია ვინაიდან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის დაკავებული იყო საგანმანათლებლო საქმიანობებით და ღია დაპირისპირებებს თავს არიდებდა , ამის პარალელურად კი მათი მთავარი მოწინააღმდეგის ,,ისლამური ჯიჰადის'' გავლენა საგრძნობლად იზრდებოდა , რომლებიც უკვე ღიად უპირისპირდებოდნენ ,,ძმებს'' , ადანაშაულებდნენ უმოქმედობასა და ისრაელთან კავშირში , სწორედ ამ ყოველივემ მისცა ბიძგი შეექმნათ შვილობილი ,,კომპანია'' პალესტინის ტერიტორიაზე , სახელწოდებით : ,,ჰარაქათ ალ-მუკავამა ალ-ისლამია'' , რომლის აბრევიატურაც გახლავთ ,,ჰამასი'' , რომლებიც საკუთარ სახელს განმარტავენ როგორც ძალასა და მამაცობას , არაბულად კი ეს ტერმინი გულმოდგინებას აღნიშნავს , რომლის

ლიდერიც გახდა ალ იასნი , რომელიც გახლდათ ,,ალ მუჯამა ალ ისლამის'' ყოფილი ხელმძღვანელი , ეს ყოველივე კი მოხდა 1987 წლის 14 დეკემბერს[62].

უნდა აღინიშნოს , რომ ამ ორგანიზაციის მთავარი იდეა გახლდათ ინთიფადაში მონაწილეობა , უპირატესობის ვექტორის მათკენ გადახრა და გავრცელება ისლამური ფუნდამენტალიზმისა. ამ ორგანიზაციის მოგვიანებით გამოჩენა და ჩაბმა კონფლიქტში განმარტეს , როგორც საჭიროება რომელიც დადგა ამ კონკრეტულ მომენტში , ვინაიდან ისინი ამ დრომდე ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას , აშენებდნენ მეჩეთებს და ცდილობდნენ ხალხის აზროვნების შეცვლას , რომელიც მათი აზრით ღია დაპირისპირებაზე მეტად მნიშვნელოვანი საქმეც კი იყო . ასევე უნდა აღინიშნოს , რომ ჰამასი აქტიურად ცდილობდა ძალადობის ესკალაციას თვით პალესტინელთა შორისაც კი, აქ იგულისხმებიან ის ადამიანები , რომლებიც იყვნენ დაკავებულნი ნარკო ტრაფიკით , პროსტიტუციით ან იყვნენ შემჩნეულნი ებრაელებთან ურთიერთობაში .

ჰამასის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ყოფილიყო ცენტრალური , ძირითადი ძალა პალესტინაში , მათი საქმიანობა ლეგალურად მიმდინარეობდა 1989 წლამდე , და ამ ყოველივეში თავისი წვლილი შეიტანა ისრაელმაც , მიუხედავად იმისა , რომ ჰამასის ქარტიაში მათ ძირითად მოვალეობად განიხილებოდა ისრაელის განადგურება . ჰამასის ბრძოლის სტრატეგია საწყის ეპატზე საკმაოდ ქაოტური გახლდათ , რომელიც გულისხმობდა სახალხო დემონსტრაციებს , ქვების სროლას და ა.შ. ეს კი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ჩართულობისკენ , მათი ნდობისა და მხარდაჭერის მოსაპვებლად .

[62] Are Knudsen , Basem Ezbidi - ,, Hamas and the Quest for Palestinian Statehood '' – CHR. MICHELSEN INSTITUTE 2006 . p . 15-20

1992 წელს კი დაიწყო მასობრივი რეპრესიები რომლის დროსაც ჰამასის რამდენიმე ათასი წევრი დააპატიმრეს , ხოლო მისი 416 წევრი კი გააძევეს პალესტინის ტერიტორიიდან ლიბანში , ეს პროცესი საკმაოდ სწარფი ტემპით მოხდა , ხოლო გადასახლებულთ გასაჩივრების უფლება მიეცათ მხოლოდ ლიბანის ტერიტორიიდან . ეს ყოველივე მიმართული იყო ჰამასის დასასუტებლად , თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ ამგვარ ნაბიჯს ჰამასის დასუსტება არ გამოწვევია კონკრეტულად ამ ეტაპზე .

რაც შეეხება ჰამასის სტრუქტურას[63] , უნდა აღინიშნოს , რომ ჰამასმა თავისი ქარტია 1988 წელს გამოსცა , რომლის ძირითადი მიმართულებაც გახლდათ შერკინება ისრაელთან ყველა ფრონტზე და მისი საბოლოო განადგურება , ამავე დროს ღაზა დაიყო 6 სექტროად რომელსაც საკუთრივ თავიანთი ლიდერები ჩაუდგენენ სათავეში , ხოლო ,,ძმების'' ასოციაციიდან მოწვეული იქნა ჯამილ ჰამამი , რომელიც 1989 წლამდე პრაქტიკულად ერთპიროვნულად მართავდა ჰამასის საქმიანობის ყველა სფეროს , დაწყებული გაზეთების პროპაგანდისტული საქმიანობიდან , დამთავრებული კაპიტალის შეგროვებით და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის შესაბამისი ოდენობის თანხის გადაცემით . ჰამასის გზა საწყის ეტაპზე არ ყოფილა განსხვავებული თუნდაც ,,ძმების'' ასოციაციისგან , რომლემბმაც საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ადგილად მიიჩნიეს მეჩეთები , რომლებშიც ტერორისტული თავდასხმების ორგნაზებაც კი ხდებოდა

მას გააჩნდა თავისი საკონსუკტაციო საბჭო (მაჯლის შურა) , რომელის წევრებიც გახლდათ პალესტინის ტერიტორიიდან მათ შორის : მუსა აბუ მარზუკი - იორდანიის პოლიტიკური ბიუროს მეთაური , მუსამედ ნაზალი - დაჯგუფების წარმომადგენელი გახლდათ იორდანიაში ხოლო იმად ალ-ალამი კი თეირანში . სწორედ მარზუკმა შექმნა მობილური 6-8 კაცისგან შემდგარი პოლიტბიურო .

[63] იხილეთ შენიშვნა N11

ამ ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია გახლდათ , როგორც ზემოთ აღინიშნა ბრძოლა ისრაელთან ყველა ფრონტზე და ამ მიზნის მისაღწევად ისინი იყენებდნენ სამოქალაქო აქტივისტებს , ხდებოდა მათი დაშინებაც , ასევე რელიგიურ გრძობებზე ზემოქმედება რომელიც გულისხმობდა სხვადასხვა რელიგიური წარწერების და მოწოდებების გავრცელებაში რათა ამ ორგანიზაციის გაიგვება მომხდარიყო ისლამთან , კიდევ ერთი ფაქტორი რაც ზრდიდა მათ პოპულარობას გახლდათ ის , რომ ჰამასი ეხმარეობა ყველა იმ ოჯახს რომელმაც განიცადა დანაკარგი ისრალეთან ბრძოლაში[64] .

რაც შეეხება იდეოლოგიას , ჰამასის იდეოლოგიის მთავარი წყარო გახლავთ ქარტია რომელიც მათ 1988 წელს გამოსცეს , რომელშიც იკვეთება მათი მთავარი მიზნები და ამოცანები , ყველა მუხლს თუ თავს კი გასდევს ძირითადი ანტისემიტური ხაზი , ებრაელების განადგურებისა . მანიფესტი კი შედგება 5 თავისა და 36 მუხლისაგან , რომელშიც არის მოწოდება , რათა მთელი პალესტინის ტერიტორიაზე შეიქმნას ისლამური სახელწიფო , რომელიც იმართება მუსლიმური წესებით , სადაც მათი მთავარი კონსტიტუცია შარიათი გახდება და ეს ასე უნდა იყოს ვიდრე არ მოხდება მეორედ მოსვლა . პალესტინა კი როგორც ისლამის ტერიტორია , ყველა მუსლიმის მხედველობის ობიექტში უნდა იყოს , ვინაიდან თვითოეული მუსლიმის ვალებულებაა ისლამის ტერიტორიის დაცვა , ეს ყოველივე აღბეჭდილია მანიფესტის მეცამეტე მუხლში .

აღსანიშნავია ასევე ის , რომ ჰამასი არ სცდება პალესტინის ფარგლებს , მისი ძირითადი მოთხოვნა და თავისი თავისთვის დაწესებული ვალდებულებაც სწორედ ისლამური სახელმწიფოს შექმნაა , ოღონდ პალესტინის ტერიტორიაზე .

რაც შეეხება დამოკიდებულებას ისრაელთან , ორგანიზაციის ძირითადი მიმართულება სწორედ მასთან ბრძოლაა , აღნიშნეს კიდეც მანიფესტშიც , რომ

[64] იხილეთ შენიშვნა N11 გვ. 112

მეორედ მოსვლა მანამ არ მოხდება , ვიდრე თვითოეული ებრაელი არ განადგურდება , სადაც არ უნდა დაიმალონ ყველგან ხილული გახდება მათი სამალავი და ისინი უნდა იქნენ მოკვდინებულნი , სწორედ ებრაელების კვალს ხედავს ჰამასი პირველსა და მეორე მსოფლიო ომებში , ასევე რევოლუციებში და მათ ადანაშაულებს მთელი მსოფლიოთი მანიპიულირებაზე , მათ ხედავენ ყველა ფინანსების უკან და მოიხსენიებენ ე.წ. მასონური ლოჟების შემქმნელებად . ასევე მკაფიოდ აღნიშნავენ , რომ ამ ებრაელებს არაფერი აქვთ საერთო იმ დიდ ხალხთან , აბრაამის შთამომავლებთან , მათ მკაფიოდ მიჯნავენ ერთმანეთისგან და სწორედ ამიტომ მოითხოვენ იმ ებრაელების განადგურებას რომლებიც ამჟამად სახლობენ ისრაელის ტერიტორიაზე .

ქარტიის მე-15-ე და 33-ე მუხლებში არის მკაფიო მოწოდება ჯიჰადისკენ , ჰამასი ყველა მუსლიმს მოუწოდებს გამოუცხადოს ისრაელს ჯიჰადი და საბოლოოდ გაათავისუფლონ ეს ტერიტორია , ასევე ჯიჰადი ჰამასის მიერ ცხადდება როგორც ყველა მუსლიმის აუცილებელი ვალდებულება ისლამის გზაზე . თუმცა ავდროულად ჰამასი აცხადებს , რომ სამ მონოთეისტურ რელიგიას ისლამს , ქრისტიანობას და იუდაიზმს შეუძლიათ მშვიდად და უომრად თანაარსებობაც , ისლამის დომინაციით, მისი დროშის ქვეშ.

ქარტიაში ქალებს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდათ მინიჭებული , მაგ. მე-12-ე მუხლის თანახმად ქალს შეეძლო მონაწილეობის მიღება ჯიჰადში , ქმრის ნებართვის გარეშეც კი , თუმცა შემდგომ მე-17-ე თავში დაკორექტირდა ეს მოწოდებაც და ქალის ძირითად ,,საბრძოლო'' ადგილად ისევ სახლი და სამზარეულო იქცა . თუმცა ამასთან ერთად ჰამასი განსაკუთრებულ როლს ანიჭბდა გოგონების განათლებას , ვინაიდან მათ მოაზროვნე და ჭეშმარიტი ისლამური უმმას წევრობის ღირსი ადამიანი აღეზარდათ .

ჰამასი ასევე ღიად ებრძვის საერთაშორისო კონფერენციებს , რომელთაც ის დროის ფუჭ კარგვად მიიჩნევს , ვინაიდან მათი აზრით მხოლოდ ჯიჰადი

რჩება იმ ერთადერთ გზად რომლითაც უნდა გათავისუფლდეს პალესტინის ტერიტორია.

ჰამასს მკაცრად აქვს განსაზღვრული სამოქმედო არეალი , რომელიც გულისხმობს , რომ ომი არ გადაიტანოს პალესტინის საზღვრებს გარეთ , არა თუ ომი , არამედ ჰამასის ხელმძღვანელებიც კი იშვიათად ტოვებდნენ პალესტინის ტერიტორიას , მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული ჩაურევლობა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში , მიუხედავად მათი მიზნებისა და მხარდაჭერისა ჰამასისადმი , სწორედ ამიტომ თუ ჰამასი დახმარებას იღებდა სხვა რომელიმე ქვეყნიდან , სპასუხოდ ის მხოლოდ თავის საქმიანობას განაგრძობდა ისრაელის წინააღმდეგ და არც-ერთი ფორმით არ ერეოდა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში , თუმცა არც იმას ეწინააღმდეგებოდა , რომ ვინმე სხვას ეწარმოებინა თავდასხმა ან ჯიჰადი საკუთარი დროშით ისრაელის წინააღმდეგ . მხოლოდ და მხოლოდ სპარსეთის ყურის კონფლიქტის[65]დროს მოუხდა ჰამასს საზღვრებს გარეთ გასვლა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება , რომ დაეგმო რეგიონში დასავლეთის ძალების ესპანსია და ერაყის ტერიტორიაზე არაბული ჯარი ჩამდგარიყო . ჰამასს ასევე კარგი დამოკიდებულება აქვს ირანთან , რომელიც რეგიონში დომინანტ სახელმწიფოს წარმოადგენს და სარგებლობს მისი მხარდაჭერით , რომლის ამოწმებს ჰამასის ოფისის გახსნა ირანის ტერიტორიაზე 1992 წელს , სწორედ ამით შეიძლება ვივარაუდოთ , რომ ირანი სწორედ ჰამასში ხედავს იმ ძალას , რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს პალესტინის გათავისუფლებაში და ბრძოლაში ისრაელის წინააღმდეგ .

ასევე აღსანიშნავია ისიც , რომ ჰამასმა დაარსებიდან დაახლოებით 3 წლის შემდეგ გადახედა თავის დამოკიდებულებას დასავლეთის ქვეყნებთან და ის

---

[65] სპარსეთის ყურის მეორე ომი ეწოდება ომს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითზე თავდასხმით დაიწყო და 1991 წელს 34 ქვეყნის კოალიციის (*მეთაური აშშ*) მიერ ერაყის დამარცხებით დამთავრდა. აშშ-ში ამ სამხედრო ოპერაციებს უწოდებენ "ოპერაცია უდაბნოს ფარს" და "ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალს"

მოაქცია შედარებით მშვიდ და დიპლომატიურ ჩარჩროებში , რომელიც გულისხმობდა იმას , რომ ჰამასი უკვე არ გამორიცხადა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას თუ ეს იქნებოდა მიმართული პალესტინელების სასარგებლოდ და ასევე მკაცრად დაფიქსირებული პოზიცია , რომ ჰამასს არანაირი წინააღმდეგობა არ ჰქონდა არც-ერთ ორგნაზიაციასა თუ ქვეყნასათან , რომელიც ხელს არ უშლიდა ჰამასის საქმიანობას და არ აბრკოლებდა პალესტინელებს საკუთარი ქვეყნის დაცვის გზაზე .

თუმცა ასევე აღსანიშნავია ჰამასის სახეცვლილება უახლოეს წარსულში , როდესაც ის ღიად საუბრობდა კავშირის გაწყვეტაზე ,,მუსლიმ ძმებთან'' და ასევე მკაფიოდ აცხადებდა , რომ ისრაელის გასანადგურებლად ღია ბრძოლის მეთოდს აღარ გამოლიყენებდნენ . შესაძლოა ეს დასავლეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იყოს გაჟღერებული , თუმცა ეს ცოცხალი პროცესია , რომლის მიზანიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი , შემდგომი მათი ქმედებების კვალდაკვალ .

ალ-ქაიდა[66] - ჩამოყალიბდა 1988 წელს ოსამა ბინ ლადენის მეთაურობით , ეს ყოველივე კი მოხდა ავღანეთსა და საბჭოთა კავშირის ომის მიმდინარეობის დროს , სუნიტებისა და სალაფიტებისგან შემდგარი ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა გააერთიანებინათ მსოფლიო ისლამის დროშის ქვეშ .

ალ-ქაიდას დამაარსებელი , მისი პირველი ლიდერი და მებრძოლი ოსამა ბინ-ლადენი , რომელის პასუხისმგებელი იყო მრავალი უდანაშაულო ადამიანის დახოცვაზე , მრავალწლიანი დევნის შემდეგ პაკისნატში 2011 წელს , აშშ-ს მიერ განხორციელებულ სპეცოპრაციის შედეგად იქნა ლიკვიდირებული .

ალ-ქაიდა გახლავთ ერთგვარი ,,ქოლგა'' ორგანიზაცია , რომელსაც თავის მხრივ აქვს სტრუქტურული ერთეულები და შვილობილი ორგნაზიაციები ,

[66] იხილეთ შენიშვნა N12 გვ. 112

,,გლობალური ჯიჰადი[67]''-ის მიმდევარ ტერორისტულ ორგანიზაციათა მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს ალ-ქაიდა და მათი მიბაძვისა და ერთგვარ შთაგონების წყაროდ არის ქცეული ეს ტერორისტული ორგანიზაცია .

ალ-ქაიდა გადაიქცა მკაცრი იერარქიული სტრუქტურის მქონე ორგანიზაციად , შეიძლება ითქვას , რომ სწორედ ეს გახდა ის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი , რომელმაც მისცა საშუალება ამ ორგანიზაციას გადაელახა მრავალი დაბრკოლებები და დღემდე ერთ-ერთ მთავარ ტერორისტულ დაჯგუფებად დარჩენილიყო , განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემრბის ტერაქტის[68] შემდეგ , რომლითაც გახდა მსოფლიოსთვის ცნობილი ეს ორგანიზაცია და მისი ლიდერი ოსამა ბინ ლადენი , ამ ყოველივეს შემდეგ დაიწყო ღია დაპირისპირება და ბრძოლა ორგანიზაციის წინააღმდეგ თუმცა ის დღემდე მაინც განაგრძობს არსებობას . ამირს , ანუ საერთო ლიდერს ამ ორგანიზაციაში პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლებები გააჩნია , მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ორაგნიზაციის ყველა საქმიანობაზე , როგოროც შიგნით ასევე ქვყენის ფარგლებს გარეთ . ლიდერს აქვს ალ-ქაიდას ოპერატიული , მმართველობის და რელიგიური წინამძღვრის უფლებამოსილება . სწორედ ამიტომ ის აქტიურად მონაწილეობს სტრატეგიულ დაგეგმვარებაში , ასევე ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და სახავს სამოქმედო გეგმას . მას ასევე ევალება ახალი მოვლენების კვალდაკვალ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა , ასევე მას აქვს დიდიროლი ორგნაზიაციის შიდა სტრუქტურის მოწყობაში , განსაკუთრებით კონკრეტული პირების დაწინაურება თუ ჩამოქვეითების საკითში .

---

[67] გლობალური ჯიჰადი - ეს ტერმინი გაჩნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში , ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შედგად, ამ ბრძოლაში სსრკ-ს გამოუცხადეს ჯიჰადი , და მასში მონაწილებას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან ჩამოსული მუსლიმი მებრძოლები , რომლებიც საკუთარი ინიციატივით მიდიოდნენ საბრძოლველად , ავღანეთის და ისლამის დასაცავად.

[68] ალ - ქაიდას თვითმკვლელ ტერორიტთა კოორდინირებული თავდასხმა , რომლის დროსაც ტერორისტებმა გაიტაცეს ოთხი თვითმფრინავი , ორი თვითმფრინავი დააჯახეს ნიუ-იორკის , მსოფლიო სავაჭრო ცენტრს , მესამე შეეჯახა პენტაგონის შენობას , ხოლო მეოთხე სომერსეტ-ქაუნთის ველზე ჩამოვარდა . დაიღუპა თვითმფირნავის ყველა მგზავრი .

ალ-ქაიდას სტრუქტურა კი შემდეგი სახისაა : საერთო ლიდერი (ამირი) გახლავთ მოქცეული ორგანიზაციის სათავეში მდივანი (თანაშემწე) მოადგილე სამეთაურო საბჭო , რომიდანაც გამომდინარეობს შემდეგი სტრუქტურები : პოლიტიკური კომიტეტი , რელიგიური კომიტეტი , სამხედრო კომიტეტი , სამხედრო კომიტეტს კი ჰყავს მასზე დაქვემდებარებული ქვე-კომიტეტები : ზოგადი ,შიდა განყოფილება რომელსაც ემორჩილება მთავარი განყოფილება და სავარჯიშო , წვრთნის განყოფილება . უშუალოდ სამხედრო კომიტეტს ემორჩილება ასევე განსაკუთრებული ოპერაციების განყოფილება , მისი ქვეკომიტეტები გახლავთ : მსოფლიოს ოპერაციული უჯრედები და გაფართობები და ასევე დოკუმენტების გაშიფვრის კომიტეტი , რომელსაც ევალება არსებული მონაცემების შეფასება და მისი სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა . სამხედრო კომიტეტს ექვემდებარება ასევე : კვლევა და ბიბლიოთეკა და ასევე მასობრივი განადგურების იარაღის კომიტეტი .

შემდეგი გახლავთ ადმინისტრაციული და ფინანსური კომიტეტი , რომელიც ემორჩილება სამეთაურო საბჭოს , ამ კომიტეტის ქვე-კომიტეტებია განსახლება , აღრიცხვა და ინტერორგანიზაციული მომსახურეობა . შემდეგი გახლავთ უსაფრთხოების კომიტეტი . და ბოლო გახლავთ მედია კომიტეტი , რომელსაც აქვს ასევე ქვეგანყოფილებები : ფონეტიკის , ფილმის მონტაჟის , სტამბის , არქივის , ფოტოგრაფიის , სამდივნოს , კავშირის , თარგმნისა და კომპიუტერული განყოფილების დეპარტმანეტები .

სამეთაურო საბჭო გახლავთ გადაწყვეტიულენბის მიმღები უმაღლესი ორგანო ალ-ქაიდაში , ამირი ასახელებს საბჭოს წევრებს ხოლო უშუალოდ მათი მოვალეობა კი გახლავთ ორგანიზაციის საქმიანობის მეთვალყურეობა . საბჭო შედგება 7-10 წევრისგან , რომელიც ირჩევა ორი წლის ვადით , და რომელსაც ირჩევს ამირი , საბჭო კი თვეში ორჯერ იკრიბება საკონსულტაციოდ . ხოლო უშუალოდ სამეთაურო საბჭო ირჩევს სხვა კომიტეტების წევრებს და ის უფლებამოსილია სამოქმედო გეგმის შდგენაზეც .

რაც შეეხება სამხედრო საბჭოს , მისი მიზანი და ამოცანა გახლავთ წვრთნა მებრძოლებისა , რომლებიც უნდა იყვნენ მორჩილნი და გაიარონ შესაბამისი სასწავლო კურსები რომლებიც დაეხმარებათ მათ გახდნენ ანგარიშგასაწაევი ძალა და მიაღწიონ მეტაურის მიერ დასახულ მიზანს . ყურანის სწავლების საფუძველზე უნდა შექიმნას სწორედ ეს დისციპლინირებული არმია , სწორედ სამხედრო საბჭოს მეთვალყურეობის და მისი პასუხისმგებლობის საგანია პარტიზანული ომები რომელიც ყოველი ტერორისტული ორგანიზაციის ერთგვარი ,,სავიზიტო ბარათია'' .

სპეციალური ოპერაციების განყოფილება კი პასუხისმგებელია ქვეყნის ,,გარე'' საქმიანობაზე და შემუშავებული გეგმის სისრულეში მოყვანაზე , სწორედ ამ განყოფილების მიერაა შესრულებული 2001 წლის 11 სექტმებრის ტერაქტი. დოკუმენტაციის განყოფილება , ეს გახლავთ ის მტავარი ბიუროკრატიული აპარატი რომელიც უზრვუნველყოფს ორგანიზაციის წევრების აქტიურ მიგრაცია , ვინაიდან სწორედ ისინი მუშაობენ ყალბი საბუთების და დოკუმენტაციის შექმნაზე . პოლიტიკური კომიტეტის მტავარ ფუნქციას კი წარმოადგენდა ურთიერთობები გარშემო მყოფ სხვა ორგანიზაციებთან და ამ ტეორისტული იდეის პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა , ან მცდელობა ასე გაეკეთებინათ . ხოლო მედიის კომიტეტი ეს გახლავთ პროპაგანდის ,,მანქანა'' , რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადამიანების ფსიქოლოგიური ტერორი , მათი მოზიდვა ორგტანიზაციის რიგებში , ხოლო მოწინააღმდეგეთა ბანაკებში შიშის და დაუცველობის შეგრძნების გაღვივება .

ეს ის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია რომელზეც დგას ორგანიზაცია , სწორედ ამ მკაცრად სტრუქტურიზებულმა სისტემამ მოიყვანა დღევანდელ დღემდე ალ-ქაიდა , რომელიც დღესაც გახლავთ ერთგვარი ლამპარი და მიბაძვის ობიექტი სხვადასხვა ახლად ჩამოყალიბებული თუ ძველი ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან.

3.2 შიიტური ისლამისტური ორგანიზაცია ჰეზბოლას გააქტიურება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში

1982 წელს ირანში გაიმართა ე.წ. ,, ჩაგრულთა პირველი კონფერენცია'' , რომლის მიმდინარეობის დროსაც იმამმა ხომეინმა მოუწოდა ყველა იქ შეკრებილ წევრს , რომ ებრძოლათ ისრაელის წინააღმდეგ , სწორედ ეს შეიძლება მივიჩნიოთ ჰეზბოლას ჩამოყალიბების დასაწყისად , თუმცა ოფიციალურად ჰეზბოლას დაარსების თარიღად მიჩნეულია 1984 წლის 16 თებერვალი, მისი სულიერი ლიდერი კი გახდა აიათოლა ხომეინი , ხოლო პარტიის პირველი გენერალური მდივანი მუჰამად ჰუსეინ ფადლლალაჰი , რომელიც მალევე ჩაანაცვლა ახალგაზრდა და ქარიზმატულმა ჰასან ნასრალაჰმა , რომელიც 1985 წლიდან მართავს ამ ორგანიზაციას . ჰეზბოლას შექმნა ლიბანში გამოწვეული იყო რამდენიმე ფაქტორით , თუმცა ის მაინც ირანის ისლამური რევოლუციის გამოძახილად დარჩა , პირველი ფაქტორი გახლდათ ლიბანის ოკუპაცია ებრაელთა მხირდან , შემდეგი შიიტი მოსახლოების რაოდენობის ზრდა ლიბანის ტეროტორიაზე და სამოქალაქო ომი , რომელმაც გამოფიტა და დაღალა ლიბანის მოსახლეობა[69].

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც , რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-ს ადმინისტრაციამ ჰეზბოლა შეიყვანა ოც ყველაზე გავლენიან და საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში. ყველაზე წარმატებული შედეგი რაც ამ ორაგნიზაციამ განახორციელა ლიბანისთვის ეს გახლდათ მისი გათავისუფლება ებრაელთა ოც წლიანი ოკუპაციისგან 2005 წელს . ჰეზბოლას მყარ ფესვებს ასევე ხელს უწყობს ისეთი ძლიერი მოკავშირე და მეგობარი , როგორიც გახლავთ ირანი , რომელიც არის ერთგვარი შუქურა და მფარველი მთავარი შიიტური სახელმწიფო შიიტებისთვის .

---

[69] მეტრეველი მ. ,,ლიბანი '' - აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი . თბილისი 1998 , გვ. 30-45

სამოქალაქო ომის დასრულების შემდგომ (1990 წ) , ჰეზბოლამ გაიაზრა და მიხვდა , რომ მხოლოდ ტერორზმით შორს ვერ წავიდოდა , და სწორედ ამიტომ მან დაიწყო აქტიური ჩარევა პოლიტიკაში , ანუ ტერორისტული ორგანიზაცია შეთავსებით პოლიტიკურ ძალად იქცა.

მათ ჩამოაყალიბეს პოლიტიკური პარტია ,,წინააღმდეგობისა და განვითარების ბლოკი '' , და 1992 წელს მათ მოიპოვეს 8 მანდატი და შეაღწიეს პარლამენტში , უნდა აღინიშნოს რომ დღეის მონაცემებით პარლამენტში მათი რაოდენობა პრაქტიკულად გაორმაგდა[70] .

ასევე უნდა ღინიშნოს , რომ ჰეზბოლა თავის თავს არ აღიარებს როგორც ანტი სემიტს , ვინაიდან ის თვლის და ღიად საუბრობს იმაზე , რომ ჰეზბოლა ებრძვის არა ებაელებს არამედ ისრაელის სახელმწფოს , იმის გათვალისწინებით რომ ფაქტები სხვაზე მეტყველებენ რთულია მათი ნდობა ამ საკითხში , ასევე ჰეზბოლას წარმომადგენლები ღიად ადანაშაულებენ დასავლეთს კონკრეტულად კი აშშ-ს მუსლიმთა მარგინალიზაციაში .

რაც შეეხება ირან-ჰეზბოლას ურთიერთობას , ჰეზბოლას ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ირანის რევოლუციის გაგრძელება , ვინაიდან ჰეზბოლას იდეოლოგია ძირითადად ნაკარნახევი იყო ირანიდან , ხოლო მისი ფინანსები კი ირანის რევოლუციური არმიის ხაზინიდან მოდიოდა , პრაქტიკულად ირანმა შეასრულა როგორც შიიტურმა ზესახელმწიფომ , გადამწყვეტი როლი ასევე შიიტური ტერორისტული ორგანიზაციის შექმნასა და ფორმირებაში .

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი , რომ ჰეზბოლამ დაგმო 9/11 ის ტერაქტი აშშ-ში , ასევე ნეგატიურად შეაფასა სუნიტური ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობები , როგორიც გახლავთ ,,დაეში'' , ,,ალ-ქაიდა'' , ,,ალ-ნუსრა'' და სხვა.

---

[70] 1989 წელს დაიდო ტაიფის შეთანხმება , რომლის ძალითაც ამალი და ჰეზბოლა ინარჩუნებდნენ შეიარაღებულ ძალებს ლიბანის ტერიტორიაზე და ეს უკვე კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოხდა , ამას კი დაემატა 2004 წელს გაეროს რეზოლუცია , რომელიც აღნიშნავს ჰეზბლას არა როგორც ტერორისტული ორგანიზაციად , არამედ როგორც წინააღმდეგობის მოძრაობად .

ჰეზბოლა საგარეო ურთიერთობები გააჩნია მთელ რიგ აქტორებთან : ირანთან და სირიასთან ჰეზბოლას საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს , ეს კი იმით აიხსნება რომ , ირანი ჰეზბოლას საკმაოდ კარგად იყენებს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების დროს , თუნცდაც ისეთის როგორიც გახლავთ სირიის სამოქალაქო ომი , ჰეზბოლა ასადის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე გახლავთ .

რაც შეეხება რუსეთს , ის ჰეზბოლას მიიჩნევს როგორ ლეგიტიმურ ძალას ახლო აღმოსავლეთში , რაც შეეხება ისრაელს და აშშ-ს მათ მკვეთრად განსხვავებული და ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ ამ ორგანიზაციის მიმართ და ეს განპირობებულია მათი იდეოლოგიური სხვაობით , პრაქტიკულად ამ ორმა სახელმწიფომ განაპირობა ჰეზბოლას ჩამოყალიბება .

იმის გათვალისწინებით , რომ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ჰეზბოლას სამეხდრო და პოლიტიკური ფრთა და მათი მოქმედების მეთოდები , აზრთა სხვადასხვაობა სწორედ ამიტომ ჩნდება მის მიმართ , არიან ქვეყნები რომლებიც ჰეზბოლას სამხედრო ბლოკს ცნობენ მხოლოდ როგორც ტერორისტულ ორგანიზაციად და არა მის პოლიტიკურ მხარეს , როგორიც გახლავთ საფრანგეთის დამოკიდებულება ჰეზბოლასადმი .

თუმცა არიან ქვეყნებიც , რომლებიც მიიჩნევენ , რომ ჰეზბოლას ორივე მხარე არის ტერორისტული , და ამ ქეყნების რიცხვი უფრო მეტია , ისრაელი , გერმანია , აშშ , კანადა არაბული ლიგა და სხვა.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროებს , ისინი ორ ჯგუფად იყოფა პირველი ეს გახლავთ შიდა დაფინანსების წყაროები , როგორც ამას თვითონ ორგნაზიაციაში ამბობენ , ,,შემოწირულობები'' რომლებსაც ახლორციელებენ ადგილობრივი ბიზნესმენები თუ უბრალო მოქალაქეები , ასევე შემოსავლების წყარო გახლავთ ის ბიზნესები რომლებსაც ეს ორგნაზიაცია აკონტროლებს ლიბანის ტერიტორიაზე .

რაც შეეხება საგარეო დაფინანსებას , ის შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად , პირველი გახლავთ , რომელსაც ეს ორგანიზაცია იღებს სამთავრობო სარჩულს მიღმა , იმ ორგანიზაციებისა თუ სახელმფიწოების მხრიდან , რომელთაც სურთ ჰეზბოლას სახით ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ მყარი დასაყრდენი და საკუთარი ინტერესების გამტარი ჰყავდეთ , ერთ-ერთი მთავარი დაფინასების წყარო ამ შემთხვევაშიც გახლავთ ირანი , რომლისგანაც დაახლოებით 400 მილიონი დოლარის დახმარება მიიღო ამ ორგანიზაციამ 1983-90 წლებში ,სამოქალაქო ომის მიმდინარეობის კვალდაკვალ[71] .

ერთ-ერთ მთავარ დაფინანსების წყაროს ასევე წარმოადგენს , ნარკოტიკები , ფულის გათეთრება და აკრძალული ნივთებით ვაჭრობა , რომელსაც აქტიურად იყენებს ჰეზბოლა , განსაკუთრებით კი ბექაას ხეობიდან მარიხუანას ექსპორტით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში , მათ შორის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მის არმიას , შეიძლება ითქვას , რომ ჰეზბოლას ლიბანზე უფრო ძლიერი არმია ჰყავს , იმ პოტენციური მხარდამჭერების კვალდაკვალ როგორიც გახლავთ , ამალი , სირია და ირანი , სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ,,სახელმწიფოს სახელმწფიოში'' , და ეს ლოგიკურიც გახლავთ იმ ფინანსებით და ძალით რომლელიც არის თავმოყრილი ამ ორგანიზაციაში.

ასევე უნდა აღინიშნოს ჰეზბოლას აქტიურობა ლიბანის გარეთ , ბოსნიის ომში (1992-95) დაახლოებით 150 მებრძოლი იბრძოდა ადგილობრივი მუსლიმების დასახმარებლად , სერბების წინააღმდეგ , ეს გახლდათ ერთგავერი ძალების მოსინჯვა და აქვე უნდა აღინიშნოს , რომ ეს არა ლიბანის არამედ

[71] იხილეთ შენიშვნა N13 გვ. 113

ირანის ინტერესის გამტარ ქმედებად შეიძლება მივიჩნიოთ ჰეზბოლას მხრიდან[72].

თუმცა ყველაზე აქტიურად იყვნენ ჩართული სირიის სამოქალაქო ომში , რომელიც დაიწყო 2011 წელს , და რადგანაც ამ ომმა მიიღო ჯიჰადისტური ხასიათი სწორედ ამ მოტივით ჩაერთო ომში ჰეზბოლაც , რომელიც აქტიურად უპირისპირდებოდა ,,დაეშს'' და ,,ალ ნუსრას'' , ჰეზბოლა ამ ომში ირანის ინტერესის გამტარი იყო , ის უჭერდა მხარს ასადის რეჟიმს , ირანი კი რეგიონში ჰეგემონობისთვის მებრძოლი სახელმწიფოა , და მის ინეტერსებში აშკარად შედის მსგავსი პარტიზანული ომებით ფონს გასვლა და ძალაუფლების მოხვეჭა. როგორც ჰეზბოლას წარმომადგენლები და მისი ლიდერები აღნიშნავენ , ისინი განსხვავდებიან სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან და მკაფიოდ ემიჯნებიან უდანაშაულო ნგერავსა და მსხვერპლს , მათი მოქმედება არის ძალადობრივი და ტერორისტული თუმცა ისინი როგორც აღნიშნავენ , ებრძვიან კონკრეტულ პირებს და არა უდანაშაულო ადამიანებს ან შენობებს , სწორედ ამიტომ გაემიჯნენ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს ვაშინგტონსა და ნიუ იორკში . თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს , რომ ტერორისტული გზით სუიციდური აფეთქების პიონერები სწორედ ჰეზბოლას წარმოამდგენლები იყვნენ , რომელთაც ეს ხერხი გამოიყენეს ისრაელის თავდაცვის ძალების წინააღმდეგ გასული საუკუნის 80 იან წლებში . ჰეზბოლა ასევე აქტიურად იყენებს გატაცებებს , როგორც თვითმფრინავისა და მანქანებისა ასევე საჯარო მოხელეებისა.

აღსანიშნავია ტვიროსის სათავო ოფისების აფეთქება , რომელიც ჰეზბოლამ განახორციელა 1982-83 წლებში , და რომელსაც ემსხვერპლა 103 ებრაელი და 55 ლიბანელი მოქალაქე. 1983 წელს ასევე განხორციელდა თავდასხმა აშშ-ს საელჩოზე , რომელსაც 73 ადამიანის სიცოცხლე ემხვერპლა ,

[72]სანიკიძე გ , .ალასანია გ , გელოვანი ნ. - ,,ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი).'' ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.. თბილისი 2011 გვ. 200-225

ამ ტერაქტის დროს გამოყენებული იყო სატვირთო მანქანა რომელსაც გადაჰქონდა 93 კილოგრამი ასაფეთქებელეი ნივთიერებები.

აღსანიშნავია ასევე არგეტნინაში , ებრაული კულტურის სახლზე თავდასხმა , 1994 წლის 18 ივლისს , რომელსაც 85 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და აქაც გამოყენებული იყო სატვირთო მანქანა.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია ვინაიდან ჩამოყალიბებიდან დღემდე ჰეზბოლა აქტიურად ახორციელებს ტერორისტულ ომებს სხვადასხვა ტერიტორიაზე და აქტიურად იყენებენ ტერორისტრული აქტების სხვადასხვა ახალ და დახვეწილ მეთოდებს , რომელითაც უფრო მეტი ადამიანის დაღუპვა ხორციელდება .

რაც შეეხება ბრძოლის გამოცდილებას და სტრატეგიას შეიძლება ის ორ მიმართულებად დაიყოს , პირველი გახვალთ ჩრდილოვანი ომი , რომელსაც იყენებენ ჰეზბოლას წინააღმდეგ , და რომელიც გულისხმობს წერტილოვან დარტყმებს და ჰეზბოლას ლიდერების ლიკვიდაციას , როგორც ეს იყო აბას ალ მუსავისა და მისი ოჯახის ლიკვიდაცია ებრაელების მხირდან 1992 წლის 16 თებერვალს , ასევე მუსტაფა ბადრ ად დინის მკვლელობა დამასკოს აეროპორტთან აფეთების შედეგად და სხვა . თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ მსგავსი მეთოდებით ბრძოლა უარესს შედეგს იღებს დანარჩენი მსოფლიოსთვის, ვინაიდან შურისძიების მიზნით ჰეზბოლას წარმომადგენლები შეიძლება გახდნენ უფრო უკონტროლოები და არაპროგნოზირებადნი და მათმა თავდასხმის სახეებმა შეიძლება ტრანსფორმირება განიცადონ და ამან უდანაშაულო მსხვერპლთა ზრდა გამოიწვიოს.

მეორე მეთოდი ჰეზბოლასთან საბრძოლველად კი გახლავთ რბილი ძალა , ეკონომიკური სანქციების სახით , რომელსაც აკისრებენ ლიბანს და მის

მოკავშირეებს მათ შორის ირანსაც როგორც ჰეზბოლას დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს .

ჰეზბოლა დღესთვის ერთ-ერთ მზარდ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს , და მასთან ბრძოლაც კომპლექსური უნდა იყოს ვინაიდან სირია და ირანი ჰეზბოლას მთავარ მოკავშირეებს წარმოადგენენ, ხოლო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებიც პირდაპირპროპორცულად აისახება ჰეზბოლაზეც.

3.3 ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო" და ახალი გამოწვევები როგორც რეგიონის ასევე მსოფლიოს წინაშე

დაეშის ისტორიის ათვლა შეიძლება 2004 წლიდან დავიწყოთ , როდესაც „ალ ქაიდა ერაყში-ს" სახელწოდებით შეიქმნა სუნიტური ტერორისტული დაჯგუფება , აბუ მუსაბ ალ-ზარკავის მეთაურობით . მისი , როგორც ჯიჰადისტი მებრძოლის კარიერა დაიწყო 1989 წელს , როდესაც ის ავღანეთში გაემგზავრა წითელ არმიასთან საბრძოლველად რათა თავისი რელიგიური ვალდებულებები დაემტკიცებინა ბრძოლის ველზე .

ზარკავის აქტიურად სურდა და იბრძოდა მოკავშირეების შემენისთვის , რათა ბრძოლის სურათი შეეცვალა , ის 1992 წელს დაბრუნდა იორდანიაში , თუმცა მალევე დააპატიმრეს ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვისთვის , ის ასევე თანამშრომლობდა რელიგიურად საკმაოდ განათლებულ და შემდგომში კი მის მასწავლებელ მუჰამედ ალ-მაყდისთან , მაყდის იდეებმა კიდევ უფრო განუმტკიცა ზარკავის ის სულისკვეთება რომლითაც დაბრუნდა იორდანიაში , თუმცა 1994 წელს ის დააპატიმრეს , ციხეში ყოფნის პერიოდი აღმოჩნდა ერთგვარად გარდამტეხი მისი სამომავლო საქმიანობისთვის , პრაქტიკულად ციხეში მან დახვეწა თავისი თეორიები , ხოლო ქარიზმითა და ორატორული

ნიჭის წყალობით მან ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა სხვა პატიმრების მხრიდანაც.

1999 წელს ზარკავი გაათავისუფლეს მეფე აბდულლაჰის ამნისტიის შედეგად , ამ დროისთვის კი მას ჰქონდა უკვე ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა , და მიაკითხა ბინ ლადენს , რომ მიეღო ერთგვარი კურთხევა , მხარდაჭერა და დაფინანსება ლიდერისგან , მიუხედავად იმისა , რომ საწყის ეტაპზე ბინ ლადენს არ მოსწონდა ის რადიკალიზმი რომელსაც ზარკავი იჩენდა მუსლიმების მიმართაც კი , მაინც აკურთხა ის ლიდერად და გაუწია ფინანსური დახმარება და გაგზავნა დასავლეთ ავღანეთში ,,სასწავლო'' ბანაკის შესაქმნელად[73].

ზარკავიმ კონტაქტებისა და მენეჯერული უნარების წყალობით თითქმის მთელს მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა, რომლის შედაგადაც იზრდებოდა მისი რეიტინგი, ხოლო ორგნაიზაციას ემატებოდა წევრთა რაოდენობა , აშშ-ის შემოჭრის შედეგად 2001 წელს იგი გაძევებულ იქნა ავღანეთიდან ხოლო შემდგომი სამი წელი ირანს , ერაყსა და იორდანიაში მან მიუძღვნა აქტიურ პროპაგანდას თავისი იდეოლოგიისა და ორგანიზაციისა , რომლის შედეგადაც მან უკვე 2003 წელს შექმნა უშუალოდ დაეშის წინამორბედი ორგანიზაცია ,,ჯამაათ თავჰიდ ვალ ჯიჰად''-ი , ამ დროს ზარკავი აქტიურ კონტაქტში იყო სხვა ჯიჰადისტურ ორგანიზაცასითან , ,,ანსარ ალ ისლამის'' წარმომადგენლებთან . საბოლოოდ კი ზარკავი მზად დახვდა აშშ-ს ერაყში შემოჭრას.

აშშ-ს შეჭრა ერაყში ერთგვარად იყო აღწერილი ზარკავის მიერ , რომელსაც სურდა ეს დიდხნიან ომში გადაეზარდა , რომლითაც უნდა დაცემულიყო აშშ-ს როგორც ზესახელომწიფს იმიჯი , ასევე მას სურდა

[73]katarzyna jasko , arie w kruglanski , ahmad saiful rijal bin hasan , rohan gunaratna - ,, ISIS: Its History, Ideology, and Psychology '' . Chapter · April 2018 . p . 20-30

ხელოვნური კონფლიქტური სპრალის წარმოშობა ადგილობრივ შიიტებსა და სუნიტებს შორის , ზარკავს სძულდა შიიტები , და მიიჩნევდა რომ ისინი იყვნენ მოღალატეები და ურწმუნოები. ასევე ივარაუდა რომ მასიური ძალადობა და მტრების შექმნის იდეა ერთგვარად მიმზიდველი იქნებოდა ჯიჰადისტური იდეით შებრყრობილი ადამიანებისთვის .

ზარკავის ამბიციები იყო საკმადო დიდი , აშშ-ს ერაყში შეჭრის შემდეგ მან განახორციელა მრავალი ტერორისტული თავდასხმა იგივე იმამ ალის მეჩეთში , და შიიტურ სალოცავ ნაჯაფში , ზარკავის საფირმო ნიშანი გახლდათ ტყვეებისთვის თავის მოკვეთა , სატვირთო მანქანებში ბომბის ჩამონტაჯება და შევარდნა შენობებსა თუ ხალხმრავალ ადგილებში , ამით მას სურდა ქაოსის შექმნა ერაყის ტერიტორიაზე , რომ მსოფლიოს ყველა წერტილში მცხოვრები მუსლიმებისთვის გაეხადა ნათელი , ერაყის ახალი ჯიჰადისტური ცენტრის ადგილად ქცევის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ზარკავის ცუდი დამოკიდებულება შიიტების მიმართ , რომელიც მათ ,,შიდა '' მტრებად მიიჩნევდა , ბინ ლადენსა და ზარკავის შორის სწორედ ეს საკითხი ხდებოდა ერთგვარი უთანხმოების საგანი , ზარკავი მიიჩნევდა , რომ შიიტების მსგავს შევიწროებას უნდა მიექცია ყურადღება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მცხოვრები ,,მოდუნებული'' სუნიტებისთვის , რომლებიც უნდა შეერთებოდნენ ერაყში ამ ორგანიზაციას და მისი შემადგენლობაც და პროპორციულად ძალაც უნდა გაზრდილიყო .

მიუხედავად ამ მცირე დოქტრინალური უთანხმოებისა ბინ ლადენსა და ზარკავის შორის , ოსამა მასში ხედავდა დიდ ქარიზმატულ ლიდერს , რომელსაც შესწევდა ძალა ეს ბრძლა ბოლომდე მიეყვანა , სწორედ ამიტომ მართ ერთგვარი ერთგულების ფიცი დადეს 2004 წელს , სწორედ ამის შემდეგ ალ-ქაიდა ერაყში გახდა ერთგვარი შვილობილი კომპანია ალ-ქაიდასი , რომელიც თავის მფარველობის ქვეშ მოიქცია ბინ ლადენმა .

ზარკავი ძალადობის ამ უკიდურეს და საშნელ ფორმებს მიზანმიმართულად ახორციელებდა , რადგან ეს ფაქტი ხდებოდა ატაცებული მედიის მიერ და მისი პოპულარობაც საგრძნობლად მატულობდა , ასევე ჰუსეინის ,,ჩამოგდების" შემდეგ , აშშ-მ სცადა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის დაყენება ერაყის ტერიტორიაზე , ბაასის წარმომადგნლები პოლიტიკური პორცესებიდან გვერდით იქნენ განყენებულნი , ათეულობით ათასი ოფიცერი და სამხედრო მოსამსახურე დარჩა პრაქტიკულად უსაქმოდ და უუფლებოდ , პარლამენტში კი დომინანტებად იქცნენ შიიტები და ადგილობრივი ქურთები , ამ პროცესმა კი დააჩქარა ამ უუფლებოდ დარჩენილ სუნიტებში სეპარატისტული სულისკვეთების გამოღვიძება , და ისინი იქცნენ უკვე ზარკავის ორგანიზაციის წევრებად , რომელთა შურისძიება უკვე მიმართული იყო როგორც შიიტების ასევე აშშ-ს წინააღმდეგ.

მოქალაქეებს უჩნდებობდათ დაუცველობის შეგრძნება და ამის ფონზე ზარკავისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისკენ მიდრეკილება სულ უფრო იზრდებოდა , ეს ორგანიზაციები ამ დროს პოპულარობის ზენიტში იყვნენ ადგილობრივ მოსახელობებს შორის .

გარდამტეხი მოვლენა კონფიქტში გახლდათ 2006 წლის 22 თებერვალს ალ-ასკარის მეჩეთზე თავდასხმა, რომელიც შიიტების ერთ-ერთ მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს, სწორედ ამ დღიდან დაპირისპირება შიიტებსა და სუნიტებს შორის პრაქტიკულად ქუჩაში გაგრძელდა, ეს მოვლენა არ შეფასებულა როგორც სამოქალაქო ომის დასაწყისი მიუხედავად იმისა , რომ ამ ფაქტს დაახლოებით 1000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

კონფლიქტის ესკალაცია ეცნობათ სუნიტური თემის წარმომადგენლებსაც, თან იმის გათვალისწინებით რომ AQI არ აძლევდათ მათ მშვიდობის გარანტიას, ამით ისარგებლეს აშშ-ს წარმოამდგენლებმა და დადეს ხელშეკრულება მათთან, 25 სუნიტური თემის წარმომადგენელი გარეთიანდა ამ ხელშეკრულებაში რომელიც ცნობილია როგორც ანბარის გამოღვიძება. ეს

ყოველივე მოითხოვდა დამატებით ამერიკული კონტიგენტის გაგზავნას ერაყში, რომლის დროსაც ჩატარდა სპეც-ოპერაციები, რომლებმაც ზარკავის მრავალი მომხრე შეიწირეს.

2006 წლის ივნისში ამერიკელი სამხედროების საჰაერო იერიშს ემსხვეროლა თავად ზარკავიც, რომელიც შეირაცხა შაჰიდად ამგვარი მოწამეობრივი სიკვდილის გამო, მისი ადგილი კი დაიკავა აბუ ჰამზა ალ მუჰაჯირმა, რომელმაც იმავე წლის ოქტომბერში გამოაცხადა დაარსება (ISI) ერაყის ისლამური სახელმწიფოსა, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ ეთანხმებოდნენ ალ ქაიდას ლიდერები, და პოპულარობა გარკვეულწილად დაკარგა ამ ორგანიზაციამ, 2009 წლამდე პრაქტიკულად ერთგვარი მშვიდობის ხანა იყო ერაყში ამ ორგანიზაციის მხრიდან .

ISI- დაბრუნება გამოიწვია იმ ფაქტმა რომ, აშშ-მა დაარსეს ბანაკი ბუკა, იზოლატორები, რომლებშიც იყვნენ ჩაკეტილები ასევე ჰუსეინის არმიის ყოფილი წევრები და უმეტესწილად სუნიტური თემის წარმომადგენლები, ISI-ის ერთ-ერთმა ლიდერმა შემდეგ განაცხადა კიდეც, რომ ამ ციხეებმა შთაბერეს ამ იდეოლოგიას ახალი სიცოცხლე, იქ შეკრებილმა ადამიანებმა, რომელთაც პროტესტის საშინელი განცდა აერთიანებდათ.

2009 - წელს დაიხურა ბანაკი ბუკა , თუმცა იქ მყოფ ადამიანებს შორის კავშირი ამით არ დასერულებულა, პრაქტიკულად ISI-ის ყველა ლიდერი ოდესღაც მაინც იყო დაპატიმრებული და ამ ციხეში ნამყოფი, 2010 წელს, როდესაც სამხედრეო იერიშებს ემსხვერპლა ISI-ის ორი ლიდერი : აბუ აიუბ ალ მასრი და აბუ ომარ ალ ბაღდადი, ამ ორგანიზაციის შემდგომი ლიდერის ადგილი დაიკავა ბანაკ ბუკას ყოფილმა პატიმარმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა სამხედრო გამოცდილება, ის მაინც აირჩიეს ლიდერად, რომლის პირველივე ნაბიჯი გახლდათ ჰუსეინის არმიის ყოფილი მებრძოლების და წარმომადგენლების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა, ეს

ყველაფერი კი გამოწვეული იყო აშშ-ს არასახარბიელო ქმედებებით ახლო აღმოსავლეთში.

გაგრძელებად , ანბარის გამოღვიძებისა , ISI-ს ძალებმა 2011 წელს შური იძიეს სუნიტურ თემებზე , როდესაც აშშ-მ დატოვა ერაყი , ეს მოხდა ერაყში ე.წ. ,,არაბული გაზაფხულის'' მიმდინარეობის დროს , საბოლოოდ სუნიტი თემი პირისპირ აღმოჩნდა ალ ბაღდადთან , სრულიად დაუცველად , ამან კი მის ორგანიზაცის უფრო მეტი პოპულარობა და მებრძოლი მოუტანა.

შემდეგ კი , როდესაც სირიაში ასადის წინააღმდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი , ალ ბაღდადი ძალიან დაინტერესდა ამ თემით და 2012 წელს მიზნად დაისახა სირიაში გაეხსნათ ერთგვარი ფილიალი , რათა შემდგომში ამ ორგნაზიაციის ფუნქციონირებას სირიის ტერიტორიაზე მყარი დასაყრდენი ჰქონოდა , ალ ბაღდადის მიზნები გაცილებით დიდი და შორს მიმავალი იყო , მას სურდა წაეშალა ყოველგვარი საზღვრები სირიასა და ერაყს შორის , და იქ დაემყარებინა ისლამის წესებით მმართველობის ახალი სისტემა .

მათი მთავარი მასაზრდოებელი გახლდათ სალაფიტური წარმოდგენები , რომ სახელმწიფო და რელიგია განუყოფელი უნდა იყოს და ქვეყანა იმართებოდეს შარიათის მიხედვით , მიუხედავად იმისა , რომ ალ ბაღდადმა დადო ერთგულების ფიცი ბინ ლადენთან , განსხვავება ფუნდამენტალურ საკითხებთან დაკავშირებით მაინც გადაუჭრელი დარჩა , მთავარი განსხვავება ამ ორ ორგანიზაციას შორის შეეხებოდა თაფირს , ISI-ის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ , რომ ის მუსლიმები ვინც არ ემორჩილებოდნენ მუსლიმურ წესებს , ცხოვრების იმ სტილს რომელსაც დაეში ქადაგებდა , ყველანი იქნებოდნენ მოკვდინებულნი. ალ ქაიდა კი თვლიდა , რომ მუსლიმის მოკვლა არ შეიძლებოდა რადგან ეს დაანგრევდა უმმას , და ჯიჰადი მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ გარე ძალების წინააღმდეგ[74]. ეს ორგანიზაცია

[74] Kabir Taneja - ,, THE ISIS PHENOMENON: SOUTH ASIA AND BEYOND '' Foreword by Harsh V Pant 2018 . p . 40-89.

გამოირჩეოდა წევრთა მზარდი რაოდენობით , რომლებსაც შესანარჩუნებლად და ასევე შეიარაღაბის უზრუნველსაყოფად შესაბამისი და არც თუ მცირე ფინანსები სჭირდებოდათ , პირველი რამაც ფინანსური მოგება მოუტანა დაეშს გახლდათ დაპრყობილი ტერიტორიის ძარცვა და აქედან მიღებული შემოსავალი , 2015 წლისთვის დაეშის ღირებულებამ ორ მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწია და ის იქცა მსოფლიოში უმდიდრეს ტერორისტულ ორგანიზაციად.

გთავაზობთ ტერორიზმის ანალიზის კვლევის მონაცემებს , რომლებშიც მითითებულია ამ კვლევის მიხედვით დეშის შემოსავლები 2015 წელს[75].

როგორც ხედავთ 2015 წელს დაეშის მთლიანი შემოსავლების 25 % შეადგენდა ნავთობი , რაც კოალიციის მიერ განხოციელებული დარტყმების შედეგად , რომლიც მიზნად ისახავდა ნავთობის გადამზიდი მანქანებისა თუ ჭაბურღილების განადგურებას მკვეთრად შემცირდა 2016 წლისათის .

ამ ყოველივემ ცხადყო , რომ მიუხედავად დაპირისპირებული მხარეების არსებობისა , ნავთობით ვაჭრობა ხშირ შემთხვევაში ამ ორ ბანაკს შორის საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა , ერთ-ერთი მთავარი გამსაღებელი დაეშის ნავთობისა გახლდათ ასადი , რომელსაც ეს ,,იაფად'' მიღებული ნავთობი ეხმარებოდა პოზიციების შენარჩუნებაში .

ასევე ფინანსების მიღების ერთ-ერთი მთავარი წყარო გახლავთ იძულებითი გადასახადები , რომლებსაც აკისრებს დაეში მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მილიონობით მოქალაქეებს , როგორიც გახლავთ წყლისა თუ ელექტრო ენერგიის გადასახადი , ასევე უწევდათ ე.წ. ჯიზიის გადახდა დაეში-ს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხორებ რელიგიური უმცირების წარმომადგენლებს , რომ ყოფილიყვნენ ,,დაცულნი'' და ეცხოვრათ უსაფრთხოდ.

[75] იხილეთ დანართი N 14 გვ. 114

დაეშის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა არა მხოლოდ ჯიჰადი და ბრძოლა აშშ-ს წინააღმდეგ რეგიონში , როგორი გზაც ჰქონდა ალ ქაიდას არჩეული , არამედ მათ სურდათ დაეწყოთ მიგრაცია სხვადასხვა კონტინეტის ქვეყნებიდან სირიის მიმართულებით , აქტიური პროპაგანდის წყალობით ისინი მოუწოდნებნენ მუსლიმებს ჩამოსულიყვნენ სირიაში და ეცხოვრათ ხალიფატში , რომელიც იმართებოდა შარიათის მიხედვით , ეს დაეშის მთავარი სამიზნე იყო რადგან ტერიტორია გახლდათ ის მთავარი მიზანი რომელიც მათ აინტერესებდათ , რაც შეიძლება მეტი ტერიტორია ყოფილიყო მათ შემადგენლობაში , რათა მოეპოვებინათ აღიარება როგორც ისლამური სახელმწიფოსი და არა ტერორისტული ორგანიზაციისა .

2015 წლის ბოლოსთვის უცხოელი მებრძოლების რიცხვმა დაახლოებით 30 000 მიაღწია , აღსანიშნავია ასევე ის გარემობა , რომ მებრძოლთა რიგები ივსებოდა არა მხოლოდ მამაკაცებით არამედ ქალების მიგრაციის რაოდენობაც საკმაოდ მაღალი გახლდათ ე.წ . სახალიფოს მიმართულებით , ვრცელდებოდა ფოტოები რომლებშიც ,,სახალფოში'' ჩასული ადამიანები წვავდნენ საკუთარ პასპორტს , და გამოხატავდნენ კმაყოფილებასა და ბედნიერებას მათი ახალი ცხოვრების მიმართ , რადგან თვლიდნენ რომ ეს გზა იყო მათი დაბრუნება იმ დიდ წარსულთან , რომელსაც დააშორეს , მიგრანტები იყვნენ როგორც არაბული ქვეყნებიდან, ასევე აფრიკიდან , ევროპიდან , რუსეთიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდანაც კი .

პოტენციურ ტერორისტთა მობილიზებას აღნიშნული რეგიონისკენ ხელს უწყობდა ასევე სოციალური მედიაც , ფეისბუკიდან თუ ტვიტერიდან ხდებოდა პოპულარიზაცია ამ რეგიონში ჩასვლის მოწოდება , და აფიშირება იმისა , რომ დაეში იყო დაბრუნება ისლამის საწყისებთან და აქ მათ ნამდვილი რელიგიური ბედნიერება ელოდათ , ეს მოწოდებები კი აქტიურ გამოხმაურებას ჰპოვებდნენ ხშირ შემთხვევაში ისეთი რეგიონებიდან რომლებშიც შეინიშნებოდა

რადიკალიზმის ნიშნები , მაგ . ბრიუსელის მოლენბეკის ტერიტორია , ბიზერტე და ბენი ტუნისში , პანკისის ხეობა საქართველოში და სხვ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც , რომ სწორედ ონლაინ სივრციდან ხდებოდა მათი იდეური დამუშავების დიდი ნაწილიც , რომლითაც პოტენციურ წევრებს აჯერებდნენ , რომ ეს იყო დაბრუნდება წმინდა ისლამის საწყისებთან , და თ ამ გზაზე ისინი დაიღუპებოდნენ მიიღებდნენ შაჰიდის წოდებას , და ამქვეყნიური მსხვერპლისთის დაჯილდოვდებოდნენ სამოთხით იმ ქვეყანაში .

ისლამური სახელმწიფოს ,,დიდი დამგეგმავი'' , როგორც ეს ბოლოს გაირკვა გახლდათ ჰუსეინის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ჰაჯი ბაქრი , რომელიც დაიღუპა ერთ-ერთ ჯგუფთან შეტაკების დროს 2014 წელს, სადაც ნაპოვნი იქნა მისი ბლოკნოტი და ჩანაწერები 30 გვერდამდე , რომლებშიც დეტალურად იყო აღწერილი დაეშის სამოქმედო გეგმა ტერიტორიული დაბყრობის თვალსაზირისთ[76] .

2017 წლიდან კი უკვე იწყება ხალიფატის დასასრულის დასაწყისი , მრავალი მარცხი ბრძოლებში , და ამის შედეგად ისინი გადავიდნენ ბოლო ამოსუნთქვაზე , რომელიც გულისხმობდა არა მოწოდებას სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა რომ ჩასულიყვნენ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე , არამედ სადაც იყვნენ იქ განეხორციელებინათ მცირე ტერორისტული აქტი . სწორედ ამან გამოიწვია ტერორისტული თავდასხმების განხოცრიელება : მანჩესტერში და ბარსელონაში 2017 წელს , პარიზში 2015 წელს , ჯაკარტაში 2015 წელს და ბაღდადში 2016 წელს.

ხალიფატის დაშლის პროცესის წინაპირობა ასევე იყო მისი მებრძოლების უკან დაბრუნება , ხალიფატის რიგებში მყოფნი უკვე აქტიურად ტოვებდნენ დაეშს და უბრუნდებოდნენ საკუთარ სამშობლოს , ბევრი მეცნიერისთვის ეს იყო ერთგვარი მიძინების პერიოდი ამ მებრძოლთათვის , და გარკვეული

[76] იხილეთ შენიშვნა N15 გვ. 116

დროის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო მათი გამოღვიძება და ეს ძალიან საშიში იქნებოდა მსოფლიოსთვის , ამიტომ მთავარ გამოწვევად დარჩა უკან დაბრუნებული მებრძოლებისა თუ უბრალოდ ხალიფატის წევრების საკითხი.

მიუხედავად ხალიფატის დაშლისა და განადგურებისა გაერთიანებული ძალების მიერ , ერთ-ერთ მთავარ პორბლემად რჩება ზემოთ აღნიშნული მიგრაციის საკითხი , რომელმაც შეიძლება გამოწვიოს დეზტაბილიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში , თუ ახდება მეცნიერთა ის ვარაუდი და დაიწყება ,, გამოღვიძება '' დაბრუნებული მებრძოლებისა[77].

[77] ISIS - ,, https://www.theatlantic.com/magazine/archive/2015/03/what-isis-really-wants/384980/ (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021) p. 2

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს , რომ ჩემს მიერ კვლევის საწყის ეტაპზე გამოთქმული ჰიპოტეზა კვლევის უკვე სასრულ ეტაპზე სრულად დადასტურდა .

ისლამში რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალობება საუკუნეებით ადრე იღებს სათავეს და ის ე.წ. ,,ასასინებს'' უკავშირდება , ასასინების რადიკალიზაციას და ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში არსებულმ,ა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ , რაც ძირითადად უკავშირდებოდა ჯვაროსნების ქმედებას ამ რეგიონში . ასასინები თავისი საქმიანობით და იდოლოგიით არაფრით არ გვანან მომდევნო საუკუნეებში - მეოცე და ოცდამეერთე - წარმოქმნილ ტერორისტულ ორგანიზაციებს . ის მკვეთრად განსხვავდება ტანამედროვე ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციებისგან , მისი პოლიტიკური სამქიანობა იყო ბევრად მასშტაბური , მათ სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები შეიტანეს მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში .

სუნიტურ ისლამში წარმოქმნილმა ვაჰაბიზმმა სერიოზული გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოებაზე . აღნიშნული მიმართულება თავიდანვე პრობლემად იქცა არა მხოლოდ არამუსლიმების , არამედ ისლამის მიმდევრებისთვისაც . ეს მიმდინარეობა ებრძოდა ყველაფერ იმას , რაც მათი შეხედულებით არ იყო მართებული . ვაჰაბიზმი , დღევანდელი საუდის არაბეთის სახელმწიფო რელიგიაა , რომელიც გარკვეული ცვლილებების განცდისდა მიუხედავად განსაზღვრავს რეგიონის ამ მნიშვნელოვანი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს .

ახლო-აღმოსავლეთში სიტუაცია დღესაც საკმაოდ არასტაბილურია , ამის ფონზე კი იქ მოღვაწე პოლიტიკური პირები თუ ცალკეული აქტორები ცდილობენ რელიგიას ამოეფარონ და საკუთარი ინტერესები რელიგიის

სახელით გაატარონ , სწორედ ისლამის დიდი დოზით პოლიტიზირება ახდენს არეულობის ესკალაციას და აფერხებს ქვეყნების განვითარებას და მშვიდობიან თანაარსებობას .

ეგვიპტისთვის და არა მხოლოდ მისთვის ერთ-ერთ მთავარ აქტორად იქცა ,,მუსლიმი ძმების '' გამოჩენა და გააქტიურება , მათი გაძლიერება და თანდათან პოლიტიკურ ველზე გამოჩენა , სწორედ მათ უკავშირდება ,, თავისუფალი ოფიცრების '' რევოლუციის მოწყობა 1952 წელს , ეს ორგანიზაცია წლების განმავლობაში აკრძალულიც კი იყოთავისი რადიკალიზმიდან და ტერორისტული ქმედებებიდან გამომდინარე და ეგვიტპის რამდენიმე პრეზიდენტი შეეცადა მის ექტრემისტულ ძალად შერაცხვას , მასთან ღიად დაპირისპირებული ას-სადათი კი სწორედ ,,ძმების '' მიერ პროვოცირებულ და დაგეგმილ თავდასხმას შეეწირა კიდეც , ეგვიპტეში სიტუაცია მუბარაქის მმართველობის ბოლო პერიოდში საკმაოდ მძიმე იყო , მიუხედავად იმისა , რომ მუბარაქმა ,,ძმებთან '' ბრძოლის სხვა გზა აირჩია და მათ თავისივე იარაღით დაუპირისპირდა , რომელიც გულისხმობდა რელიგიის ფენომენის გამოყენებას იმის საილუსტრაციოდ , რომ ,,ძმებს'' არანაირი კავშირი არ გააჩნდათ ისლამთან და ისინი იყვნენ უბრალოდ ექტრემისტები . არაბული გაზაფხულის შემდეგ ,,მუსლიმმა ძმებმა'' მცირე ხნით მუჰამედ მორსის მეთაურობით ხელიფუსლებაც კი დაიკავეს , თუმცა ისინი იმდენად მცირე დროით იყვნენ ხელისუფლების სათავეში , რომ რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ შოახერხეს , ახალ რევოლუციას მოუმზადებელნი შეხვდნენ და საბოლოოდ ხელისუფლება ზომიერმა ისლამისტმა აბდელ ფატიჰ ალ სისიმ დაიკავა , რომელიც დღემდე საკმაოდ დიდ დაბრკოლებებს უქმნის ,,ძმებს '' და ცდილობს რომ ეს ორგანიზაცია არ გაძლიერდეს , თუმცა იმდენად არასტაბილურია სიტუაცია , რომ რთული განსასაზღვრია როგორი პოლიტიკური სურათი იქნება ხვალ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და კონკრეტულად ეგვიპტეში. ტერორიზმის თანამედროვე სახით გამოჩენა კი პირდაპირ დაკავშირებულია ,,ძმების '' იდეოლოგ საიდ კუტბისთან , რომელიც

გამოირჩეოდა რადიკალიზმით და სიცოცხლეშივე თავისი მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდა ტერორისტულ თავდასხმებს. მუსლიმმა ძმების და კუტბის იდეოლოგია დაედო საფუძვლად დანარჩენ ტერორისტულ ორგანიზაციებს , რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ როგორც გასულ საუკუნეში , ისე თანამედროვე ეპოქაშიც უსაფრთხოებას , როგორც საკუთრის ახლო აღმოსავლეთში , ისე მოსლფიო მასშტაბითაც .

მუსლიმი ძმები და კუტბი გახდნენ ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების ცამოყალიბების ხელშემწყობები და იდეოლოგები , როგორებიცაა , ალ-კაიდა და ჰამასი . მიუხედავად მათი საერთო იდეოლოგიისა , ისინი თავიანთი სტრუქტურით და ქმედებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან . ალ-კაიდა არის ქოლგა ორგანიზაცია , რომელიც თავის რიგებში აერთიანებს სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს და რომლის მოქმედების არეალიც შესაბამისად ფართოა . რაც შეეხება ჰამასს , პალესტინურ ტერორისტულ ორგანიზაციას , რომელის შედგება პოლიტკური და სამხედრო ფრთისაგან , ძირითადად ისრაელის წინააღმდეგ იბრძვის და მკვეთრად გამოკვეთილი ანტისიონიზმით გამოირჩევა ჰეზბოლა ალ-კაიდას მსგავსად აქტიურად ერევა რეგიონში არსებულ კონფლიქტებში .

ყველა სხვა ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციებისაგან განსხვავდება ,,ისლამური სახელმწიფო'' ანუ ,,დაეში '' , მას დანარჩენებისგან განასხვავებს განსაკუთრებული სისასტიკე . მას ჰქონდა ყველა დანარჩენზე ძლიერი შეირაღება , ადამიანური რესურსი და ფინანსები , აქტიურად იყენებდა სოციალურ მედიას და გავლენა ჰქონდა გავრცელებული დიდ ტერიტორიაზე . ,,დაეში '' სერიოზულ საფღტხეს უქმნიდა არა მხოლდო ახლო აღმოსავლეთს , არამედ მისი საფრთხის მასშტაბები საკმად დიდი იყო , აქედან გამომდინარე მის წინააღმდეგ გაერთიანდა , სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ქვეყნები თუ ორგანიზაციები , რადგან მისგან მომავალი გლობალური საფრთხეები შეეჩერებინათ .

ბიბლიოგრაფია

1. ბიბლია - ახალი აღთქმა ,- საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა , თბილისი 1989
2. გაბაშვილი ვ . - შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა , (პერიოდიზაციის ცდა) - კრ. აღმოსავლური კულტურა . თბილისი 1980.
3. გელოვანი ნ. , სანიკიძე გ. - ისლამი (რელიგია ,ცივილიზაცია , ისტორია) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა - თბილისი 2009
4. ზმანენსკი ბ . - წარმართ არაბთა ზოგიერთი საკულტუ რიტუალი და მათი გავლენა ისლამზე , . ,,ჯავან მარდი'' თბილისი 1990 .
5. ნარიმანიშილი გ. , ასასინები (მითი და რეალობა) გამომცემლობა ,,მწიგნობარი'' თბილისი 2012
6. სანიკიძე გ. ,,ისლამიზმი ,, ფუნდამენტალიზმი , ტერორიზმი ,ინტეგრიზმი , ტრადიციონალიზმი , ცნებათა განმარტებისთვის '' , პერსპექტივა XXI (2) თბილისი 2002
7. სანიკიძე გ , შიიზმი და სახელმწიფო ირანში , საქართველოს მეცნიერებათა აკადემია , აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი , თბილისი 2005
8. ქაროსანიძე თ. : ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების"" და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . გამომცემლობა ,,ნეკერი '' , თბილისი 2009
9. Arjomand S.A. – The Turban for the Crown . The Ilamic Revolution in Iran , Oxford . 1988.
10. BANNA H. Al-, ,,Message of the Teaching '' , ed. Majmu 'at Rasa il al-Shahid , Cairo , al-shihab Publishing House , n.d. 2009
11. BRYNJAR LIA - ,,The Society of the MUSLYM BRATHERS in Egypt . January 1998
12. CHATTERJI, Nikshoy C.: History of Modern Middle East. London, Oriental University Press, 1987.
13. HAMZEH, Nizar: "Lebanon's Islamist and local politics: a new reality", Third World Quarterly,Vol. 21 no. 5, 2000. P
14. Kabir Taneja - ,, THE ISIS PHENOMENON: SOUTH ASIA AND BEYOND '' Foreword by Harsh V Pant 2018 katarzyna
15. katarzyna jasko , arie w kruglanski , ahmad saiful rijal bin hasan , rohan gunaratna - ,, ISIS: Its History, Ideology, and Psychology '' . Chapter · April 2018

16. Maria Dolores Algora Weber ,, THE MUSLIM BROTHERHOOD FOLLOWING THE “25 JANUARY REVOLUTION”: FROM THE IDEALS OF THE PAST TO THE POLITICAL CHALLENGES OF THE PRESENT ‘’ - CEU San Pablo University – 2012 . . p
17. Nawaf Obaid - ,, The Muslim Brotherhood A Failure in Political Evolution ‘’ HARVARD kennedy school BELFER CENTER for science and Inernetional affairs , 2017
18. ROY, Oliver: El Islam mundializado. Los musulmanes en la era de la globalización. Barcelona, Bellaterra, 2003.
19. Umej Bhatia - ,, AUTOBIOGRAPHY, POLITICS AND IDEOLOGY IN SAYYID QUTB’S READING OF THE QUR'AN’’- Institute of Defence and Strategic Studies Singapore . 2005
20. Wedgwood R. Al Qaeda, Terroris, and military commissions. the American journal of international law. 2002 y. vol 96, no2.
21. utb, Sayyid. 'The America I Have Seen:' In The Scale of Human Values. Portland: Portland State University, 1951
22. Jennifer Varriale Carson- ,,Left-wing Terrorism: From Anarchists to the Radical Environmental Movement and Back ‘’ - Chapter · January 2016

ინტერნეტ რესურსები

19 . Aziz Abu-Hamad, Cynthia Brown, Holly Cartner, Rachel Denber, Alison Des Forges, Christopher George, Eric Goldstein, Jeannine Guthrie, Farhad Karim, Bronwen Manby, Ivana Nizich, Binaifer Nowrojee, Christopher Panico, Ken Roth and Karen Sorenson. - ,, A statement on Recent Incidence of Communal / Religious Violence ,,The Egiptian Organization for Human Rights” , 3 April , 1990 , 1. https://www.hrw.org/reports/1995/communal/ (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021)

20 . ,,მემარჯვენე ტერორიზმი ‘’ https://theconversation.com/right-wing-extremism-the-new-wave-of-global-terrorism-147975 (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021)

22 . ტერორიზმი https://ekuonline.eku.edu/homeland-security/definition-history-and-types-terrorism (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021)

23. მუჰამედ აბდუ https://www.britannica.com/biography/Muhammad-Abduh (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021)

24 . ჯამალ ად-დინ ალ-ავღანი https://www.britannica.com/biography/Jamal-al-Din-al-Afghani (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021)

25. ვაჰაბიზმი https://www.thefreedictionary.com/Vahhabism (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 18.06.2021)

26. საიდ კუტბი https://www.britannica.com/biography/Sayyid-Qutb (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06. 2021 .

27. ჰამასი https://www.bbc.com/news/world-middle-east-13331522 (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

28. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2015/03/what-isis-really-wants/384980/ (საიტი უკანასკნელად დამოწმებულია 21.06.2021)

დანართები

დანართი [78]



სექტორები	კომიტეტები	ადმინისტრაციული
ოფისი		
მოწოდების , პროპაგა-	ფინანსური	

[78] ქაროსანიძე თ. ,, ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში ,,მუსლიმი ძმების ‘’ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . თბილისი 2009 წ . გვ. 27

ნდის ,ისლამურ სამყარო-

თან დაკავშირების

ფიზიკური მომზადების ფილიალი

ოჯახის

მუშათა და გლეხთა

სტუდენტთა და

პროგრესის

იურიდიული

პოლიტიკის

ფათვას

მომსახურების

რაიონი

დანართი N2

1. ისლამურ პარტიათა ბიურო	2. ეროვნულ პარტიათა ბიურო
3. ქრისტიანულ პარტიათა ბიურო	4. პალესტინასთან ურთიერთობები და ორგნაიზაციები
5. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	6. არაბულ ერთიანობათა ბიურო
7. მედიის კოორდინაციის ბიურო	8. კულტურულ ურთიერთობათა კომიტეტი
9. მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	10. სინდიკატი და კავშირები
10 კერძო სექტორი და თვითდასამება	

დანართი N 3


ნავთობი
ბუნებრივი აირი
გამოძალვა
ფოსფატი
სოფლის მეურნეობა (ხორბალი ,ქერი ,ბამბა)
ტყვეებიდა გამოსასყიდი
შემოწირულობა
ცემენტი
ანტიკვარული ნივთები

შენიშვნა

N1

სწორედ სავაჭრო ცენტრად ყოფნის გამო , მექა მიმზიდველი გახლდათ სხვადასხვა იმპერიებისთვის , რომელთა შორის იყვნენ ბიზანტია და ირანი , პირველს სწორედ არაბეთიდან შემოსული ძვირფასეულობა და ფუფუნების საგნები აინტერესებდა , ხოლო ირანს სურდა სავაჭრო გზის ხელში ჩაგდება , ეს ასეც მოხდა 570 წელს, როდესაც ირანმა დაიბყრო იემენი და ყველა სატრანზიტო სავაჭრო გზა. ამის შემდომ უკვე ირანის გავლით ხორციელდებოდა, ინდოეთიდან და ჩინეთიდან მომავალი ,,აბრეშუმის გზა'', ამ ყოველივემ მექის ეკონომიკური დასუსტება გამოიწვა , რამაც ხალხის უკიდურესი გაღარიბება და პრაქტიკულად შიმშილობა გამოიწვა, სწორედ ამ დროს გახდა აუცილებელი არაბული ტომების გაერთიანება , რათა მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა და ეკონომიკური კეთილდღეობა , ისლამი აღმოჩნდა ის ახალი ძალა , რომელმაც შეძლო თავის დროშის ქვეშ გაეერთიანებინა მთელი არაბული ტომები .

ასევე აღსანიშნავია , რომ ისლამამდელი არაბეთი გამორჩეოდა პოლითეიზმით , ისინი აღიარებდნენ უმაღლეს ღვთაებას , ალლაჰს , მაგრამ მასთან ერთად ჰყავდად შუამავლები კერპების სახით , თითმიქმის ყველა თემს საკუთარი კერპი ჰქონდა , ამ კერპების რიცხვი ქააბას ეზოში დაახლოებით 360 -ს აღწევდა , სწორედ ამიტომ საკმაოდ დიდი იყო ის წინააღმდეგობა რომელიც შეხვდა ისლამს გადასალახ წინაპირობად და ამ გზაზე მიმავალი მუჰამედის და მისი მიმდევრების ყოფა და ცხოვრება ნამდვილად არ ყოფილა მარტივი .

შენიშვნა N2

ალ-ავღანმა რელიგიის შესწავლა საფუძვლიანად 1856-57 წლისთვის დაიწყო , როდესაც ის ამ მიზნით გამეგზავრა ბრიტანეთის კოლონია ინდოეთში , შემდგომი მისი წლები კი უკავშირდება ჯერ წმინდა ადგილის მოლოცვას მექაში , ხოლო შემდეგ კი უკვე მოგზაურობას რელიგიური ცოდნის გასაღრმავებლად . მისი მოგზაურობიდან რელიგიური ცოდნისა და გამოცდილების მიღებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა რაც მოხდა იყო ის , რომ მან გაიცნო მუჰამედ აბდუ , მისი ერთგული მოსწავლე , რომელიც გახდა მისი იდეების მოზაირე და ალ-ავღანთან ერთად ერთ-ერთი პიონერი ისლამური მოდერნიზმისა.

ალ-ავღანის აზრით საჭირო იყო დასავლური განვითარებული ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა არაბულ ქვეყნებში , რადგან სწორედ ის იყო ერთადერთი გზა რომლითაც შეძლებოდა დასავლური ექსპანსიის შეჩერება , ამავდროულად ალ-ავღანის აზრით ისლამი იმდენად იდეალური რელიგია იყო , რომ შეიძლებოდა მისი საჭირო დოზით იმპერიალისტების წინააღმდეგ გამოყენება და შესაბამისად ისლამის დროშის ქვეშ გაძლიერება და გაერთიანება . ალ-ავღანი ასევე მიიჩნევდა , რომ ინდუსებს და დანარჩენ ისლამურ სამყაროს უნდა ეთანამშრომლათ ერთმანეთთან და მხოლოდ ამ ფორმით შეძლებდნენ ბრიტანეთის კოლონიალური რეჟიმის თავიდან მოშორებას .

ალ-ავღანი ღმრად იყო დარწმუნებული იმაში , რომ ისლამი და მისი კანონები სრულიად თავსებადი იყო რაციონალურობასთან და სწორედ ამიტომ მუსლიმებს შეეძლოთ გაერთიანება , თან ამავდროულად რელიგიურ-ზნეობრივი კანონების დარღვევის გარეშე .

შენიშვნა N3

აბდუ ასევე ამტკიცებდა , რომ რელიგიის მთავარი ღირებულება და მოწოდება ეს გახლდათ აზრისა და ნების თავისუფლება რაც გააჩნიათ ადამიანებს და რომელი უფლებაც მათ მიიღეს ღვთისგან , სწორედ ეს იქნებოდა ის ინსტრუმენტი , რომელიც აბდუს აზრით ბედნიერების მომტანი გახდებოდა . აბდუს მტკიცებით სწორედ ამ ნების და აზრის თავისუფლებამ აქცია ევროპელები უფრო განვითარებულებად , რადგან ყველას მიეცა თავისუფლების ეს დიდი დოზა , ხოლო უმრავლესობაში მოქცეულმა პროგრესულმა აზრმა გაზარდა ევროპული ცივილიზაცია და ტექონლოგიურადაც უფრო მაღალ საფეხურზე აღმოჩდნენ ისინი . სწორედ ამ იდეების გამო უწოდეს მას რელიგიის რეფორმატორი ლიდერი და აღორძინების სულისჩამდგმელი . თავის ნაშრომებში აბდუ ღმერთს წარმოადგენდა , როგორც აღმზრდელს ადამიანისას ბავშვობიდან სიყმაწვილემდე და სიყმაწვილიდან ზრდასრულობამდე და მას ღმრად სჯეროდა , რომ ისლამი იყო ის ერთადერთი რელიგია , რომლის ჭეშმარიტების დადგენა საღი მსჯელობით იქნებოდა შესაძლებელი . სწორედ ამიტომ აბდუ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ისლამის დაბრუნებას ადრეულ რელსებზე , ანუ იმ გზაზე რომელიც უკვე გავლილი იყო , ვინაიდან აბდუს აზრით ცივილიზაცია განვითარების ახალ ეტაპზე იდგა და წარსულში დაბრუნება პროგრესის მომტანი ვერ იქნებოდა , სწორედ ამიტომ აბდუ კატეგოიულად ეწინააღმდეგებოდა მრავალცოლიანობას , როგორც დისკრიმინაციის საჯარო გამოხატულებას , აბდუს აზრით სწორედ ამ გზას შეეძლო მიეყვანა კაცობრიობა ისლამის დროშის ქვეშ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დასრულებისკენ .

სწორედ ამ იდეებით შებყრობილმა აბდუმ ისლამის ფუნდამენტალური განმეორებითი ინტერპრეტაცია მოახდინა, რომელიც ძლიერი არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარი უნდა გამხდარიყო , რადგან აბდუს აზრით მხოლოდ ისლამს შეეძლო იმ სოცლიალური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარება , რომლის წინაშეც ახლა იდგნენ .

შენიშვნა N4

ისლამისტების ხედვით , როგორც აღინიშნა ღმერთია ერთადერთი სამართალშექმედი , სწორედ ამიტომ სახელმწიფოს პრაქტიკულად არანაირი ფუნქცია არ გააჩნია მასწავლებლის ფუქციის გარდა , უნდა ასწავლოს უმმას ისლამური წესებით ცხოვრება , შეასწავლოს ყურანი და სუნა , ეს გახლავთ სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია , არანაირი სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა არსებობდეს , არის მხოლოდ უმმა და ისლამი , სხვა ყველაფერი ზედმეტია და ეწინააღმდეგება ისლამისტთა სულისკვეთებას . სწორედ ამიტომ ისლამმა თავის თავი წარმოაჩინა როგორც მესამე გზამ , რომელმაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს კომუნისტურ და კაპიტალისტურ საზოგადოებას , ვინაიდან იგი ,,სრულყოფილი ადამიანის რელიგიაა'' როგორც აღნიშნა რადიკალიზმის ერთ-ერთმა მამამთავარმა საიდ კუტბიმ . სწორედ ამ ყოველივეს შემდეგ ნაციონალისტურის ნაცვლად წინა პლანზე გადმოინაცვლა რელიგიამ , თავისუფლებისთვის მებრძოლი ერები , კოლონიზატორების წინააღმდეგ , უკვე არა ნაციონალისტური ლოზუნგით , არამედ ისლამისტური მოწოდებებით გამოდიოდნენ .

ისლამიზმი თავის თავში მოიცავდა უკვე ახალ მუსლიმური ერთობის იდეას , რომელიც დასავლეთს უპირისპირდებოდა წარსული ნოსტალგიის გამო , რომელიც მდგომარეობდა იმაში , რომ სწორედ ისლამური ცივილიზაციის წყალობით მოხდა დასვლეთის განვითარება , ვინაიდან სწორედ არაბული დაბყრობის შედეგად გახდა დასავლეთის ცნობილი ფილოსოფია და ბერძნული ცივილიზაცია , ასევე მათ სურდათ ემხილებინათ დასავლეთის ე.წ. ,,ორმაგი სტანდარტი '' , რომელიც გამოიხატებოდა სხვებისთვის იმის მოწოდებაში რასაც თავად უგულებელყოფდნენ , მაგ. ადამიანის უფლების დაცვა და სხვა მრავალი სოციალური საკითხი . სწორედ ამ და სხვა მრავალ, მიზეზთა გამო ისლამი იქცა ,,მესამე სამყაროს'' გამაერთიანებელ ფენომენად , რომელიც თავისი არსით უპირისპირდებოდა დასავლურ ცივილიზაციას .

სწორედ მსგავსი ექსტრემისტული მოწოდებების გამო დღევანდელ სამყაროში მოხდა ისლამის გაიგივება ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევასთან , ტერორიზმთან , ეს იდეა და მოსაზრება კი რათქმაუნდა აბსურდულია ვინაიდან ტერორიზმის ამ სახით ჩამოყალიბება და ექსტრემისტული მოწოდებები ჩნდება მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში , ჰასან ალ ბანას მიერ ,,მუსლიმი ძმების'' ასოციაციის დაარსებით.

ტრადიციონალიზმი კი თავისი არსით გახლავთ იმ ისტორიულ-რელიგიური ტრადიციის მიღება , რომელიც არანაირ ინოვაციას არ საჭიროებს.

შენიშვნა N5

ჰასანის პირველი ორგანიზაცია რომლის წევრიც ის 12 წლის ასაკში გახდა გახლდათ ,,მორალური ქცევის საზოგადოება '' , რომელიც მიზნად ისახავდა მცირე ფინანსურ სანქციებს მათთვის ვინც დროულად არ ლოცულობდა , არ უჯერებდა მშობლებს და ა.შ. ძალიან მოკლე დროში კი ის ამ ორგნაზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს .

რაც შეეხება ალ-ბანას დამოკიდებულებას რელიგიისადმი , ის მისტიციზმის წინააღმდეგი სულაც არ იყო რადგან მიიჩნევდა , რომ ამან დიდი გავლენა მოახდინა ისლამის შემდგომ განვითარებაზე , თუმცა რათქმაუნდა გარკვეული დოზით , რადგან მიიჩნევდა , რომ გვიანდელი დანამატები ისლამში სრულიად მიუღებელი იყო ასევე აღსანიშნავია , რომ ალ-ბანა ამ დროს უკვე გახლდათ სუფიური საძმოს ,,ჰასაფიიიას'' მიმდევარი .

ალ-ბანა ასევე გახლდათ ,ჰასაფიიას'' საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრი '' , რომელიც მიზნად ისახავდა ისლამის დაცვას , მისი ნორმების განმტკიცებას ხალხში , და რაც მთავარია ქრისტიანი მისიონერების საქმნიანობის აღკვეთასა და მათ გაძევებას , ალ ბანას მოღვაწეობის საწყისი ეტაპი დაემთხვა 20-იან წლებს ეგვიპტეში , რომელსაც არ ჰქონდა მყარად გამოკვეთილი პოზიცია და ამიტომ სრულ ქაოსში იყო მოცული. ამას დაემატა 1919 წლის რევოლუცია, ასევე თვალნათლივ დაინახა ის შედეგები რაც ბრიტანელთა ოკუპაციამ მოიტანა , სწორედ ამიტომ მან საცხოვრებელი ქალაქი შეიცვალა და გადაბარგდა დამანჰურში , აქ ყოფნის დროს ალ-ბანა უფრო ,,დაუახლოვდა'' სუფისტურ იდეებს და ერთგვარად მისი შთაგონების წყაროც გახდა , სწორედ ამიტომ 1922 წელს ის სუფისტური საძმოს სრუფლასოვანი წევრი გახდა , 1923 წლისთვის კი მან გააგრძელე სწავლა კაიროში სადაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა კლასიკური ისლამური ნაწარმოებებისა და თქმულებების გაცნობამ წინასწარმეტყველ მუჰამედის შესახებ . როგორც აღინიშნა ამ პერიოდში ეგვიპტეს არ ჰქონდა განვითარების გამოკვეთილი პოზიცია , ის განიცდიდა დასავლეთის გავლენას , ასევე

1923 წელს ქემალისტური პარტიის რევოლუცია ეგვიტის განვითარების შემდგომი ორინტირი გახდა , ეგვიპტეს სურდა გზა სეკულარიზმისკენ , რასაც ალ-ბანა და მისი მომხრეები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ , სწორედ ამიტომ მათ დაარსეს ორგანიზაცია , რომელიც ეხმარებოდა მეჩეთს და ამავდროულად ახორციელებდა ხალხში პროპაგანდისტულ საქმიანობას , მათ უნდა გაევრცელებინათ მოსახლეობაში ისლამის სიკეთეების შესახებ იდეები , ეს ორგანიზაცია კი ერთგვარად იქცა მუსლიმი ძმების ერთგვარ ჩანასახად .

1927 წელს ალ-ბანამ დატოვა კაირო და გაემგზავრა ისმაილიაში , რომელიც გახლდათ ბრიტანეთის მიერ ოკუპირებული სუეცის არხის დედაქალაქი , ალ-ბანა მალევე მიხვდა , რომ მეჩეთში შეიხების გარდა არავინ დადიოდა და შეშფოთებულმა იმ საშინელი კონტრასტით , რომელიც გამოიხატებოდა კოლონიზატორთა მდიდრულ სახლბსა და ეგვიპტელთა საშინელი ცხოვრების გამო , მან ლექციების კითხვა დაიწყო ყავახანებში , სადაც სამსახურის შემდეგომ იკრიბებოდნენ ეგვიპტელი მუშები , დაახლოებით 15 წუთიან ლექციებს ატარებდა თითოეულ საღმოს ხოლო დაინტერესებულ პირებს კი ცალკე ჯგუფში აერთიანებდა სადაც უკვე ეწეოდა და'ვა-ს ანუ მოქცევას . მეჩეთიდან განდგომის გამო შეიხები გაერთიანდნენ და მას გამოუტანეს მეჩეთიდან მოკვეთის განაჩენი , ამ ყველაფერს კი ალ-ბანა და მისი მიმდევრები გაერიდნენ .

შენიშვნა N6

რაც შეეხება უმაღლეს მოძღვარს მას ირჩევდნენ იმ შემთხვევაში თუ მას ექნებოდა საკონსულტაციო საბჭოში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება და იქნებოდა 30 წელს გადაცილებული , რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ,,საკონსულტაციო საბჭო , მისი წევრების არანაკლებ 4/5 , ხმათა 3/4 - ით. საკონსულტაციო საბჭო გახლდათ ერთგვარად პარლამენტის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო , რომელიც იბარებდა ბიუჯეტს , წლიურ ანგარიშნს , სამოქმედო გეგმებს და ა.შ. მისი წევრი უნდა ყოფილიყო 30 წელს გადაცილებული და წევრთა რაოდენობა გახლდათ 100 დან 150 -მდე , რომლის თავმჯდომარეც გალხდათ უმაღლესი მოძღვარი.

რაც შეეხება საერთო სახელმღვანელო საბჭოს , წევრთა რაოდენობა გახლდათ 12 , რომლებსაც შეეძლოთ ნებისმიერი სახის კომიტეტის შექმნა და მისი ძირითადი ფუნქცია გახლდათ ამ ორგანიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა შვიდთა კომიტეტი აირჩეოდა ასამბლეის მიერ და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა კონტროლი , წევრთა ქცევის მაკონტროლებლად და შესაბამისი სასჯელის განსასაზღვრელად.რაც შეეხება გენერალურ მდივანს - მისი ძირითადი ფუნქცია გახლდათ პროტოკოლის გასაზღვრა . ის ერთგვარი დამაკავშირებელი ღერძი იყო საბჭოსა და საზოგადოების სექციებს შორის .ხაზინადარის საქმიანობა შემოიფარგლებოდა ორგანიზაციის ფინანსების გასაზღვრით .

რაც შეეხება დანარჩენ სექტორებსა თუ კომიტეტებს , ევალებოდათ კონკრეტული მიმართულებით ისლამის პროპაგანდა და მისი შეტანა ყველა სფეროში , სკოლაში უნივერსიტეტში , მუშათა კლასში თუ ყველა ასპარეზზე ადამიანის საქმიანობისა.

ორგანიზაციის წევრობის მსურველს ევალებოდა ერთადერთი მთავარი ფუნქციის შესრულება , ერთგვარი ფიცის დადება , რომ შეასრულებდა მისი ზემდგომი ორგანოდან მიღებულ ნებისმიერ მითითებას.მიღებულს .

ერთ-ერთი მთავარი რაც ალ-ბანამ შექმნა ეს გახლდათ ე.წ. ჯავვალები , გაერთიანებული რაზმები , რომლებიც მხოლოდ უმაღლეს შატბ-ბინას ემორჩილებოდნენ , მათი ფუნქცია კი მრავალმხრივი იყო , როგორც პანდემიასთან ბრძოლა ასევე პროპაგანდა და მოწინააღმდეგეების ,,მორჯულება'' , ეს რაზმები კი თანდათან ამ ორგანიზაციის ძირითად ღერძად იქცა .

რაც შეეხება ორგანიზაციაში ქალების საკითხს , 5000 არ აჭარბებდა არსდროს მათი რაოდენობა და ძირითადად იყვნენ წერა-კითხვის უცნოდინრები, ვინაიდან ,,განათლებულნი'' უარს აცხადებდნენ ორგანიზაციის წევრობაზე ექსტრემისტული ორიენტაციის გამო , 1933 წელს შეიქმნა გაერთიანება ,, მუსლიმი დები '' შემდგომ კი შესაბამისი კომიტეტებიც შეიქმნა , თუმცა ამ კომიტეტების ფუნქციონირების დადებითი მაჩვენებელი ორგანიზაციისთვის ძირითადად მიზერული იყო , ასევე შეიქმნა ,,საიდუმლო აპარატი'' , რომელის დანიშნულებაც გახლდათ ეგვიპტელების ამხედრება ბრიტანელების წინააღმდეგ და ერთგვარი რევოლუციური სცენარის

მომზადება 1933 წლიდან ვიდრე მეორე მსოფკლიო ომამდე ,,მუსლიმმა ძმებმა'' ხუთი კონფერენცია ჩაატარეს , ეს ყოველივე კი მას შემდეგ მოხდა რაც ალ-ბანა კაიროში გადავიდა , სერიოზულად მოეკიდა ორგანიზაციის საქმიანობას და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალა გახდა ხელისუფლებისთვის .

შენიშვნა N7

ეგვიპტეში ძალაუფლებისთვის რამდენიმე ძალა იბრძოდა , და ერთ-ერთი საწყის ეტაპზე ,,ძმებთან'' დაახლოვებულნი ე.წ. ,,თავისუფალი ოფიცრები'' იყვნენ , რომლებშიც ეგვიპტის რევოლუციის შემდგომი ეტაპის მაღალჩინოსნები იყვნენ გაერთიანებულნი , ან-ნასირისა და ანვარ ას-სადათის სახით , სწორედ მათთან თანამშრომლობა არჩიეს გერმანელებმაც ვინაიდან ნათლად ხედავდნენ , რომ მეფის ხელისუფლება საკმაოდ დასუსტებული და პრაქტიკულად უუნარო გახდა. თუმცა ალ-ბანა ცდილობდა პოლიტიკურ ლავირებას ამ შემთხვევაში მეფის სასარგებლოდ , ვინაიდან მიიჩნევდა , რომ ჯერ ის მცირე პარტიები უნდა ჩამოეცილებინა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ველიდან ხოლო შემდეგ ისედაც უუნაროდ დარჩენილ მეფესთან პირისპირ დარჩენილ საკმაოდ პოპულარულ და ძლიერ ორგანიზაციას არ გაუჭირდებოდა ხელისუფლების უზურპაცია , ალ-ბანა თვლიდა , რომ ხელისუფლება არა თუ მრავალპარტიული , არამედ მხოლოდ ერთპარტიული უნდა ყოფილიყო , რომელიც უნდა ემართათ მუსლიმური წესით , მან ფარუკი დაარწმუნა ხალიფატის შექმნის აუცილებლობაში , ხოლო თვითონ კი ხალიფას ადგილი შესთავაზა , მეფეს კი , რომელსაც სურდა არსებული ძალაუფლების შენარჩუნება ჩაებღაუჭა ამ იმედს და ,,მუსლიმი ძმების'' პოზიციის დაცვას შეუდგა , ამ პოზიციებისთვის და ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ეს ორგანიზაცია აქტიურად იმიტომ იმარჯვებდა , რომ მას მყარი და განსაზღვრული პოზიცია არ გააჩნდა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებს იკავებდა იმის მიხედვით თუ რომელ მხარეს გადაიხრებოდა ძალაუფლების ვექტორი , სწორედ ამიტომ ბრძოლის ამ ეტაპზე ალ-ბანა მეფის დაცვას და მისი პოზიციების გამყარებას შეუდგა .

ბრიტანეთს აშფოთებდა მეფის კარის და ალ-ბანას ეს მჭიდრო ურთიერთობა და სწორედ ამიტომ 1942 წელს , მეფეს მოსთხოვა ახალი მთავრობის დამტკიცება რომელის მეთაურიც ან-ნაჰასი უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ კი მისი მთავრობა მეფის კარმა 1944 წელს დაითხოვა , შემდგომად ამისა ალ-ბანა ზემო ეგვიპტეში გადაასახლეს თუმცა იქ მან გაიჩინა ბევრი მომხრეები და სწორედ ამიტომ იძლებულნი გახდნენ ისევ კაიროში დაებრუნებინათ , ომის სცენარის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა პოზიციაც ,,ძმებისა'' რომლებიც გერმანელ გენერალ ერვინ რომელზე[79] ამყარებდნენ იმედებს , რომელსაც განზრახული ჰქონდა ეგვიპტის დაბყრობა , საყრის ეტაპზე მან წარმატებასაც კი მიაღწია , თუმცა შემდგომ, გერმანიამ ორ ფრონტზე ბრძოლის გამო ვეღარ შეძლო ახლო აღმოსავლეთის ფრთის გაძლიერება და რომელის არმიამ მარცხი განიცადა , შემდგომად ამისა სიტუაციაც შეიცვალა ეგვიპტეში , სადაც ემზადებოდნენ არმიის შემოსვლსლის კვალდაკვალ ანტიბრიტანული აჯანყებისთვის და ერთგვარი პირობაც კი ჰქონდათ დადებული , რომ ეგვიპტის ტერიტორიიდან არცერთი ბრიტანელი ჯარისკაცი არ გაეშვათ ცოცხალი , თუმცა სცენარის ამ ცვლილების გამო ალ-ბანამ შეცვალა თავისი გეგმა და უკვე ბრიტანეთთან და მეფის კართან დაახლოებას შეეცადა . ამ ყველაფერს კი მოყვჰა დაპატიმრებების სერია ას სადათისა და მისი თანამოეზარეების წინააღმდეგ , ,,მუსლიმი ძმების'' ორგანიზაცია კი დაიხურა და ან-ნაჰასიმ 1943 წელს ახალი არჩევნები დანიშნა , სადაც ალ-ბანამ მოითხოვა თავის ოლქში ისმაილიაში კენჭის ყრა , თუმცა მას ამის უფლება არ მისცეს , მთავრობასაც მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა , რომელიც მდგომარეობდა რამდენიმე საროსკიპოს დახურვასა და ალკოჰოლით ვაჭრობის შეზღუდვაში , ასევე მუსლიმი ძმებს მიეცათ ლეგალურად არსებობის უფლება და საკუთარი საქმიანობის გაგრძელების ნება , თუმცა ეს დამოკიდებულება მალევე შეიცვალა რადგან მუსლიმი ძმები საკმაოდ გაძლიერდნენ ეს პროცესი კი საკმაოდ აშფოთებდა ხელიფუსლებას , რიტორიკა და დამოკიდებულება ,,ძმების'' მხრიდანაც შეიცვალა და მეფის კარს უკვე საჯაროდ აკრიტიკებდნენ და ბრალს სდებდნენ არჩევნების გაყალბებაში 1945 წელს . მთავრობა იძულებული გახდა პოლიცია გამოეყენებინათ მუსლიმი ძებისა და მათი ამბოხების მცდელობის ჩასახშობად , ასევე მუკატამის მთაზე ნაპოვნი იქნა საიდუმლო იარაღის საცავი და აღმოჩენილ იქნენ მებრძოლები რომლებიც წვრთნას გადიოდნენ

[79] ერვინ რომელი - გენერალ-ფელდმარშალი , გერმანიის არმიის მთავარსარდალი ჩრ. აფრიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს.

პალესტინის ომში მონაწილეობის მისაღებად , სწორედ ეს მიზეზი გამოიყენა ხელისუფლებამ ,,ძმებთან''' აქტიური ბრძოლის დასაწყებად . ამ პროცესს კი ტეორრიზმის დიდი ტალღა მოჰყვა . იგივე მოსამართლე ჰაზნადარის წინააღმდეგ , რომელმაც ორგანიზაციის რამდენიმე წევრს ბრალი დასდო ტერორიზმში და საკმაოდ მკაცრი სასჯელი გამოუტანა , ბრძოლები , დაპირისპირბები და შევიწროვებები გრძელდებოდა პოლიტიკოსებისა თუ მოსამართლეების და პოლიციელების მისამართით , მთავრობამ მოსთხოვა ალ-ბანას შესაბამისი ღონისძიების გატარება ამ ყოველივეს აღსაკვეთად , ის კი იძულებული გახდა დაეგო მსგავსი ქმედებები რამაც უკვე შიდა დაპირისპირება გამოწვივა ორგანიზაციაში .

შენიშვნა N 8

ჰასალ ალ-ბანას სურდა , რომ ძალაუფლების ვექტორი მიემართა სამხედროებისკენ , ეგვიპტის არმიაში ის ეძებდა მყარ დასაყრდენს , რადგან მას ხელისუფლების სათავეში სურდა მოხვედრა ამისთვის კი აუცილებელი იყო არმიასთან კეთილგანწყობლური ურთიერთობა , სწორედ ამ მიზნით ის უკავშირდებოდა უკვე გადამდგარ ოფიცრებს ეგვიპტის არმიისა და ცდილობდა მათი გზით დაკავშირებოდა მოქმედ ოფიცრებს და მებრძოლებს რათა დაეწყო გეგმის სისრულეში მოყვანა . მას შემდეგ რაც 1950 წელს ვაფდის პარტიამ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში მაშინ პრაქტიკულად ლეგალური გახდა მუსლიმი ძმების ორგანიზაცია და მეტიც დაუბრუნდა ჩამორთმეული ქონება , 1951 წელს მიიღეს ე.წ. საზოგადოებების კანონი '' , რომელიც არეგულირებდა ნებისმიერი სახის ორგანიზაციას მათ შორის რელიგიურსაც კი , რომლის წევრთა რაოდენობა აღემატებოდა 20-ს , ეს კანონი კონტროლის მექანიზმად მიიჩნიეს ,,მუსლიმი ძმებისა '' რასაც მოჰყვა მშვიდობიანი პროტესტი მათი მხირდან , მსგავსი ლოზუნგებით : ,, მხოლოდ ისლამია ჭეშმარიტი და ის არეგულირებს საზოგადოების ცხოვრების ყველა

სფეროს ‘’ , პროტესტის ეს ნოტა არჩეულმა 4-მა დეპუტატმა წარუდგინა კიდეც პარლამენტს , თუმცა უშედეგოდ[80].

ალ-ბანას სიკვდილის შემდეგ უმაღლესი მოძღვრის ადგილისთვის ორგანიზაციაში რამდენიმე წევრი იბრძოდა , საბოლოოდ კი მათ შეთხნამებას მიაღწიეს და მოძღვრად დაინიშნა ინგლისის მიერ მოწონებული კანდიდატი , ჰასან ისმაილ ალ-ჰუდაიბი . რევულუციისთვის მზადების პროცესში ორი მთავარი ძალა გამოიკვეთა , ესენი გახლდათ „მუსლიმი ძმები ‘’ და „თავისუფალი ოფიცრები ; საწყის ეტაპზე „ძმებს’’ კომუნისტებთან კავშირში სდებდა ბრალს მეფის რევოლუციამდელი ხელისუფლება , ამას კი ამტკიცებდნენ იმ კომუნისტური ლიტერატურით რომელიც იქნა ნაპოვნი მათ ოფისებში , თუმცა რათქმაუნდა ეს უტყუარ მტკიცებულებად არ გამოდგება , ამის შემდეგ დგება ე.წ. „შავი შაბათი ‘’ , როდესაც 200 ამდე ჯარისკაცის პროტესტის მიმდინარეობის დროს ცეცხლი „გაჩნდა’’ კაიროში და მისი დიდი ნაწილი განადგურდა პარალელურად კი ფარუკი სასახლეში მართავდა წვეულებას სადაც 600 ამდე ოფიცერი იყო ჩართული, ეს კი განპირობებული იყო იმ მიზნით , რომ ოფიცრები არ შეერთებოდნენ პროტესტს , მეფის ხელუფლება ყველაფერს აკეთებდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად , თუმცა პროტესტის ამ ტალღას ვეღარ გაუძლო , მას სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანეს , თუმცა აშშ-ის ელჩის ჯეფერსონ კეფერის ჩარევის შედეგად ის გადაურჩა ამ განაჩენს თუმცა ეგვიპტიდან სამუდამოდ იქნა განდევნილი , რევოლუცია საბოლოოდ 1952 წლის 26 ივლისს მოხდა, და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ „თავისუფალი ოფიცრები’’ , ან-ნასირის ხელმძღვანელობით , ამის შემდგომ კი დღის წესრიგში დადგა საკითხი „ძმობისა’’ და რევოლუციურ საბჭოს შორის ურთიერთობისა , საბოლოოდ კი მათ მხარი დაუჭირეს რევსაბჭოს , თუმცა ალ-ჰუდაიბი შეეცადა , რომ ძალაუფლება გაეძლიერებინა და ზეწოლა მოეხდინა საბჭოზე , სწორედ ამ მიზნით გაუგზავნა მოთხოვნა , რათა ქვეყანა ემართათ ყურანის მიხედვით ხოლო პარლამენტში მიღებული ყოველი გადაწყვეტილება დამოწმებული ყოფილიყო მუსლიმი ძმების მხრიდანაც , რაზეც მიიღეს კატეგორიული უარი, ასოციაციის წევრები ასევე ითხოვდნენ დაეპატიმრებინათ და მკაცრი სასჯელი დაეკისრებინათ იბრაჰიმ აბდ ალ-ჰადისთვის, რომელსაც ბრალს სდებდნენ ალ-ბანას მკვლელობაში , საპირისპიროდ კი ის

[80] BRYNJAR LIA - „The Society of the MUSLYM BRATHERS in Egypt . January 1998 . გვ. 14-21

ადანაშაულებდა ,,ძმებს'' მისი წინამორბედის ან-ნუკრაშის მკველობაში . პირველი უთანხმოება რევსაბჭოსა და ,,ძმებს '' შორის მას შემდეგ დაიწყო რაც 1952 წელს რევოლუციურმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი ყველა პოლიტიკური პარტიის შესახებ , რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული , რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა წარმოადგინა საკუთარი პროგრამა საზოგადოებისთვის , მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო მათი ფინანსები და ანგარიშები გაეხსნათ საზოგადოებისთვის ცნობილ ბანკებში , ასევე ეკრძალებოდათ მხარდაჭერა სამხედრო შეიარაღებებისთვის . თუმცა იმავე წლის 7 ნოემბერს ,,ძმებმა '' ოფიციალური წერილი გაუგზავნეს როვოლუციურ მთავრობას , რომელშიც აღნიშნავდნენ , რომ ეს შეზღუდვა მათზე არ უნდა განხორციელებულიყო , რადგან ისინი არ იყვნენ პოლიტიკური პარტია , არამედ მათი ფუნქცია შემოიფრაგლებოდა მხოლოდ რელიგიითა და განათლებით , სწორედ ამ ხრიკმა დაიხსნა ასოციაცია მკაცრი რეგულიაციისგან , ამის შემდეგ კი მათ მთელი თავიანთი ძალა და რესურსი მიმართეს გაფართოებისკენ და მეტი პოპულარობის მოსაპოვებლად , მხოლოდ კაიროში მათ 70 ფილიალი ჰქონდათ გახსნილი , მხოლოდ მუსლიმმა ძმებმა არ იწვნიეს საკუთარ თავზე ის რეპრესიები რაც შეეხოთ რევოლუციური მთავრობის მხრიდან სხვა პოლიტიკურ პარტიებს , მთვრობამ მათი ფუნქციონირებაც კი აკრძალა , სწორედ ამ ფაქტორმა საკმაოდ მოაძლიერა მუსლიმი ძმები და მათი მხარდამჭერები , რომელიც მასობრივ საპოტესტო აქციებში გადაიზარდა სხვადასხვა ეტაპებზე , რომელის თითქმის ყველა შემთხვევაში მსხვერპლით სრულდებოდა . საბჭოს ღიად უპირისპირდებოდნენ უკვე ასოციაციის წარმომადგენლები , რომლის შედეგადაც 1953 წელს სადაზვერვო სამსახურმა ,,აღმოაჩინა'' , რომ ,,ძმები'' კურირებდნენ სამ მიმართულებას : არმიის ოფიცრებს , პოლიციას და არმიის გადამდგარ ოფიცრებს , თუმცა საბოლოოდ ის ვერ გათვალეს , რომ ბევრი გადამდგარი ოფიცერი ახლო ურთიერთობაში იყვნენ ხელისუფლებასთან და მათ აგენტურასაც კი წარმოადგენდნენ , შესაბამისად განხილული ყველა რევოლუციური სცენარი ცნობილი ხდებოდა ხელისუფლებისთვისაც, ამის შემდგომ 1954 წელს აღმოაჩინეს იარაღის საწყობი რომელიც ,,მუსლიმ ძმებს'' ეკუთვნოდათ ამ ფაქტს მოჰყვა ისევ პროტესტის დიდი ტალღა ასცოციაციის წევრების მხირდან რომლის საპასუხოდ სამთავრობო ძალები მიმართავდნენ მასობრივ რეპრესიებს .

1954 წელს , საუდის აბარეთის მეფის იბნ საუდის ,,მეგორბული'' ვიზიტის შემდეგ, რევოლუციურმა საბჭომ უარი განაცხადა მმართველობაზე , როგორც კი დანიშნული იქნებოდა დამფუძნებელი კრება , ამ გადაწყვეტილებით კი ავტომატურად გაუქმდა კანონი პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ , რომელიც 1953 წელს იქნა მიღებული .ამავე წლის 29 მარტს კი რევოლუციურ საბჭოსთან შეხვედრის შემდეგ მინისტრთა საბჭომ კვლავ აღადგინა კანონი პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ , ამ კანონს ,,მუსლიმმა ძმებმა ''ისევ გვერდი აუარეს ვინაიდან დადეს პირობა პოლიტიკური ქმედებებისგან თავის შეკავების შესახებ , თუმცა მალევე მათივე ორგანიზებით დაიწყო სტუდენტური დემონსტრაციები მგრამ მალევე დაიხიეს უკან ვინაიდან ამ გამოსვლებს სამთავრობო ძალები სასტიკად ახშობდნენ .

ან-ნასირი სიტყვით გამოსვლის დროს აღნიშნავდა , რომ მუსლიმი ძმების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ხელისუყფლების სათავეში მოსვლა და ყოველგვარი რელიგიური სარჩული იყო ტყუილი , რელიგიას ისინი იყენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ხელფუსლების უზურპაციისთვის და მათთვის ის არაფერს ნიშნავდა გარდა იარაღისა , რომლითაც უნდა მოსულიყვნენ ხელისუფლებაში .

საბოლოოდ ,,მუსლიმ ძმებს'' არ დარჩათ სხვა იარაღი საბრძოლველად გარდა ტერორიზმისა , ასოციაციაში იგეგმებოდა ტერორისტული თავდასხმები რომლებიც უნდა განხორციუელებულიყო სამთავრობო ძალების წინააღმდეგ , წარმოქმნილი არეულობით კი უნდა ესარგებლათ და მოსულიყვნენ ხელისუფლებაში , სწორედ ამ მიზნით ან-ნასირს, სიტყვით გამოსვლის დროს ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა რვაჯერ ესროლა თუმცა მხოლოდ ის მოახერხა , რომ ნასირის გვერდით მდგომი სუდანელი სტუმარი დაეჭრა , ის სწრაფადვე დაპატიმრეს , დაკითხვაზე კი აღიარა რომ სპეციალურად ემზადებოდა ამ დღისთვის , მას ორი თვე ავარჯიშებდნენ სროლაში , რომ სისრულეში მოეყვანა დასახული მიზანი.

ეს ფაქტი კი ხელიდან არ გაუშვა ან-ნასირის რეჟიმმა , რომელიც გამოირჩეოდა ძალადობრივი რეპრესიებით და შედეგად ამისა ,,მუსლიმი ძმები'' გამოაცხადა კანონგარეშედ , ხალხში მალევე გავრცელდა ინფორმაცია ,,ძმების ''მხრიდან დაგეგმილი ამ ქმედების შესახებ , რასაც მოყვა დიდი პროტრესტი კაიროში, ასოციაციის ოფისში შეჭრა და მისი განადგურება, ამ ფაქტის შემდეგ კი ასოციაციის

წევრთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს მათ შორის ისინიც რომლებიც მაღალ იერარქიული თანამდებობაზე იყვნენ : იუსუფ ტალათი -საიდუმლო ორგანზიაციის ხელმძღვანელი , შაიხ მოჰამად ფარღალი - საიდუმლო ორგანიზაციის მრჩეველი და სხვა . მათ შორის უმაღლეს მოძღვარსაც ჰქონდა სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი თუმცა ალ-ჰუდაიბის ეს განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს , 1954 წლის 5 დეკემბერს კი ოფიციალურად აკრძალეს ,,მუსლიმი ძმების'' ნებისმიერი სახით ფუნქციონირება .

შენიშვნა N9

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგეგმებოდა მისი სასწავლებლად წასვლა თუმცა ამ ყოველივეს 1919 წლის რევოლუციამ შეუაშალა ხელი და მისი განხორციელება უკვე 1921 წელს შეძლო . შემდგომ მოდის ოჯახის სიღარიბე , რომელმაც მამა აიძულა გაეყიდა ნაკვეთები და კუტბი საცხოვრებლად გადავიდა ბიძასთან , სადაც მან ოთხი წელი იცხოვრა. ბიძა კი ვაფდის პარტიის მხადრამჭერი გახლდათ . მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ჰელმანდის პროვინციაში . აღსანიშნავია კუტბის და ალ - ბანას პირველი გადაკვეთა , რომელიც უკავშირდება დარ ალ-ულუმის მოსამზადებელ კლასებს , რომელსაც ესწრებოდა კუტბი 1928-29 წლებში , ალ-ბანა კი ამავე სასწავლებელში 1923-26 წლებში სწავლობდა . 1933 წელს კუტბიმ მიიღო ბაკალავრის ხარისხი , არაბული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. ის ასევე დაინტერესებული იყო ინგლისური ლიტერატურით , რომელსაც სტუდენტობის ჟამს აქტიურად ეცნობოდა . კუტბიზე დიდი გავლენა მოახდინა ალ მავდუდიმ[81], და ალ-აკკადმა[82] ინტერესეის სფეროს წარმოადგენდა კუტბიმა ამავე პერიოდში დაიწყო აქტიური მოწოდებები იმასთან დაკავშირებით , რომ დაბრუნებოდნენ ეგვიპტელები

[81] საიდ აბუ ალ-ალა ალ მავდუდი - ჟურნალისტი და ღვთისმეტყველი , რომელმაც საკამოდ დიდი როლი შეასრულა პაკისტანის პოლიტიკაზე , ისლამის დიდი მქადაგებელი და კომენტატორი გახლდათ მეოცე საუკნეში .

[82] მაჰმუდ აბბას ალ აკკადი - იყო კუტბის მასწავლებელი , დიდი გავლენა მოახდინა მისმა შეხედულებებმა კუტბის შემდგომ განვითარებაზე , ის გახლდათ ეგვიპტელი მოაზროვნე , რომლის ნაშრომებმა ეგვიპტეში დღის სინათლე 1951 წლის შემდეგ იხილა .

საკუთარ კულტურას და ტრადიციებს , ყოველგვარი კოლონიური კავშირები და მოწოდებები დაევიწყებინათ და დაებრუნებინათ საკუთარი თავი.

კუტბი ასევე წერდა სასიყვარულო რომანებს და ლექსებსაც კი , თუმცა მას მეფე ფარუკის აქტიური კრიტიკის გამო მოუხდა სასწავლად წასვლა აშშ-ში , სადაც ვარაუდობდნენ , რომ კუტბი გაოცდებოდა დასავლური ღირებულებებით და რადიკალიზმს მაქსიმალურად ჩამოშორდებოდა . აშშ-ი ის სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში სადაც მაგისტრის ხარისხიც მიიღო შემდეგ კი სწავლა სტენფორდის უნივცერსიტეტში განაგრძო , მიუხედავად იმისა , რომ მას დოქტორანტურაც შეეძლო ესწავლა , თან უფასოდ ამას არჩია რომ 1951 წელს შეეწყვიტა სწვალა და დაბრუნებოდა საკუთარ სამშბლოს. მან 1949 წელს დაწერა ნაშრომი სახელწოდებით ,, სოციალური სამართლიანობა ისლამში '' , რომელშიც მას ჰქონდა გამოხატული იდეები ისლამის უპირატსობასთან დაკავშირებით სხვა რელიგიებთან და კანონებთან მიმართებაში . კუტბი გაკვირვებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით , თუ როგორ შეეძლო ამხელა ტექნიკური პროგრესისთვის მიეღწია ისეთ ქვეყანას , რომელსაც ყოველგვარი სულიერი ბერკეტები გამოცლილი ჰქონდა[83], ამ ყოველივეს დაემატა ტრუმენის რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით რომ 1946 წლიდან განხორციელებულიყო ებრაელების მიგრაცია ისტორიული ქანაანის მიწაზე . კუტბი უარყოფდა ყოველგვარ დასავლურ ცივილიზაციას და მის მოქმედებას ეგვიპტეში , ვინაიდან მისი აზრით დასავლეთმა მხოლოდ და მოხლოდ მოიტანა ჩაგვრა , ომები და კოლინიალიზმი ეგვიპტისთვის , ის მიიჩნევდა , რომ სეკულარიზმმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეგვიპტისთვის , ვინაიდან ეგვიპტელებმა დაკარგეს იდენტობა , ტრადიციები და საკუთარ ქვეყანაში პრაქტიკულად უუფლებო მონებად გადაიქცნენ.

შენიშვნა N10

კუტბის აზრით , ცხოვრების ყველა სფერო , უნდა ყოფილიყო აბსოლიტურ თანხვედრაში რელიგიასთან , არ არსებობს მიმართულება , რომელსაც კუტბის აზრით არ აწესრიგებდა ისლამი , სწორედ ამიტომ , ის რაც დროსთან მიმართებაში იყო

[83] HAMZEH, Nizar: "Lebanon's Islamist and local politics: a new reality", Third World Quarterly,Vol. 21 no. 5, 2000. P. 7-17

უცვლელი და რასაც შეეძლოე გააერთიანებინა მუსლიმური უმმა , და მოეწესრიგებინა მათი ცხოვრება , ჩაგვრისა და ექპლუატაციის გარეშე , სწორედ მას უნდა დაყრდნობოდნენ და ისლამი უნდა გამხდარიყო ის ძირითადი გამაერთიანებული ფუნდამენტი , როემლზეც უნდა დაშენებულიყო სამართლიანი ,ღვთისგან მომდინარე სამყარო . კუტბის ეს იდეა გახდა ინსპირაციის წყარო მრავალი რადიკალური ორგნაიზაციისა , ვინაიდან მისი იდეები გამოირჩეოდა სხვა მქადაგებლების იდეებისგან , რადგან არ უარყოფდა , ამ ყოველივეს განსახორციელებლად ნებისმიერი ძალის გამოყენების აუცილებლობას . ის თავს ესხმოდა პრაქტიკულად ყველას და ყველაფერს რაც თანხვედრაში არ მოდიოდა ისლამის იდეებთან. კუტბის იდეები რადიკალური ელფერისა განსაკუთრებით ციხეში ყოფნის დროს გახდა , ის მიიჩნევდა , რომ ისლამი იყო ის ერთადერთი ძალა რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა და თავისი დროშის ქვეშ გააერთიანებინა ყველა და ყველაფერი , მას უნდა მოეწესრიგებინა ცხოვრების ყველა სფერო . კუტბის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი გახლავთ ,,მიჯნები გზაზე '' , რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს , რომ ყველაფერი რაც კი დედამიწაზე არსებობს არის ღვთის საკუთრება . ის რამდენჯერმე დაპატიმრებულიც კი იყო , ხოლო მისი საბოლოო განაჩენის აღსრულება მოხდა 1966 წლის 29 აგვისტოს , ის ჩამოახრჩვეს , რადგან მას ბრალად ედებოდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა , და პრეზიდენტ ან ნასირისა და მაღალჩინოსნების ლიკვიდაციის მცდელობა . რადგან კუტბი უკვე გადავიდა რადიკალურ მოწოდებებზე და იატაკქვეშეთში ამზადებდა ოპერაციებს რომლის შედეგიც უნდა ყოფილიყო ნასირის ფიზიკური განადგურება , ამ ინფორმაციის ,,გაჟონვას'' მოჰყვა სწორედ ის დაპატიმრებების კასკადი რაც თავის თავზე იწვნიეს ,,მუსლიმმა ძმებმა '' , და რასაც მოჰყვა საბოლოოდ კუტბის მოკვდინებაც . კუტბის სიკვდილს მოჰყვა მისი შაჰიდადს შერაცხვა , რამაც მისი ნაშრომები უფრო და უფრო პოპულარული გახადა , ხელისუფლებამ კი ვერ შეაჩერა მათი გავრცელება , ის პრაქტიკულად ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა ხალხს . მისი იდეების მოზიარე გახდა თვით აიათოლა ხომეინიც[84]კი , რომელმაც კუტბის იდეების სპარსულადაც კი თარგმნა და მან ირანის ისლამურ რევოლუციაზეც კი მოახდინა დიდი გავლენა . კუტბის სწამდა , რომ კომუნიზმი იყო ძალაგამოცლილი , მიმართული მხოლოდ ფიზიკურ საზრდოზე და ყოველგვარი სულიერებისგან

[84] აიათოლა რუჰოლა ხომეინი - 1902-1989 , ირანის რესპიბლიკის შემქმნელი და რეოლუციის ბელადი .

დაცლილი , კაპიტალიზმი კი სოციალური უთანასწორობის მთავარი შემოქმედი , ხოლო ისლამური იდეოლოგია კი სრულყოფილი გახლდათ , რომელსაც შესწავდა ძალა შებრძოლებოდა და აქტიური წინააღმდეგობა გაეწია ზემოთ აღნიშნული ორი მოწინააღმდეგე იდეოლოგიისთვის . კუტკბი ამტკიცებდა , რომ სამართლის ძირითადი წყარო მხოლოდ და მხოლოდ შარიათი უნდა ყოფილიყო , რომელიც უცვლელი იყო დროსთან მიმართებაში და არა ფიკჰი[85], რომელიც ადამიანის მიერ იცვლებოდა დროსთან მიმართებაში . კუტბის აზრით კანონი არ უნდა იცვლებოდეს , რადგან ის საკმაოდ დიდ პრობლემას შექმნის რადგან მოხდენს შარიათის ინტერპრეტირებას . კუტბის აზრით შარიათი ზუსტად სიტყვა-სიტყვით , ბუკვალურად უნდა იქნეს აღქმული , ზუსტად ისე , როგორც ამას მათი წინაპრები იღებდნენ . კუტბი ამ იდეით იმდენად იყო შებრყობილი , რომ მას სჯეროდა არა მხოლოდ მისი აბსოლიტური ჭეშმარიტება , არამედ ისიც , რომ ეს იდეები ხალხის მიერ იქნებოდა ატაცებული და რელობაში განხორციელებული .

შენიშვნაN11

საწყის ეტაპზე ჰამასს გააჩნდა სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი განყოფილება : პოლიტიკური , სამეხედრო და სადაზვერვო ფრთები . შემდგო კი მოხდა ორგანიზაციის სტრუქტურის გაფართოებაც :

ადმინისტრაციული ფრთა → რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას განაგებდა

საქველმოქმედო → რომლის ძირითადი ფუნქცია გახლდათ თანამშრომლობა პარტიორებთან (ისლამურ ცენტრებთან) ,

საინფორმაციო და პოლიტიკური ფრთა →კი პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა ინფორმაციების გავრცელებასა თუ კვლევაზე .

ხოლო ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის განმსაზღვრელი განყოფილებები გახლდათ :

სამხედრო ფრთა → მათ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ბრძოლა ისრაელთან , მის ოკუპაციასთან , ხოლო იზზ ად დინ ალ-კასამი გახლდათ ამ

[85] ფიკჰი (გაგება , ცოდნა) მუსლიმური სამართალი , რომლის კომპეტენციაშიც შედის ისეთი საკითხების მოგვარება , როგორიც გახლავთ : საოჯახო , მემკვიდრეობა , სამოქალაქო ცხოვრება და სხვ.

სტრუქტურის პირველი ხელმღვანელი და ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მან შექმნა გახლდათ ის , რომ მისი მებრძოლების ვინაობა უცნობი რჩებოდა მათი სიკვდილის შემდეგაც კი , ხოლო წევრებს ადვილად ანაცვლებდნენ , ორგანიზაცები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და სწორედ ეს გახლდათ მათი წარმატების გასაღები , რაც შეიცვალა 2005 წელს , როდესაც ყველასთვის გასაოცრად ჰამასმა თვითონვე დაასახელა საკუთარი დეპარტამენტების ლიდერების ვინაობა .

უშიშროების ფრთის ⟶ ამოცანა კი გახლდათ ურთიერთობა იმ პირებთან რომლებიც არღვევდნენ ისლამის წესებს ან ბრალი ედებოდათ ისრაელთან კეთილგანწყობაში და მათთან ურთიერთობაში , სწორედ ეს ფრთა ითავსება სასამართლო ფუნქციასაც როდესაც მრავალ ბრალდებულს თვითონვე სჯიდა სიკვდილით .

შენიშვნა N12

ჰამასს დაარსებიდან დღემდე მრავალი ლიდერი ჰყავდა , თუმცა გამორჩეული გახლდათ შეიხი აჰმად იასინი , რომელიც ასევე გახლდათ დამაარსებელი ჰამასისა და დღემდე ასრულებს ამ ორგანიზაციაში დიდ როლს იმ კუთხით , რომ ორგანიზაციის წარმომადგენლების აღქმაში იასინი ჰამასს ზეციდან ლიდერობს და მფარველობს . ის დაიბადა 1938 წელს ღაზას სექტორში , ბავშვობის ტრავმა აისახა დამბლაში , დაინვალიდდა. თუმცა ამას ხელი არ შეუძლია მისი რელიგიური საქმიანობისთვის , რომელიც იქცა ისლამის მქადაგებელ-მასწავლებლად , ის რამდენჯერმე დააპატიმრეს 1985 წელს კი მას 1 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი თუმცაის მალევე გაათავისუფლეს , სწორედ ამის შემდეგ 1987 წელს მან ჩამოაყალიბა ჰამასი რომელსაც 1989 წლამდე ერთპიროვნულად მართავდა. შემდეგ ისევ დააპატიმრეს თუმცა ისევ მცირე დროით , ვინაიდან ყოველ მის პატიმრობას თან სდევდა არეულობა და დიდი აქციები , მასზე განხორციელდა მრავალი თავდასხმა , ხოლო ერთ-ერთი მათაგნი , განხორციელებული ისრაელის მხრიდან 2004 წელს დასრულდა იასინის

ლიკვიდაციით , რომელსაც ჭურვი ესროლეს დილის ლოცვის დასრულების შემდეგ, მეჩეთიდან გამოსვლისას[86].

შენიშვნა N 13

ტერორიზმის შესასწავლად და მისი არსის გასაგებად საჭიროა აღვიქვათ ეს ორგანიზაცია , როგორც პოლიტიკური - ორგანიზაციული სტრუქტურა , რომლის წევრების დიდი ნაწილის გონივრული არჩევანია იქ ყოფნა , და ორგანიზაციის საქმიანობის შესრულება , რომელიც ემთხვევა მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას , ვინაიდან ტერორიზმი და ტერორისტული ორგანიზაცია აერთიანებს , ინდივიდს , ჯგუფსა და საზოგადოებას . სწორედ ამიტომ ტერორიზმი ვერ ჩაითვლება სოციალური კონტექსტიდან მოწყვეტილად , არამედ პირიქით ის არსებული პოლიტიკის ნაწილია , რადგან დიდიწილად ტერორიზმი გახლავთ კონკრეტული ინდივიდის რაციონალური პოლიტიკური არჩევანი .

ტერორისტულ ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი განსაზღვრული სტრუქტურა , რომლის მიხედვითაც მოქმედებენ და არის საკითხები , რომლებსაც კოლექტიური მსჯელობის შედეგად წყვეტენ . ორგნაიზაციის წევრებისთვის არსებობს ფუნქციურად დიფერენცირებული როლები . ორგანიზაციის წევრების მიერ აღიარებული ლიდერები არიან სათავეებში ამ ორგანიზაციისა და სწორედ ისინი სახავენ სამოქმედო გეგმასა და მიზნებსა თუ ამოცანებს ორგანიზაციისა. საბოლოო აკორდი კი გახლავთ ის კოლექტიური მიზნები და ამოცანები , რომლებიც გააჩნია ამ ორგანიზაცია , რომლის გამოც შეიქმნა ის და რომელმა იდეებმაც შეაკავაშირა და მოიყვანა ინდივიდთა ის ნაწილი , რომელიც გახლავთ ამ ორგანიზაციის წევრი .

ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობაში თითქმის ყოველთვის გადამწყვეტი როლი აკისრია მის ლიდერს , რადგან შესაძლოა ორგანიზაციას არ გააჩნდეს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა , თუმცა ლიდერის ქარიზმითა და გამჭრიახობის წყალობით იყოს და იქცეს ,,წარმატებულად'' , რადგან ტექორისტული

[86] ჰამასი - https://www.bbc.com/news/world-middle-east-13331522 (საიტი ბოლოს დამოწმებულია 18.06.2021) გვ. 2

თავდასხმის ჩადენას სჭირება სწორად დასახული გეგმა რათა მან ის შედეგი მიიღოს , რისთვისაც დაიგეგმა , სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმ მმართველობის სისტემას და მმართველებს , ვინც გეგმავენ კონკრეტულ სამოქმედო გეგმას .

ლიდერს უშუალოდ ოპერაციის მიმდინარეობის დაგეგმვისას აქვს ერთგვარი შიდა აუდიტის განხორციელების უფლება, რომელიც გულისხმობს იმ შუამავლების მოტივირებასა და ფსიქოლოგიურ დამუშავებას , რომლებმაც უშუალოდ ეს იდეა უნდა მიაწოდონ მათ განმახორციელებლებს , და ყველაზე მნიშვნელოვანი , რა ბერკეტიც გააჩნია ლიდერს ეს გახლავთ მოსამართლის ფუნცქცია , მას შეუძლია დასაჯოს ნებისმიერი პირი ორგანიზაციისა , რომელიც არ ან ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას და სწორედ ამ შიშის ფაქტორით მართოს დაანრჩენი წევრები .

რაც შეეხება ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათ იდეოლოგიას , ეს მომდინარეობს სალაფიზმისგან და ზოგადად სალაფიტური ჯიჰადისგან , ეს რადიკალური განშტოება კი მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ეგვიპტეში , ,,მუსლიმი ძმების'' სახით , რომელიც გახდა ინსპირაციის წყარო სხვა მრავალი ტერორისტული ორგანიზაციისთვის , სალაფიტების მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს , დაბრუნება ისლამის საწყისებთან და ქვეყნის მართვა შარიათის კანონებით , ისლამური წესრიგის დამყარება , რომელიც სალაფიტების აზრით იქნებოდა ერთადერთი წინააღმდეგობის გამწევი ძალა დასავლეთისთვის . სწორედ ,, სალაფია ჯიჰადია''-ს წევრები ცდილობენ მათ მარწუხებში მოაქციონ დანარჩენი მსოფლიო , ვნაიდან მათი ერთგვარი დევიზი გახლავთ , რომ ,,ვინც ჩვენთან არ არის ჩვენი მტერია'' . და მტრების სიაში სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ერთად ასევე არიან ის მუსლიმები , რომლებიც არ ეთანხმებიან და არ იბრძვიათ სალაფიტების მხარდამხარ .

შენიშვნა N14

ჰეზბოლა ასევე იმით გახლავთ განსაკუთრებული , რომ ის არის პრაქტიკულად ერთადერთი ტერორისტული ორგანიზაცია , რომელსაც აქვს საკუთარი რადიო , ტელე არხი , და კომპიუტერული თამაშიც კი special force , რომელიც მოთამაშეებს აჯილდოვებს ებრაელი ჯარისკაცების მკვლელობისთვის , ამ ყველაფერს კი ჰეზბოლა

ახორციელებს ირანის დიდი ფინანსური დახმარებით და მფარველობით , რომლითაც ხდება ჰეზბოლას გაპიარება და მისი იდეოლოგიის გავრცელება მთელს მსოფლიოში.

რაც შეეხება ორგანიზაციულ მოწყობობას , მისი უმაღლესი ორგანო გახლავთ შურა რომელიც ზედამხედველობს ჰეზბოლას მთლიან საქმიანობას , როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით ასევე სამხედრო გადაწყვეტილებებს და პროპაგანდის საკითხებსაც , შურას წევრთა რაოდენობა დაახლოებით 7 დან 9 მდე მერყეობს .

შურას დაქვემდებარებაში ჰყავს სამი დეპარტამენტი „

1 - ცენტარული საბჭო - რომელიც იღებს პასუხისმგებლობას , ორგანიზაციაში მიღებული გადაწყვეტილების პროცედურის გაძღოლის შესახებ .

2 - პოლიტიკური და ადმინისტრაციული აპარატი - , რომელიც თავის მხრივ 5 დეპარტამენტისგან შედგება :

1 - აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციებში შედის : უზრუნვლეყოფა ორგანიზაციის სოციალური ფუნქციისა და ადამიანური რესურსებისა .

2 -პოლიტიკური საბჭო : რომელსაც ეკისრება ლიბანის პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობა , რომელიც თავის მხრივ 11 დეპარტამენტს მოიცავს.

3- საპარლამენტო საბჭო გახლავთ ,სტრუქტურული ნაწილი რომელიც უშუალოდ მანდატის მფლობელი პირებისგან შედგება .

4- იურიდიული საბჭო -თავის მხრივ უზრუნველყოფს კონტორლს ჰეზბოლას მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე , რომელსაც ასევე აქვს თავისი სასამართლო , რომელსაც ექვემდებარებიან : ბეირუთის რეგიონალური და სამხრეთ ლიბანის რეგიონალური სასამართლოები , ასევე ბექაას ხეობა .

5 - ჯიჰადის საბჭო რომელიც შედგება ოთხი ბლოკისგან : ბლოკი 133, ბლოკი 400 , ბლოკი 3800, ჯაბარის ბლოკი ,ესნი კი უშუალოდ ტერორისტულ საქმიანობაზე იღებენ პასუხისმგებლობას.

შენიშვნა N15

დაეშის ხელმძღვანელობის სტრუქტურა საკმაოდ ფრთხილად და გამოზომილად იყო შერჩეული , რომ თუ რომელიმე შეტაკების შედაგად დაიღუპებოდა ორგანიზაციის მოქმედეი ლიდერი , უკვე მზად იყო მეორე რომელიც დაუყოვნებლი იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას და აგრძელებდა წინა ლიდერის დაწყებულ საქმეს . ხალიფასა და მისი მოადგილის მიღმა ასევე არსებობდა მმართველების 13 კაციანი ჯგუფი სამხედრო საბჭო , და მის გვერდით ასევე იყო 8 კაციანი შურა , რომელიც აკონტროლემდა 10 დეპარტამენტს , რომლებიც არეგულირებდნენ სახელმწიფოს სხვადასხვა სახის ფუნქციებს :

კომუნიკაცია , უცხოელი მებრძოლების დამუშავება , განათლება , სამართალი , ჯანმრთელობა , გარემო , დაბეგვრა , ინფრასტრუქტურა , მომხმარებელთა დაცვა და ფასების კონტროლი .

დაეშის ბიუროკრატია საკმაოდ მარტივი გახლდათ , რომელიც ორი წესით ხელმძღვანელობდა : პირველი საკანონმდებლო სიმკაცრე რომელიც გამყარებული იქნება, მეორე - მკაცრი სასჯელის სიტემით , ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურად ფუნქციონირებდა ვინაიდან მან დასაყწისშივე დანერგა შიშის ეფექტი , რის შედაგადაც ახალ დაბრყობილ ტერიტორიებზე მცხოვრებნი სწრაფად ემორჩილებდოდნენ აღნიშნულ წესებს , რომლიც მოიცავდა , ალკოჰოლის და სიგარეტის აკრძალვას , ასევე დასავლური ტანსაცმლის ჩაცმასა და ფეხბურთის თამაშსაც კი , ქალებს ეკრძალებოდათ მუშაობა გარდა ექთნისა და ქალების ტანსაცმლის გამყიდველის პოზიციისა , ასევე თუ ნებართვის გარეშე დატოვებდა პირი თავის სახლს , ან გადააცილებდა იმ დროს რომელშიც ის უნდა დაბრუნებულიყო უკან , მას ჩამოერთმეოდა აღნიშნული ქონება .

ძირითადად როდესაც იბყრობდნენ ახალ სოფლს ან რეგიონს , მისი წინაპირობა გახლდათ რომელიმე ტყვის სიკვდილით დასჯა , რათა დაბყრობილ თემში დასადგურებულიყო შიში და მარტივად დამორჩილებოდნენ ,,დაეშის'' წესებს და მოთხოვნებს , ჰომოსექსუალიზმში ბრალდებულებს საჯაროდ სჯიდნენ სიკვდილით , მრუშობაში ბრალდებყული ქალები კი ჩაქოლვით ისჯებოდნენ , ეს სიმკაცრე ეხმარებოდათ ორგანიზაციის წევრებს დაენრგათ შიში საზოგადეობაში , რათა

ყოფილიყო სრული მორჩილება და არავითარი ამბოხის ჩანასახიც კი არ ჰქონოდათ მხედველობაში .

''დაეშის'' მთავარი იდეოლოგია იყო , რომ დაერწმუნებინა ყველა , მათ შორის საკუთარ რიგებში მყოფნიც , რომ ეს არის სახელმწიფო და არა ტერორისტული ორგანიზაცია , რომელიც მიმზედველი იყო ადგილობრივებისთვის იმდენად რამდანადაც მხოლოდ ის იძლეოდა ,,უსაფრთხოების'' და საკუთარი ქონების დაცვის გარანტიას და შესაძლებლობას.

ასევე ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური ინსტრუმენტი წევრების საკონტროლებლად გახლდათ , ყველა ვისაც სურვილი ჰქონდა გამხდარიყო დაეშის წევრი გადიოდნენ მომზადებას ე.წ. შარიათის სამართალში , რომ ჰქონოდათ შინაგანი განცდა ამ სტრუქტურის მთავარ შემადგენელ ნაწილად დარჩენისა , ასევე უკვე ეს ,,განათლება'' გავლილი ადამიანები ხდებოდნენ ცხოვრებაში ერთმანეთის მაკონტროლებლები , რათა ყველას დაეცვა აღნიშნული ნორმები .

ხდებოდა ფსიქოლოგიური დამუშავება მიღებული თუ პოტენციური წევრებისა , ორგვარი საჭიროების მიხედვით პირველი ეს იყო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტია და მეორე პირადი მნიშვნელობის საჭიროება , ორივეს მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაეშის წევრობით იყო შესაძლებელი , ანუ ეს ორგანიზაცია და მისი წევრობა აძლევდათ დაეშის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთ ხვალინდელი დღის და ,,უსაფრთხოების'' გარანტიას .

ასევე მთავარი იდეოლოგიური ზეწოლა მუსლიმ თემზე გახლდათ პროვოცირება მათი და ჩევენბა იმ ფაქტებისა , თითქოს მათზე ახდენდნენ ზეწოლას, რადგან მუსლიმები იყვნენ, ავიწროვებდნენ ყველგან და ამისთვის ბრძოლა იყო საჭირო რათა მოეპოვებინათ თავისუფლება და სწორედ ამგვარი იდეოლოგიური ,,დამუშავებით'' ხდებოდა წევრთა მობილიზება და მათი რიცხვის ზრდა .

მათი სისტიკე , რომელიც გამოიხატებოდა , ტყვეების ხოცვაში , თავის მოკვეთაში ცოცხლად დაწვასა თუ გაუპატივრებაში , ვრცელდებოდა სხვადასხვა მედია საშუელბის თუ სოციალური მედიის გვერდზე რითაც ხდებოდა დაეშის პოპულარობის ზრდა , ვინაიდან ამ ვიდეოებში მათი სისასტიკე გამოყენებული იყო

როგორც მათი უსაზღვრო ძალისა და შესაძლებლობების ინსპირირება , სწორედ ამიტომ დაეშის რიგებში შეივსო ასზე მეტი ქვეყნიდან ჩასული მებრძოლებით . ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც , რომ მოწყვლადი ჯგუფი 12 და 17 წლამდე მოზარდები იყვნენ , რადგან მათი იდეოლოგიური ,,დამუშავება'' იყო საკმაოდ მარტივი და გამოცდილი სწავლულები და წევრები ამ ორგანიზაციისა ამას საკმაოდ მარტივად ახორციელებდნენ .